

მ ც ხ ე თ ა

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

ტომი X

I

მცხეთა – 1982 წლის საველე-არქეოლოგიური
კვლევა-ძიების შედეგები

(ავტორთა კოლექტივი)

II

ვ. ნიკოლაიშვილი, ბ. ნარიყანიშვილი

წიწამური III

III

ვ. ნიკოლაიშვილი, ბ. ბიუნაშვილი

ბაიათხევი

თბილისი
„მეცნიერება“
1995

ნაშრომში ასახულია დიდი მცხეთის ტერიტორიაზე 1982 წელს და მომდევნო საველე სეზონებში ჩატარებული გათხრებისა და კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. ქვეყნდება სამთავროს ველზე უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების სამარხული ინვენტარისა და, აგრეთვე, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნამოსახლარებისა და სამარხების სრული აღწერილობა.

მოცემულია ანტიკური ხანის მცხეთის ჩრდილოეთის კარის — ლართისკარის სასიმაგრო სისტემის ახლადგამოვლენილი ნაწილების — კოშკებისა და იქ აღმოჩენილი მასალების დახასიათება. კრებულში ქვეყნდება მცხეთის შემოგარენში — ნარეკავაში, ნატახტარსა და ციხედიდისხევში აღმოჩენილი ძეგლების ანალიზის შედეგები, რომლებიც ბრინჯაო-რკინის ხანის სხვადასხვა ეტაპის ამსახველი ნამოსახლარებითა და სამარხული კომპლექსებით არის წარმოდგენილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუხრანის ველზე, ნატახტართან აღმოჩენილი გორასამარხი, რომელიც მსგავსებას პოულობს თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კულტურის ძეგლებთან. დიდი მნიშვნელობისაა ნარეკავაში აღმოჩენილი ადრერკინის ხანის ნამოსახლარი და მისი სინქრონული სამაროვანი.

კრებულის პუბლიკაციის განყოფილებაში აღწერილია ანტიკური ხანის წერილობითი წყაროს, სტრაბონისეული „სისამურა“-წიწამურის მიდამოებში, არაგვის მარცხენა სანაპიროზე 1986 წელს შესწავლილი მრავალფენიანი ძეგლი „წიწამური — III“.

ამვე ნაწილშია სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთით აღმოჩენილი სამაროვნისა და ნამოსახლარის ნაშთების მასალები. გამოწვლილივითაა დახასიათებული ბაიათხევის სამაროვნის სამარხული ძეგლების აღწერა, დაკრძალვის წესი და ინვენტარი.

რედაქტორი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ანდრია აფაქიძე
რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატები — გ. ცქიტიშვილი
მ. ბარამიძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნში ქვეყნდება „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე 1982 წელს და შემდგომ წლებში ჩატარებული გათხრებისა და კვლევადიების ძირითადი შედეგები. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის სამთავროს ცნობილ სამაროვანზე გამოვლენილი გვიანანტიკურ-აღრეშუასაუკუნეების სამარხეული კომპლექსები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის ქართლის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხის უფრო სრულად გამოკვლევას.

ასევე მნიშვნელოვანია მცხეთასა და მის შემოგარენში, ნარეკავსა და მუხრანის ველზე აღმოჩენილი ძეგლები. ისინი კარგად ასახავენ იმ დემოგრაფიულ სიტუაციას, რომელიც ჩამოყალიბდა წინაანტიკურ ხანაში და რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობა და დააჩქარა მტკვრისა და არაგვის ხერთვისში ქალაქწარმოქმნის პროცესი.

ტომში ქვეყნდება აგრეთვე სტრაბონისეული „სისამურა“-წიწამურის მიდამოებში აღმოჩენილი მრავალფენიანი ძეგლი — „წიწამური — III“ (ვ. ნიკოლაიშვილი, გ. ნარიმანიშვილი) და სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთით მდებარე ბაიათხევის გვიანანტიკური ხანის სამარხეული კომპლექსები (ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გიუნაშვილი).

როგორც ვხედავთ, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლებისადმი მიძღვნილი კრებული გარკვეულწილად შეავსებს ჩვენს წარმოდგენებს ისტორიული „დიდი მცხეთის“ მატერიალური კულტურის ისტორიის შესახებ.

წიგნში გამოქვეყნებული ძეგლების პირობითი ნიშნები და განმარტებები მოცემულია წინა ტომებში (იხ. წინასიტყვაობები).

ანდრია აფანიძე, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, გელა ბიუნაშვილი, ბიორბი მანჯბალაძე, მერაბ ძნელაძე, ვაჟა საღრაძე, რეზა ლავლიანიძე

მცხეთა — 82

1982 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

1982 წელს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია განაგრძობდა გათხრებსა და კვლევა-ძიებას მცხეთასა და მის შემოგარენში — ქართული წერილობითი წყაროების დიდი მცხეთის ტერიტორიაზე. საანგარიშო წელს გათხრები ჩატარდა ქ. მცხეთაში, სამთავროს ველზე, ღართისკარში, ნარეკვავეზე, ნატანტარსა და ციხედიდისხევში. გარდა ამისა, მიმდინარეობდა დაზვერვები და მასალების შეგროვება დიდი მცხეთის არქეოლოგიური რუკის შესადგენად.

1. ქ. მცხეთაში (სურ. 1—12), კანალიზაციის ქსელისათვის გაკრილ თხრილებში, აგრეთვე სხვა სახის მიწის სამუშაოებისას, კვლავ დადასტურდა გვიანანტიკური ხანისა და ადრეშუასაუკუნეების მასალის შემცველი კულტურული ფენები, ე.ი. მოპოვებულია მასალები აღნიშნული პერიოდის მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფიის აღდგენისათვის. დასრულდა ინდივიდუალური სახლის მშენებლობისას გამოვლენილი განვითარებული შუა საუკუნეების საცხოვრებელი კომპლექსის შესწავლა. როგორც გაირკვა, აღნიშნული კომპლექსი ადრეშუასაუკუნეების მასალის შემცველ კულტურულ ფენაზე გაუმართავთ. საცხოვრებელ კომპლექსთან დაკავშირებული მასალებიდან აღსანიშნავია ფაიანსის ჭურჭლის ნატეხი, რომელსაც თეთრი, ნასვრეტოვანი კეცი აქვს და გარედან დაფარულია ლურჯი ფერის ჭიქურით. ჭიქურზე თეთრი საღებავით მკენარეული ორნამენტია გამოსახული. შიდაპირი ცისფერი ჭიქურით დაუფარავთ. აღნიშნული ჭურჭელი რომელიღაც აღმოსავლური კერამიკული ცენტრის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს (სურ. 9).

ქალაქის ტერიტორიაზე და მის დასავლეთ შემოგარენში — კოდმანში — აღმოჩნდა კრამიტსამარხები, რომლებშიც დადასტურდა ქართლის I—II საუკუნეებისათვის დამახასიათებელი და მსგავსი ინვენტარი: მოწითალო-მოვარდისფრო და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, მი-

ნის სანელსაცხებლები, რომაული მონეტები, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები და რკინის ბეჭდები, სარდიონის გემა-ინტალიოებით, რომლებზედაც გამოსახულია: ტიხე-ფორტუნა, აფროდიტე, შინაური ცხოველები და ფრინველი (სურ. 13—43).

2. სამთავროს სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე შესწავლილი 24 სამარხიდან 11 გვიანანტიკური ხანისაა, ხოლო დანარჩენი ადრეშუასაუკუნეებს ეკუთვნის. გვიანანტიკურ ხანაში კვლავ დადასტურდა სამარხ ნაგებობათა მრავალსახეობა. გამოვლინდა ორმოსამარხები, რომლებიც ქვის ფილებითაა გადახურული, ქვაყუთები, კრამიტსამარხები და თიხის ფილასამარხი. აღსანიშნავია ქვათლილებით ნაგები სამარხი 597. აღნიშნული ქვათლილები, რომლებიც ელინისტური ხანისთვისაა დამახასიათებელი, კიდევ ერთი მოწმობაა სამთავროს ველზე ამ პერიოდის ნაგებობის არსებობისა.

გვიანანტიკური ხანის სამარხებში დადასტურდა ოქროსა და ბრინჯაოს სამკაული, საპირისფარეშო საგნები, აგრეთვე ტანისამოსთან დაკავშირებული ნივთები.

ადრეშუასაუკუნეების სამარხები წარმოდგენილია ქვაყუთებითა და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხებით. მეტი წილი სამარხებისა გაძარცვულია. წლების მანძილზე გათხრილი ამ პერიოდის ძირითადად მწირი ინვენტარიდან ყურადღებას იქცევს მინის ჭურჭლის სიმრავლე და მრავალსახეობა, ისინი, როგორც ჩანს, ადგილობრივი ნახელავია (სურ. 44—108).

3. მცხეთის ჩრდილოეთით, ღართისკარში გრძელდებოდა ელინისტური ხანის სასიმაგრო სისტემის გამოვლენა (სურ. 109—131); ოთხკუთხა კოშკისა (№ 1) და ზღუდის ნაწილის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა კიდევ ორი კოშკი და გალავნის ზღუდის კოშკებშორისი მონაკვეთები, რომელთა შორის მანძილი 60 მ-მდეა. გაითხარა პირველი კოშკის სარდაფის ნაწილი, რომელიც ამოვსებული იყო დამწვარ-დანახშირებული მუხის ძელებით, როგორც ირკვევა, ისინი რამდენიმე სართულის მქონე კოშკის სართულშორისი გადახურვისათვის უხმარიათ.

საანგარიშო წელს არაგვის მარცხენა ნაპირზეც დადასტურდა აღიზით ნაგები ზღუდის ნაშთი. იგი არაგვის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ზღუდის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს და, როგორც ირკვევა, მის გაგრძელებას წარმოადგენს.

დღეისათვის ექვმიუტანლად დასტურდება, რომ ღართისკარში აღმოჩენილი საფორტიფიკაციო ნაგებობანი წარმოადგენს ანტიკური ხანის მცხეთის ჩრდილოეთის კარს და იგი სამართლიანადაა იდენტიფიცირებული სტრაბონისეულ ცნობასთან — არაგვის გზის დასასრულს მიუდგომელი სიმაგრის არსებობის შესახებ (Strabo, XI, III, 5).

4. მცხეთის შემოგარენში, ისევე, როგორც გასულ წლებში, ძირითადად კვლავ დადასტურდა ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა პერიოდის ძეგლები.

ნარეკავში გაგრძელდა ადრერკინის ხანის ნამოსახლარისა და სამაროვნის შესწავლა (სურ. 132—286). ნამოსახლარზე (კლანდაძისგორა I) გამოვლინდა და გაიწმინდა ორი სახლი (№ 6, 7), რომლებიც ერთმანეთზეა გამართული. სახლის SO კედლის საფუძველი რიყის ქვითაა ნაგები და შემტყიცებულია და შეღესილი თიხნარით. სახლებს პირიმხარე ჩრდილო-აღმოსავლეთით აქვთ მიქცეული. იატაკი თიხატყეპნილია. პურის საცხობი ღუმელი სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია გამართული. უკანა მხარე კონგლომერატშია გაჭრილი და შეღესილია თიხა-ალიზით. გვიან გამართული (6) სახლი შედარებით მცირე ზომისაა, ხოლო ადრინდელი (7) სახლის შემორჩენილი ნაწილის ფართობი 36 მ² აღწევს. საანგარიშო წელს კვლავ გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარებისათვის დამახასიათებელი ტიპი — ერთსახლიანი, ერთოთახიანი ნაგებობა, ნახევრად მიწური, ბანურსახურავიანი, ტერასულად განლაგებული გვემარებით, რაც ადრე იქვე, სამთავროს სინქრონულ ნამოსახლარზე (სამთავრო I) დადასტურდა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ როგორც ნარეკავზე, ისე სამთავროზე გვიანდელი სახლები მცირე ზომისაა, სტრატეგრაფიულად ერთ ვერტიკალში მდებარე ადრეულ სახლებთან შედარებით.

საანგარიშო წელს გათხრილი ყველაზე გვიანდელი სახლი (6) ადრე გამოვლენილი სახლების (1, 2) სინქრონულია და VII—VI სს—ით უნდა დათარიღდეს. გვიანდელი სახლების გაწმენდისას აღმოჩნდა პირმოყრილი თიხის ქურჭლისა და სოლური ორნამენტით შემკული ქურჭლის ნატეხები, რაც ნარეკავის ნამოსახლარზე გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამშენებლო ჰორიზონტის არსებობას გვაგარაულებინებს.

გაგრძელდა სამუშაოები ნარეკავის ნამოსახლარის სამაროვანზე, რომელიც მდინარე ნარეკავის მარჯვენა სანაპიროზე, მუხრანის ველის დასასრულს მდებარეობს. საანგარიშო წელს გათხრილი 16 სამარხიდან 10 დაზიანებული იყო. უმეტესი მათგანი ქვამიწაყრილიანი ორმოსამარხია, თიხამიწაში გაჭრილი. ზოგ შემთხვევაში სამარხები ერთ ვერტიკალში, ერთმანეთზეა გამართული (მაგალითად, 29, 30 და 33, 36), რაც შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა. ყველა სამარხი ინდივიდუალური იყო, მიცვალებულები ხელფეხმოკეცილი დაუსვენებით, მარჯვენა (მამაკაცები) ან მარცხენა (დედაკაცები) გვერდზე, თავით ძირითადად ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

სამ სამარხში (29, 30, 31) მიცვალებულის სარეცლის საყრდენი ქვები აღმოჩნდა. დაკრძალვის აღნიშნული წესი ადრე დადასტურდა იქვე წეროვანში (წეროვანი IV), შედარებით ადრეული ინვენტარის შემკველ სამარხებში და სათოვლე-ნაბალრებში. ორ სამარხში (31, 32) მიცვალებულებს თავი ქვის სასთუმალზე ედოთ. აღსანიშნავია, რომ ეს წესი მცხეთაში — კამარახევის (ადრეანტიკურ-ადრეელინისტური ხანის) სამაროვანზე შედარებით გვიან საყოველთაო ხდება, სადაც უკლებლივ

ყველა მიცვალებულს თავი ქვის სასთუმალზე უდევს. კამარახევის სამაროვანთან გენეტიკური კავშირი შეინიშნება აგრეთვე ინვენტარშიც. ეს პირველ რიგში შეეხება ბრინჯაოს გველისთავებიან სამაჯურებს და ოთხკუთხა, თავდაწახნაგებულ საკინძებს, რომელთაც ამოღარული გეომეტრიული სახეები აქვთ.

აღნიშნული კავშირისა თუ სიახლოვის მაჩვენებელია აგრეთვე რკინის მოხრილი დანები. ზემოაღნიშნულ სამარხებში დადასტურდა ლეგანაცრისფერად და მოშავოდ გამომწვარი თიხის ჭურჭელი, რომელიც შემკულია ამოღარული, რელიეფური და წნევით დატანილი ორნამენტით. გვხვდება სუფრის, სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭელი. ნარეკავის სამარხებულ კომპლექსებში აღმოჩენილი დანარჩენი ინვენტარი [ბრინჯაოსტაროანი რკინის მახვილი, რკინის შუბისწვერები და ცულ-წერაქვი, აგრეთვე სხვადასხვა ფორმის სკვითური ისრისწვერები (ბრინჯაოსღეზიანი — სამფრთიანი და ორფრთიანი, რკინის ორფრთიანი — რომბული და ძვლის პირამიდისებური — დაწახნაგებული)] ნარეკავის სამაროვნის თარიღს ზოგადად VIII—VI სს-ით განსაზღვრავს. სამაროვნის ზედა ქრონოლოგიური ჩარჩო — *terminus ante guem* — შეიძლება კიდევ უფრო გაახალგაზრდადეს თუ გავითვალისწინებთ ზემოდასახელებულ ბრინჯაოს გველისთავებიან სამაჯურებსა და თავდაწახნაგებულ საკინძებს, გვიანდელი სახის ბრინჯაოს სკვითურ ისრისწვერებს, აგრეთვე კავშირს კამარახევის ადრეანტიკურ-ადრეელინისტური ხანის სამაროვანთან, რომელიც დაკრძალვის წესშიც აისახა.

5. სოფ. ნატახტართან (სურ. 287—320), თბილისი-დუშეთის გზის 34-ე კილომეტრზე გამოვლენილია ე.წ. მტკვარ-არაქსის პერიოდის ნამოსახლართა ნაშთები (სამეურნეო ორმოები), შუაბრინჯაოს ხანის სამარხები და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები.

ადრებრინჯაოს ხანის სამეურნეო ორმოებში დადასტურდა მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭელი, რომელსაც ზოგჯერ წითელი საღებავის კვალი ემჩნევა. გვხვდება ქსოვილის ანაბეჭდიანი ცალებიც. აღნიშნული კერამიკა დამზადების ტექნოლოგიისა და ფორმების მიხედვით მსგავსებას პოულობს დიდუბის, სამშვილდის, ღრმახევისთავის, თბილისისა და წეროვანის მასალებთან და მათი სინქრონული უნდა იყოს.

საანგარიშო წელს განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შუაბრინჯაოს ხანის ქვაყრილიანმა გორასამარხმა (ქვაყრილის ზომები: 3,10x2,30; დასაკრძალავი კამერისა — 2,60x2,45x1,30 მ). სამარხის ქვაყრილი, რომელიც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,65 მ სიღრმეზე გამოვლინდა, ნიველირებული ჩანს სასოფლო-სამეურნეო მიწის სამუშაოებისას.

დასაკრძალავ კამერაში ერთი მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული NW მხარეს. ჩონჩხის ძვლების განლაგება გვაზარაულებინებს, რომ თითქოს მიცვალებული ჯერ დაუსვენებიათ და შემდეგ ჩრდილოეთისკენ გადაქცეულა. თავის ქალა არ აღმოჩენილა (დასაკრძალავი კამერა ჩრდი-

ლოეთის მხრიდან დაზიანებულია მიწის სამუშაოებისას). დასაკრძალავი კამერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში დადასტურდა აღაპის ნაშთი — ხარის თავფეხი ნეკნებითურთ, ხოლო ცენტრალურ ნაწილში წვრილფეხა საქონლის — ცხვრის ჩონჩხი. ნატახტარის გორასამარხში აღმოჩნდა წითლად ანგობირებული შევრონებით შემკული დერგები, აგრეთვე შავპეწიანი თიხის ქურჭელი, კანთაროსისებური ორყურა სასმისი, ე.წ. „მინიური“ ტიპისა, ბრინჯაოს ფოთლისებური, ყუნწიანი სატევრისპირი, ობსიდიანის ქუსლამოლარული ისრისწვერები, გუმბათისებურთავიანი (კონუსურთავიანი) საკინძი, ძვლის დისკოსებური საკილი, ტუფის სადგარი და სხვ.

აღნიშნული გორასამარხი დიდ მსგავსებას პოულობს თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის ძეგლებთან, რაც აისახა როგორც დაკრძალვის წესში (თრიალეთის XXII გორასამარხში რომ დადასტურდა), ისე ინვენტარში (წითლად ანგობირებული შევრონებით შემკული და შავპეწიანი დერგები, ქუსლამოლარული ისრისწვერები), ამიტომ ის შეიძლება ზოგადად მათ სინქრონულად მივიჩნიოთ.

ბ. მცხეთის დასავლეთით, სოფ. ძეგვთან, ციხედიდისხევში ჩატარდა სადაზვერვო გათხრები (სურ. 321—357). ბარგიყარიად წოდებულ ადგილზე გამოვლინდა რომაული ხანის კრამიტსამარხი და ორმოსამარხები და სინქრონული ნამოსახლარის ნაშთები, აგრეთვე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქვაყრილიანი ორმოსამარხები. ციხედიდისხევის შუა წელზე გეოდეზიურად აიგვება შუასაუკუნეების ნასოფლარი (ორი ეკლესია, საცხოვრებელ თუ სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები და კოშკი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, საანგარიშო წელს ექსპედიცია ატარებდა გეგმაზომიერ დაზვერვებს დიდი მცხეთის ტერიტორიაზე. მუხრანის ველზე, ნატახტართან აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქვაყრილიანი სამარხები, წეროვნის მიდამოებში გამოვლინდა გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების სამაროვნისა და ნამოსახლარის ნაშთები. არაგვის მარცხენა ნაპირას, ადგილ ნაბაღრებთან გამოვლინდა მტკვარ-არაქსის ეპოქის მასალები. ახალი არმაზის დასახლებაში (ახალი არმაზი II), მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სარკინეს მოპირდაპირე მხარეს საკონტროლო გათხრებისას გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარისა და ანტიკური პერიოდის ნამოსახლარის ნაშთები. არმაზისხევში, კანიონის მარჯვენა მხარეს — ზეგან-ბორცვზე, რომელსაც „აკაცითავანას“ უწოდებენ, დადასტურდა ადრეელინისტური ხანის მასალის შემცველი კულტურული ფენები, რომელშიაც აღმოჩნდა წითელი წერნაქით მოხატული, წითლად შეღებილი და შავპეწიანი თიხის ქურჭელი — წითლად შეღებილი კრამიტის ნატეხები (მსგავსი და სინქრონული სამადლოზე, ციხიაგორაზე და უფლისციხეში გამოვლენილი მასალებისა). შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ „აკაცითავანაზე“ დამოწმებული ნამოსახლარის ნაშთების სახით საქმე გვაქვს ქართული წერილობითი წყაროების ძველ ნასოფლარ ქართლთან.

ამრიგად, საანგარიშო წელს კვლავ გამოვლინდა ძეგლები, რომლებიც მეტ-ნაკლები სისრულით ასახავენ წინარეანტიკური, ანტიკური და შუასაუკუნეების მცხეთისა და მისი შემოგარენის მატერიალურ კულტურას.

ზემოჩამოთვლილ უბნებზე განხორციელებული საველე კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგების შესახებ შექმნილი შთაბეჭდილებები ასეთია: მცხეთა — კოდმანის რაზმი საანგარიშო წელს აგრძელებდა დაზვერვით და უმეტესად გადარჩენით არქეოლოგიურ სამუშაოებს. დამთავრდა ინდივიდუალური სახლის მშენებლობისას (სტალინის 108) აღმოჩენილი შუასაუკუნეების ნამოსახლარის ფენების შესწავლა (სურ. 1—43).

1981 წელს 100 მ² ფართობზე, ზემოაღნიშნული სახლის ქვაბულში აღმოჩნდა განვითარებული შუა საუკუნეების (XIII—XIV სს.) საცხოვრებელი კომპლექსი (ნაკვ. LXXXVIII), რომელიც შედგებოდა საცხოვრებელი სახლისა, დერეფნისა და მარნისაგან. მისგან დასავლეთით გაითხარა თიხის ტურქლის გამოსაწვავი მცირე ზომის ქურა.

პირველი ფენის ალაგებისას მარნის ქვეშ აღმოჩნდა ძლიერ ცეცხლში მოხვედრილი სამშენებლო მასალები (აგური). გამოვლინდა მარანის იატაკში ჩადგმული ორი ქვევრი (სურ. 4—5).

1 (01/6-; სურ. 2—5) ქვევრი მოწითალო-აგურისფერად გამომწვარი მსხვილმინარევებიანი თიხისა, აქვს ფართო, ბრტყელი პირი, დაბალი, გამოყვანილი ყელი, თანაბრად გაფართოებული მალალი მუცელი, ბრტყელი ძირი. ტანზე 12 რელიეფური სარტყელი ემჩნევა. სიმაღლე — 1,80 მ, დმ პირის — 0,41 — 0,57, ყელის — 0,50, ძირის — 0,30, მუცლის — 1,10 მ.

2 (01/6; სურ. 2—4) ქვევრი მოწითალო-აგურისფერად გამომწვარი წვრილმინარევიანი თიხისა, აქვს ბრტყელი, გადმოფენილი პირი, დაბალი ყელი, კვერცხისებური მუცელი, ბრტყელი ძირი, ტანზე ემჩნევა 4 რელიეფური სარტყელი.

სიმაღლე — 1,40, დმ პირის — 0,32—0,46, ყელის — 0,35,

მუცლის — 0,85, ძირის — 0,24 მ. პირ-ყელი და მხრები ქვევრს შემოკირული ჰქონდა.

პირველ სათავსოში, საკარეს მარჯვენა მხარეს გაიწმინდა სამეურნეო ორმო (3), რომელიც პირველ სამშენებლო დონეს ეკუთვნოდა (სურ. 1, 2). ორმო შევსებული იყო თიხის ტურქლისა და კრამიტ-აგურის ნატეხებით (სიღრმე — 0,90, დმ. 0,47—0,60 მ).

მე-3 ორმოში აღმოჩნდა:

3 (01/6 — IV — 635; სურ. 9) ფიანისის ტურქლის (ჯამის?) ნატეხი. აქვს თეთრი, ნასვრეტიანი კეცი, რომელიც გარედან დაფარულია ლურჯი ფერის ჰიქურით. ჰიქურზე თეთრი საღებავით მცენარეული ორნამენტია გამოსახული. ტურქლის შიდაპირი ცისფერი ჰიქურით დაუფარაეთ. ზომები: 3,9x5,3 სმ, კეცის სიგრძე — 0,6 სმ.

პირველ ფენაში აღმოჩენილი მასალები, განსაკუთრებით კერამიკა, მსგავსია და სინქრონული ქინვალის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძეგლები-სა (1).

ადრეული, მეორე ფენა წარმოდგენილია ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალით. იგი საგანგებოდ მოჭრილ ტერასაზე მდგარი ნაგებობების ნაშთებს წარმოადგენს და ვრცელდება თანამედროვე საცხოვრებელი სახლის ქვეშ — პირველი სამშენებლო ფენის იატაკიდან 1,5 მ სიღრმეზე, SO მიმართულებით.

აღნიშნულ ფენაში აღმოჩნდა:

4 (01/6 — IV — 631; სურ. 11) ხელადის ყელის ნაწილი ჩალისფრად გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისა, მალალყელიანი, წიბოიანი. ყელის შემორჩენილი ნაწილის სიგრძე — 15,6, ყელის დმ — 3,0 — 4,0 სმ.

5 (01/6 — IV — 632) რგოლი ბრინჯაოსი, პატინირებული. განივკვეთში მრგვალი მავთულისაგან დამზადებული, ოვალისებური. დმ — 1,5 სმ.

6 (01/6 — IV — 636; სურ. 10) მინის ჭურჭლის (თასის?) ორი ნატეხი მომწვანო-გამჭვირვალე მინისა. აქვს შესქელებული, ფართო და ოდნავ ვადაშლილი პირი, თხელკედლიანია. გვერდის ნატეხზე ფაცეტები ემჩნევა.

LXXXIII ნაკვეთის პირველ კვადრატში, მარნის SW მხარეს აღმოჩნდა მცირე ზომის თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა (სურ. 2, 6—8), რომელიც სტრატეგრაფიულად პირველი, ადრეული ფენის ნაგებობის არსებობის პერიოდში ფუნქციონირებდა.

გეგმაში წრიული მოყვანილობის ვერტიკალური ქურა SO-დან NW-კენ არის დამხრობილი და ნაგებია ქვატეხილითა და რიყის ქვებით (ზომები: $1,07 \times 1,08 \times 0,50$ მ; $0,70 \times 0,35 \times 0,50$ მ). ქვედა, საცეცხლე განყოფილება უძრავ თიხამიწაშია გაჭრილი ($0,70 \times 0,35$ მ) და გადახურულია ქვიშაქვის ორი ფილით, რომელზედაც, როგორც ჩანს, გამოსაწვავ ჭურჭელს აწყობდნენ.

ზედა განყოფილება ცუდად იყო დაცული, მაგრამ შემორჩენილი ნაწილის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ოდნავ კონუსური მოყვანილობის ფართოყელიანი იქნებოდა, საიდანაც აწყობდნენ გამოსაწვავ ჭურჭელს. დატვირთული ქურა, ჩვეულებრივ, გადაილესებოდა ხოლმე.

ქურის კედელში ჩაყოლებული იყო თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის და ქვევრების ნატეხები. ქურასთან აღმოჩნდა თიხის ფილები: ანტეფიქსი (?) ორკაპა შვერილით და ოთხკუთხა ფილა.

7 (01/6 — IV — 603); ჭურჭლის პირ-გვერდის ნატეხი ნაცრისფრად გამომწვარი წვრილმინარევიანი თიხისა — ოდნავ ზევით აწეული ლენტისებური ყური მხარზე აქვს მიძერწილი. კეცის სისქე — 0,6 სმ.

8 (01/6 — IV — 604) ქვევრების ნატეხები (5 ც.), წვრილმინარევიანი თიხისა. აქვს მოყავისფრო-აგურისფრად გამომწვარი ზედაპირ-შიდა-

პირი, გადანატეხში ნაცრისფერშრიანი კეცი, ბრტყელი და ბაკოგადმოფენილი პირი, მაღალი ყელი და ბრტყელი ძირი. ზოგიერთი ნატეხის ზედაპირი შეკრულია კონცენტრული რელიეფური და ამოღარული სარტყლებით. კეცის სისქე — 1,2—1,6 სმ.

9 (01/6 — IV — 605; სურ. 12) ანტეფიქსი (?) მოჩალისფროდ გამომწვარი წვრილმინარევიანი თიხისა, ნაწილობრივ დეფორმირებული და დაზიანებულია. მართკუთხა მოყვანილობის ფილა სამკუთხა ფორმის ორკაპა შევრილით ბოლოვდება. ზედაპირის კიდეები თითებიტაა დაკეპნილი. ემჩნევა წითელი წერნაქით შეღებვის კვალი.

სიგრძე — 32,5, სიგანე — 34,0, სისქე — 2,7 სმ.

10 (01/6 — IV — 606) ანტეფიქსი (?). ზემოაღწერილის ანალოგიურია.

სიგრძე — 35,3, სიგანე — 31,0, სისქე — 2,6 სმ.

11 (01/6 — IV — 607) ფილა ჩალისფრად გამომწვარი თიხისა, მართკუთხა ზედაპირის კიდეები თითებიტაა დაკეპნილი.

სიგრძე — 33,5, სიგანე — 29,0, სისქე — 2,5 სმ.

პირველ ფენასთან დაკავშირებული მასალები, აგრეთვე თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ჭურის მსგავსი ძეგლები ცნობილია დიდი მცხეთის ტერიტორიაზე (2.3).

საანგარიშო წელს გრძელდებოდა სამუშაოები, რომელიც დაკავშირებული იყო მცხეთის კანალიზაციის ქსელისათვის გაჭრილ თხრილებში გამოვლენილი ძეგლების გადარჩენა-შესწავლასთან (სურ.32).

მონასტრისხევის მარჯვენა სანაპიროზე, მცხეთის რაიკომის შენობასთან, თხრილში, 1,20 მ სიღრმეზე კვლავ დადასტურდა გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენები, რომელიც ადრეშუასაუკუნეების მასალის შემცველი კულტურული ფენის ქვეშ გამოვლინდა (სურ. 35). სტალინის ქუჩაზე (№ 136) სახლთან, თხრილმა დააზიანა კრამიტსამარხი.

კრამიტსამარხია, ქვალორიდან ფენაში გაჭრილი, მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,90 მ-ზე. სამარხი წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმისაა, ორფერდასახურავიანი (ზომები — 2,10×1,10 მ; 1,40×0,74×0,42 მ). გრძივი კედლები ოთხ-ოთხი შევეულად ჩადგმული ბრტყელი კრამიტისაგან შედგება, ხოლო

სამარხი 46.
1982.08.09;
XXI, 12; O-W
(სურ. 13—30).

განვივი კედლები — ორ-ორი ასეთივე კრამიტისაგან. სამარხის სახურავი ორკალთიანია. კალთები ხუთ-ხუთი ბრტყელი კრამიტისა აქვს, რომელთა შეერთების ადგილას თითო-თითო ღარისებრი კრამიტი ადევს. სახურავის კეხი სიგრძეზე ღარისებრი კრამიტებით არის გადახურული. იგი ქვალორდით იყო ამოვსებული. ჩრდილო კედელთან ალაპის ნაშთი — წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის ძვლები აღმოჩნდა. იატაკი მოგებულია სიგრძეზე პირჩაქცევით დაწყობილი ექვსი კრამიტით.

სამარხი ინდივიდუალური იყო. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუქრძალავთ ხელფეხმოკეცილი, თავით აღმოსავლეთით.

სამარხში აღმოჩნდა:

12 (01/6 — IV — 608; სურ. 29). ხელადისებური სასმისი ჩალისფერად გამომწვარი წმინდა თიხისა. აქვს გადაშლილი და სადა პირი, დაბალი, ყელი, მკვეთრად გამობერილი სფეროსებური მუცელი და ბრტყელი ძირი. მხარზე და მუცელზე დაქერწილია პატარა, ოდნავ აცქვეტილი ყური. სიმაღლე — 10,7 სმ; დმ პირის — 6,6, ყელის — 5,8, მუცლის — 14,2, ძირის — 9,3 სმ.

13 (01/6 — IV — 609; სურ. 30). სანელსაცხებლე მომწვანო-გამკვირვალე მინისა. აქვს მასიური, მკვეთრად გადაშლილი დაბრტყელებული პირი. მაღალი, ცილინდრული ყელი, ღარივით არის გამოყოფილი კონუსური მუცლისაგან. ბრტყელძირიანი. სიმაღლე — 7,1 სმ; დმ პირის — 4,4, ყელის — 2,5, ძირის — 4,5 სმ.

14 (01/6 — IV — 610; სურ. 31). კრაქი მურა-მოჩალისფეროდ გამომწვარი წვრილმინარევიანი თიხისა. აქვს ოდნავ მოყრილი და შემურული პირი, ზეთის გადმოსასხმელი ტუჩი, ოდნავ გამობერილი მხრები, უხეშად ჩამოთლილი კალთა და ბრტყელი ძირი. სიმაღლე — 2,2 სმ, დმ ძირის — 6,0, მუცლის — 6,5, პირის — 5,0 სმ.

15 (01/6 — IV — 611; სურ. 24) მილაკი ოქროსი, ფუყე, დაღარული, თხელფირფიტოვანი, სიგრძე — 1,0 სმ. დმ — 0,5 სმ.

16 (01/6 — IV — 612; სურ 22) მილაკი ოქროსი, ზემოაღწერილის მსგავსი; დაკულებილია, სიგრძე — 0,8 სმ. დმ — 0,4 სმ.

17 (01/6 — IV — 613; სურ. 23) მილაკი ოქროსი, ზემოაღწერილის მსგავსი. სიგრძე — 0,8 სმ, დმ — 0,5 სმ.

სამივე მილაკი აღმოჩნდა თავის ქალასთან.

18 (01/6 — IV — 614; სურ. 17) მონეტა ვერცხლისა, ოქტავიან ავგუსტუსის დენარი, მოჭრილია გალიის ზარაფხანაში (ძვ.წ. 27 ახ.წ. 14 წწ). ნაპირები ჩამოტეხილი აქვს.

ზომა — 17 მმ; წონა — 2,10 გრ.

19 (01/6 — IV — 615; სურ 18) მონეტა ვერცხლისა, ოქტავიან-ავგუსტუსის დენარი, მოჭრილი გალიის ზარაფხანაში; ზომა: 17×17 მმ; წონა — 3,37 გრ.

ორივე მონეტა აღმოჩნდა მიცვალეზულის ქუთის ძვლებთან.

20 (01/6 — IV — 616; სურ. 16) მონეტა ვერცხლისა, ოქტავიან-ავგუსტუსის (ძვ.წ. 27 — ახ.წ. 14 წწ.) დენარი, მოჭრილი ძვ.წ. 2 — ახ.წ. 17 წწ. გალიის ზარაფხანაში. ზომა: 17×17 მმ, წონა — 3,40 გრ. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის იდაყვთან.

21 (01/6 — IV — 617; სურ. 19, 26) ბეჭედი რკინისა, დაჟანგული და ნაკლული. შემორჩენილია თვალბუდე და რკალის მხრები. რკალშივე ამოჭრილ თვალბუდეში ზის ყავისფერი სარდიონის ბრტყელპირიანი, ოვალური ინტალიო. გამოსახულია ტიხე-ფორტუნა¹, ნიადაგი მცირე ხა-

¹ გლიპტიკური მასალის განსაზღვრა ეკუთვნის თ. სურგულაძეს, ხოლო ნუმიზმატიკურის — მ. შეროზიას

ზით არის აღნიშნული, ფონი გაპრიალებულია. გამოსახულება მკრქალია. ინტალიოს ზომები: 7x10 მმ. აღმოჩნდა ხელადისებურ სასმისსა და სანელსაცხებლეს შორის.

22 (01/6 — IV — 618; სურ 20, 27) ბეჭედი რკინისა, დაქანგული და გატეხილი. თვალბუდეში ზის ოვალური ინტალიო, ამოზურცულპირიანი. გამოსახულია თხა პროფილში მარჯვნივ. მის წინ ბროწეულის ნაყოფია გამოსახული, მის უკან სიცოცხლის ხე. წმინდა, დახვეწილი და სუფთა ნამუშევარია. ეტყობა ვიხილ-ის კვალი. ნიდაგი მოკლე ხაზით არის აღნიშნული. ქვა კარგად არის დამუშავებული, ფონი გაპრიალებულია. ინტალიოს ზომა 5x8 მმ.

აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მტევნის ერთ-ერთ ფალანგაზე.

23 (01/6 — IV — 619; სურ. 21, 28) ბეჭედი რკინისა, ნაკლული რკალშივე ამოჭრილ თვალბუდეში ღრმად ზის ბრტყელებიანი ოვალური ინტალიო, გამოსახულია თხა. მოკლე ბეწვი მკერდისა და გავის არეში ხშირი ხაზებითაა აღნიშნული. მის წინ წიწვოვანი მცენარეა გამოსახული. ასეთივე უფრო დიდი ზომის მცენარე — მის უკან, წმინდა ხაზებით შესრულებული გამოსახულებაა. ფონი გაპრიალებულია. ინტალიოს ზომა — 7x10 მმ.

24 (01/6 — IV — 620; სურ. 25) მძივები სარდიონის, მინისა და ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის იდაყვთან.

46-ე სამარხში აღმოჩენილი მასალის ანალოგები ფართოდაა ცნობილი ქართლის სამაროვნებზე და იგი I—II სს. უნდა დათარიღდეს (4, 5, 6, 7, 8).

სტალინის ქუჩაზე, ფოსტის შენობის წინ მიწის სამუშაოებისას დაზიანდა ფილაქვით ნაგები სამარხი (47), რომელიც აღნაგობით ჰგავს სამთავროს სამაროვანზე აღრეულ შუა საუკუნეებში გავრცელებულ ქვაყუთებს (2.9).

სამარხი 47.

1982.09.12; XVII,
3; SOO - NWW

სურ. 33.

ქვაყუთია, ბანურსახურავიანი, დაზიანებულია. შემორჩა უხეშად გათლილ-გამოკოდილი განივი კედლები და გრძივი კედლების ნატეხები (2,10x0,90x0,70; 1,80x0,55x0,60 მ). იგი ქვალორიან ფენაში გაუჭრიათ. იატაკი თიხატყეპნილი ჰქონდა. სამარხში შემორჩენილი ჩონჩხის ძვლების განლაგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული თავით აღმოსავლეთით იყო დაკრძალული.

სამარხში აღმოჩნდა:

25 (01/6 — IV — 637; სურ. 34) დანა რკინისა (დაქანგულია და ორადაა გატეხილი) ოღნავ მოხრილი, ცალპირღესილი, წვერიანი. სიგრძე — 10,5, სიგანე — 1,8, სისქე — 0,3 სმ.

აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ განივ კედელთან.

ქ. მცხეთის დასავლეთ შემოგარენში, კოდმანში (კოდმანი II) გამოვლინდა კრამიტსამარხი (3) და მისი სინქრონული კულტურული ფენა. იქვე დადასტურდა აღრეული შუა საუკუნეების მასალების შემცველი კულტურული ფენის ნაშთები (სურ. 36).

სამარხი 3.
1982.28.02. NW-
SO (სურ. 43).

კრამიტსამარხია, დაზიანებული. იგი თიხამიწაში გაუმართავთ, მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,20 მ სიღრმეზე შემორჩენილი იყო განივი კედლის თავშექცევით ჩაღვმული ორი ბრტყელი კრამიტი და იატაკის ასეთივე კრამიტი (სამარხის სიგრძე — 0,70, სიგანე — 0,80, სიმაღლე — 0,35). მიცვალებულის ჩონჩხის შემორჩენილი ნაწილების მიხედვით დადგინდა, რომ იგი ხელფეხმოკეცილი მარცხენა გვერდზე დაუქრძალავთ, თავით W-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

26 (01/8—11—5; სურ. 37,40) ბეჭედი რკინისა, ნაკლული, რკალშივე ამოჭრილ თვალბუდეში ზის ბრტყელპირიანი, მუქი-ყავისფერი სარდიონის ინტალიო. გამოსახულია ღვთაება აფროდიტე პროფილში მარცხნივ. მარცხენა ხელში სარკე უჭირავს და შიგ იყურება, მარჯვენათი თმებს ივარცხნის. ტანზე გრძელი სამოსი აცვია, წელის არეში სარტყლით გადაჭერილი.

27 (01/8—11—6; სურ. 39—42) ბეჭედი ბრინჯაოსი, ფარაკიანი. ოვალურ ფარაკზე გამოსახულია ინტალიო — იხვის ქუჭული. ინტალიო ფარაკიდან მჭიდრო ნაჭდეგების რკალით არის გამოყოფილი. ბეჭდის რკალი ვიწრო, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ოვალური და მხრებთან ოდნავ გამსხვილებული.

28 (01/8—11—7; სურ. 38, 40) ბეჭედი რკინისა, შემორჩენილია მხოლოდ თვალბუდე, რომელიც მიქანგულია ზემოაღწერილ რკინის ბეჭედზე. თვალბუდეში ზის მუქი ყავისფერი სარდიონის ოვალური და ბრტყელპირიანი ინტალიო. პირის შუაში გამოსახულია ნახევარმთვარე — მის თავზე კი ექვსქიმიანი ვარსკვლავი.

29 (01/8—11—8; სურ. 41) ბეჭედი ვერცხლისა. ბეჭდის რკალი ვიწრო ღეროა, რომელიც მხრებისკენ თანდათან ფართოვდება. მხრებზე თვალბუდეა მირჩილული, რომელშიც პასტის თვალი მჯდარა (მხოლოდ ნაშთია შემორჩენილი).

30 (01/8—9—91) მძივები (3 ც.) მომწვანო-მოშაბიამნისფრო მინისა, წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის.

კოდმანის კრამიტსამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი მსგავსია და, როგორც ჩანს, სინქრონული ქართლის I—II სს. დათარიღებული ძეგლებისა (4—8; 10).

სამთავროს ველზე სამუშაოები ჩატარდა სამაროვნის აღრევა-მოვლენილი ნაწილის ორ მონაკვეთში: ბაიათხევის სამხრეთ კალთაზე (ნაკვეთები LXXIV, XCVI, CXX, CCLXX, CCCLXX, CCCLXXII, CCCLXXIV და მის სამხრეთით — ნაკვეთი CXVIII; სურ. 44—45).

ბაიათხევის პირას ჩატარებული სამუშაოების მიზანი იყო სამთავროს სამაროვნის გავრცელების ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის დადგენა. ამ მონაკვეთში სამარხები მიწის ზედაპირთან ახლოს — 0,25—0,30 მ სიღრმეზე ჩნდებოდა.

CXVIII ნაკვეთში გაიხსნა სამარხები. რომლებიც ელინისტური ხანის ნამოსახლარის ნაშთებში იყო ვაჭრილი.

საანგარიშო წელს სამთავროს სამაროვანზე გაითხარა 24 სამარხი. მათ შორის 16 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია (№ 521, 606, 607, 609, 611, 613, 614, 615, 616, 617, 618, 619, 620, 624, 622, 623), 5 ქვაყუთი (№ 598, 608, 604, 610, 612), 1 კრამიტსამარხი (603), 1 თიხის ფილასამარხი (621), 1 კი ქვათლილებით ნაგები სამარხი — 597 ზემოაღნიშნული სამარხებიდან 11 გვიანანტიკური ხანისაა, ხოლო დანარჩენი ადრეშუასაუკუნეებს ეკუთვნის.

ადრეშაუკუნეებში ძირითადად გვხვდება ქვაყუთი და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ქვაყუთი აღნაგობით განსხვავდება გვიანანტიკური ხანის ქვაყუთისაგან. გვიანანტიკურ ხანაში ქვაყუთები საგულდაგულოდ არის დამუშავებული და როგორც წესი, ნარიბანდებიანია.

ვაქვეყნებთ საანგარიშო წელს სამთავროს სამაროვანზე გამოვლენილ გვიანანტიკური ხანის სამარხებს.

სამარხი 608.
(ხურ. 46, 47)
1982.09.15;
CCCLXXII, 5;
NO-SW;
1,50x0,60x0,55 მ*.

ქვაყუთია, ბანურსახურავიანი, ქვიშაქვის 4 ფილით გადახურული. გრძივი კედლები ორ-ორი ერთნაირი ზომის ფილაქვისა აქვს, სამარხში სამი ზრდასრული მიცვალებული დაუსვენებიათ. გულაღმა ვაშოტილი. თავით NO-კენ. ერთს მარჯვენა ხელი ტანს გასწვრივ ჰქონდა ჩაშვებული, მეორე კი გულხელდაკრეფილი იწვა.

სამარხში აღმოჩნდა ძლიერ დამტკრეული მინის სანელსაცხებლე.

31 (01/1—1912) სანელსაცხებლე თეთრი ფერის გამჭვირვალე მინისა. მხოლოდ ნატეხებია შემორჩენილი. კედლის სისქე — 1,5 მმ.

სამარხი 610.
(ხურ. 48)
1982.09.14; CCXX,
4; O-W;
1,93x0,83x0,65 მ.

ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. გრძივი კედლები ორ-ორი ერთნაირი ზომის ფილაქვისა აქვს. ვანივ კედლებზე ნარიბანდებია ამოკვეთილი. ჩონჩხის ძვლები არეული იყო. როგორც ჩანს, სამარხში ორი ზრდასრული მიცვალებული დაუქრძალავთ. იგი გაუძარცვავთ. სამარხში მინის ერთი სანელსაცხებლე აღმოჩნდა.

32 (01/1—1914) სანელსაცხებლე ღია მომწვანო, წყლისფერი, გამჭვირვალე მინისა. პირი ვადაშლილი აქვს. ბაკო — ჩაკეცილი, ყელი — დაბალი, მუცელი — მსხლისაბურთი, ძირი — ბრტყელი, ოდნავ დაღარული. სიმაღლე — 6.2. ყელის — 2.5. მუცლის — 3.5 სმ; დმ პირის — 2.1. ძირის — 2.1 სმ.

* სამარხის № დისახელების "ხმდევ" მოკლეწილობა გახსნის წელი, თვე, რიცხვი, საკვეთი, კიდრარტი, დამხრობა და სამარხის განახილვისა.

სამარხი 612.
(სურ. 49).
1982.09.13; XCVI,
11, 12; W-O;
1,75x0,80x0,65 მ.

ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. სამარხის გრძივი კედლები შედგენილია ორ-ორი დიდი და მცირე ზომის ფილაქვებისაგან. განივ კედლებზე ნარიბანდებია ამოკვეთილი. სამარხის იატაკი მდინარის წმინდა ქვიშით იყო მოფენილი. ორი მიცვალებული დაუკრძალავთ, გულალმა გამოტოლი, თავით W-კენ. ერთ-ერთ მათგანს ხელები ტანს გასწვრივ

ქონდა ჩამოშვებული.

სამარხში აღმოჩნდა ოქროს წყვილი საყურე და რგოლი.

33 (01/1—1908, სურ. 69) საყურე ოქროსი. განივკვეთში მრგვალი. ოქროს მავთულის ბოლოებგახსნილი რგოლია. დმ — 1,0 მმ.

34 (01/1—1909, სურ. 69) საყურე ოქროსი. განივკვეთში მრგვალი. ოქროს მავთულის ბოლოებგახსნილი რგოლია, რომელზედაც მირჩილულია ოქროს სამკუთხა თვალბუდე. თვალბუდეში ზის თავბრტყელი პიროპის თვალი. რგოლის დმ — 10 მმ, სიმაღლე — 12 მმ.

35 (01/1—1910, სურ. 70) საყურე ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიურია.

სამარხი 603.
(სურ. 50, 51).
1982.05.11; CCXX,
14; NO-SW;
1,20x0,60x0,50 მ.

კრამიტსამარხია, დაზიანებული, ქვიშაქვის მცირე ზომის 4 ფილაქვით გადახურული. გრძივი კედლები 4-4 ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტისაგან შედგებოდა (S კედელს ერთი კრამიტი აკლდა), რომელიც ვიწრო ნაწილით იყო ჩადგმული მიწაში, განივ კედლებად თითო-თითო ასეთივე კრამიტი ჩაუდგამთ.

მიცვალებულის ძვლები არეული იყო, ამიტომ დაკრძალვის პოზივერ დადგინდა.

სამარხი გაძარცვული და უინვენტარო იყო.

სამარხი 621.
(სურ. 52—53).
1982.10.19;
CCCLXXII, 12;
O-W;
1,84x0,47x0,58 მ.

თიხის ფილასამარხია, თიხის ფილებით გადახურული. გრძივ კედლებად სამ-სამი ოთხკუთხა ფილაა გამოყენებული, განივ კედლებად კი თითო-თითო (ზომები — 0,55x0,56x0,03 მ).

სამარხში 45—50 წლის მამაკაცი დაუკრძალავთ, გულალმა გამოტოლი, თავით O-კენ. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. მიცვალებული გულალმა გამოტოლი დაუკრძალავთ, გულზელდაკრეფილი, თავით NO-კენ.

სამარხი 607.
(სურ. 54—55).
1982.09.02; XCVI,
12; NO-SW;
1,80x0,50x0,35 მ.

სამარხში აღმოჩნდა მინის სანელსაცხებლე. 36 (01/1—1911; სურ. 71, 88) სანელსაცხებლე ღია-მომწვანო, წყლისფერი გამჭვირვალე მინისა, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — ჩაკეცილი, ყე-

ლი — მაღალი, ასიმეტრიული, მუცელი — მსხლისებური, ძირი — შეზნეპილი.

დმ პირის — 1,9. ყელის — 1,1. მუცლის — 3,4 სმ. სიმაღლე — 9 სმ. ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. სამარხის ორმო მოგრძო-ოვალური ფორმისაა.

სამარხი 614.

1982.10.22.

CCCLXXII, 2;

SO-NW;

1,60x0,51x0,36 მ.

მიცვალებული გულაღმა გამოტილი დაუკრძალავთ. თავით SO-კენ.

სამარხში აღმოჩნდა რკინის აბზინდა.

37 (01/1—1923; სურ. 74, 89) აბზინდა რკინისა. აქვს ოვალური მოყვანილობის სათასმე ჩარჩო, გრძელი, განივკვეთში ოთხკუთხა ენა.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. ოვალისებური მოყვანილობის ორმოში 10—11 წლის გოგონა დაუკრძალავთ, გულაღმა გამოტილი, თავით W-კენ.

სამარხი 622.

1982.10.21;

CCCLXX, 11; W-O;

1,00x0,25x0,25 მ.

სამარხში აღმოჩნდა წყვილი ბრინჯაოს საყურე.

38 (01/1—1932; სურ. 91) საყურე ბრინჯაოსი. განივკვეთში მრგვალი, ოვალისებური მოყვანილობის ბოლოებგახსნილი რგოლია. ბოლოები თანაბრად შევიწროებული აქვს. დმ — 1,3 სმ.

39 (01/1—1933; სურ. 92) საყურე ბრინჯაოსი, ზემოაღწერილის ანალოგიური.

სამარხი 597.

(სურ. 56—61).

1982.09.22;

CXVIII, 10; O-W;

1,84x0,70x0,65.

ოთხკუთხა ქვათლილებით ნაგები სამარხია, ქვიშაქვის სამი ფილით გადახურული. იგი ელინისტური ხანის კულტურულ ფენაში იყო ჩაჭრილი. სამარხის კედლები ოთხ რიგად დაწყობილი ქვათლილებისაგან შედგებოდა, რომლებზედაც ამოკვეთილი იყო პრიზმული და „მერცხლისკუდა“ ბუდეები. სამარხის გრძივი კედლები 20—20 ერთ

მწკრივად დაწყობილი ქვათლილისაგან შედგებოდა. ხოლო განივი კედლები — 8—8 ქვათლილისაგან.

ზრდასრული მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები არეული იყო, როგორც ჩანს, სამარხი გაუძარცვავთ.

სამარხში აღმოჩნდა ლამბაქისებური ნიჟარა.

40 (01/1—1920; სურ. 73,90) ნიჟარა ლამბაქისებური, ფერუმარილის საზელი. მრგვალი მოყვანილობისაა, ოდნავ ჩალრმავებული. პირზე ორ რიგად 60 ამოღარული წრე — წერტილოვანი ორნამენტი ამჩნევი.

ზომები — 12,1x11,5 სმ.

ზემოაღწერილ კომპლექსებში დადასტურებული ინვენტარი დამახასიათებელია მცხეთა-სამთავროს გვიანანტიკური ხანის სამარხეული ძეგლებისათვის, მსგავსი ინვენტარი ფართოდაა ცნობილი ამ პერიოდის ქართლის სამაროვნებზე. და იგი ზოგადად ახ.წ. III-IV სს-ით უნდა დათარიღდეს (11.13.14).

სამთავროს სამაროვანზე საანგარიშო წელს გაითხარა აგრეთვე აღ-
რეული შუა საუკუნეების სამარხები.

სამარხი 598.

1982.09.29;

CXVIII, 9; O-W.

ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. კედლები მთლიანი ფილაქვისა ჰქონდა. სამარხში ორი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა — მოზარდისა და ბავშვის. როგორც ჩანს, სამარხში დედა-შვილი დაუკრძალავთ.

გადარცულ სამარხში აღმოჩნდა: სანელსაცხებლისა და რკინის სამა-
ჯურის ნატეხები.

41 (01/1—1921; სურ. 75, 96) სანელსაცხებლე ღია მომწვანო, წყლისფერი გამკვირვალე მინისა. შემორჩენილია ყელ-პირის ნატეხი, ირიზებულია. პირი გადამოხრილი აქვს, ბაკო — ჩაკეცილი, ყელი — მალა-
ლი. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე — 4,9 სმ, პირის დმ — 1,1 სმ.

42 (01/1—1922; სურ. 76, 95) სამაჯური რკინისა, დამტვრეული. რკალი განივკვეთში ოვალური აქვს. დმ — 5 სმ.

სამარხი 609.

1982.09.09; XCVI,

12; O-W;

1,50x0,50x0,30.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული, ოვალური მოყვანილობის ორმოში მიცვალებული იწვა გულაღმა გაშოტილი, თავით O-კენ.

სამარხში აღმოჩნდა რკინის რგოლი.

43 (01/1—1913; სურ. 85) რგოლი რკინისა, დამტვრეული, განივკვეთში მრგვალია. დმ — 2,2 სმ, რკალის სისქე — 2 მმ.

ორმოსამარხია, ქვიშაქვის სამი ფილით გადახურული. მოგრძო-ოვალისებური მოყვანილობის ორ-
მოში 60—65 წლის ქალი დაუკრძალავთ, გულაღ-
მა გაშოტილი, თავით O-კენ.

სამარხი 611.

1982.09.13;

XCVI, 12; O-W;

1,70x0,55 მ.

სამარხში აღმოჩნდა: რკინის მშვილდსაკინძი,

2 ბრინჯაოს საკინძი, ბრინჯაოს საყურე რგოლი

(აღებისას დაიშალა) და 2 რკინის ლერაკი (სურ. 101—104).

44 (01/1—1915; სურ. 101) მშვილდსაკინძი რკინისა. ბუდეაბმული, მუხლსახსრიანი. მშვილდი დაბალია და ბრტყელი. ჯვრისებრი მოყვანი-
ლობა აქვს და შემკულია ბრინჯაოს ოთხკუთხა ფირფიტით. ენაზე ქსო-
ვილის (სელის) ფრაგმენტებია შერჩენილი.

სიგრძე — 4,2 სმ, სიმაღლე — 1,6 სმ.

45 (01/1—1916; სურ. 98) საკინძი ბრინჯაოსი. თავი შემკული აქვს ბროწეულის ნაყოფის ფორმის მძივით, რომელიც ბრინჯაოს ვარდულე-
ბით არის დამაგრებული ლერაკზე.

სიმაღლე — 10,8 სმ.

46 (01/1—1917; სურ. 104) საკინძი ბრინჯაოსი. შემორჩენილია განივკვეთში მრგვალი ლერო, რომელიც ბოლოსაკენ თანაბრად შევიწრო-
ებულია.

სიგრძე — 5 სმ.

- სამარხი 616.**
1982.10.21;
CCCLXXII, 5, 6;
SO-NW;
1,75x0,60x0,35.
 ორმოსამარხია, ქვიშაქვის 8 ფილით გადახურული. მოგრძო, ოვალისებური მოყვანილობის ორმოში 25—30 წლის ქალი დაუკრძალავთ. გულალმა გამოტილი, თავით SO-კენ.
 სამარხში რკინის მშვილდსაყინძი აღმოჩნდა.
47 (01/1—1924; სურ. 83, 94) მშვილდსაყინძი რკინისა, მუხლსახსრიანი, ბუდეშლიანი.
 მშვილდი ბრტყელია. ენა აკლია.
 სიგრძე — 4,1 სმ, სიმაღლე — 1,3 სმ.
- სამარხი 617.**
1982.10.04;
CCCLXXII, 12;
O-W;
2,20x0,65x0,35 მ.
 ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. მოგრძო, ოვალური მოყვანილობის ორმოში 40—45 მამაკაცი დაუკრძალავთ გულალმა გამოტილი, თავით O-კენ.
 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდა.
48 (01/1—1925; სურ. 84, 93) აბზინდა ბრინჯაოსი, რკინის ენიანი, ე.წ. „ქერალდიკურფარაკიანი“. ერთწილადი, აქვს მომრგვალებული ფარაკი, რომელიც დიდი სამკუთხა წვერით ბოლოვდება. სათასზე ჩარჩო მომრგვალებული და ზედა ნაწილში ჩაზნექილია. ფარაკზე მრგვალი სამანკველე ნახვრეტი აქვს.
 სიგრძე — 4,7 სმ, სიგანე — 2,8 სმ.
- სამარხი 618.**
1982.10.13;
CCCLXXII, 2;
SO-NW;
1,85x0,60x0,35 მ.
 ორმოსამარხია, ქვიშაქვის 4 ფილით გადახურული. მოგრძო, ოვალისებური მოყვანილობის ორმოში 45—50 წლის ქალი დაუკრძალავთ გულალმა გამოტილი, თავით SO-კენ.
 სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს 3 საყინძი, ბრინჯაოს წყვილი საყურე და სათითვე რგოლი ბრინჯაოსი.
49 (01/1—1926; სურ. 99,77) საყინძი ბრინჯაოსი, მთლიანად სხმული, განივკვეთში მრგვალი, ბრტყელი თავი ბურთულით ბოლოვდება.
 სიგრძე — 9,4 მმ.
50 (01/1—1927; სურ. 78, 100) საყინძი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი, თავი ლაქვარდის შვიდწახნაგა მძივით აქვს შემკული.
 სიგრძე — 8,2 სმ.
51 (01/1—1928; სურ. 79, 106) საყინძი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი. თავი შემკული აქვს ლაქვარდის დაწახნაგებული მძივით, რომელიც ბრინჯაოს ვარდულეებითაა დამაგრებული ღერაკზე.
 სიგრძე — 6,7 სმ.
52 (01/1—1929; სურ. 81, 107) საყურე ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი. ბოლოებგახსნილი რგოლია, რომელიც ერთ მხარეს ოთხკუთხა ბრტყელი თავით ბოლოვდება.
 დმ — 1,9 სმ.

53 (01/1—1930; სურ. 108) საყურე ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი, ბოლოებზევიწროებული რგოლია. დმ — 1,9 სმ.

54 (01/1—1931) საითე რგოლი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი. დმ — 2 სმ.

ზემოაღწერილი მასალის ანალოგები მრავლადაა დადასტურებული ქართლის ადრეული საუკუნეების სამაროვნებზე და იგი ზოგადად IV-VII სს. თარიღდება (9.12).

საანგარიშო წელს გაგრძელდა ვათხრები ანტიკური ხანის მცხეთის ჩრდილოეთის კარიბჭეზე. განახლდა სამუშაოები ლართისკარისა და ბრინჯილელეს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე — საფორტიფიკაციო სისტემის ცალკეული ელემენტების დასადგენად. არაგვის მარცხენა სანაპიროზე, ახლადაგებული ხიდიდან 100-დე მ დაცილებით, გზის ქრილში დადასტურდა ალიზით ნაგები კედლის ნაშთი. იგი ლართისკარზე აღმოჩენილი კომპლექსის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს და უეჭველია. მის გაგრძელებას წარმოადგენს. აღნიშნული კედელი გამოყოფილია (დაცულია) სამხრეთიდან მკირე ხევით, რომელიც არაგვის უერთდება.

პირველი კოშკის აღმოსავლეთით, 140 მ სიგრძეზე გამოვლინდა გალავნის გაგრძელება და კიდევ ორი კოშკი. გაიწმინდა აღნიშნული კოშკების (№ 2, 3) და გალავნის ჩრდილოეთი ნაწილი — პირიმხარე. პირველ და მეორე კოშკებს შორის მანძილი 56 მ-ია, ხოლო მეორე და მესამე კოშკები ერთმანეთისაგან 51 მ არის დაცილებული. გალავნის ზემოაღნიშნული მონაკვეთი ჩაჭრილია კონგლომერატში (ქვა-ლორღში). მეორე და მესამე კოშკებიც ოთხკუთხა მოყვანილობისაა (სიგრძე — 8,40 მ) და გალავნიდან 1 მ არის გამოწეული. ამრიგად, მთლიანად ბრინჯილელეს პირზე 270 მ სიგრძეზე დადასტურდა გალავანი. პირველი კოშკის დასავლეთით გამოვლენილ ნაწილს ეტყობა ძლიერი ცეცხლის კვალი — ალიზის აგურები მოწითალო-მოვარდისფროდაა გამომწვარი, დამწვარია აგრეთვე გალავნის საძირკველისათვის გამოყენებული ქვები და ძელები. პირველი კოშკის აღმოსავლეთით კი (მესამე კოშკის ჩათვლით) მხოლოდ თიხა-ალიზია ნახმარი. მესამე კოშკის აღმოსავლეთით კვლავ შეინიშნება ცეცხლის კვალი.

ბრინჯილელეს პირზე გამოვლენილი გალავნის კოშკები რელიეფის საგრძნობი ცვლილების ადგილზეა გამართული. გალავნის კოშკებში შორის მონაკვეთს სამხრეთით — ზურგიმხარეს — პარალელურად გასდევს კონგლომერატისაგან შემდგარი ბუნებრივი ზღუდე, როგორც ჩანს, დაცვის მეორე რივი.

საანგარიშო წელს ლართისკარისხევის მარცხენა ნაპირზე დადასტურდა ადრე გამოვლენილი ზღუდის გაგრძელება, რომელიც, როგორც ირკვევა, არაგვამდე ჩადიოდა. ამრიგად, გამოიკვეთა გალავნების სისტემა, რომელიც ლართისკარის ქედის განმხოლოებული თხემიდან ორ რივად ეშვება არაგვისაკენ და ქმნის სამკუთხა მოყვანილობის სივრცეს.

საანგარიშო წელს დასრულდა პირველი კოშკის შიგთავსის გაწმენდა. კოშკის ქვედა, სარდაფის განყოფილება მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1.80 მ სიღრმეზე გამოვლინდა. კოშკის შიგთავსის წმენდისას გამოიკვეთა სართულშორისი გადახურვის ნაწილები — დამწვარ-დანახშირებული ძელების ნაშთები და უფორმო ალიზის ფენა (სურ. 109—123).

ოთხკუთხა მოყვანილობის კოშკი (შიდა ზომები 4,40 x 4,40 მ) W-O ლერძზეა დამხრობილი და ზურგიმხარით კონგლომერატის შემადგენელ ზღუდეს ებჯინება. კოშკის შიგთავსის კედლები ალიზის ხსნარით შელესილ-მობათქაშებულია, ხოლო იატაკი თიხატყეპნილია.

შიგთავსის წმენდისას 6 ფენა დადასტურდა, რომლებიც ალიზის ჩაქცეული მასისა და დამწვარ-დანახშირებული ძელების ფენების მონაცვლეობას წარმოადგენს.

I ფენა — 10—30 სმ.

II ფენა — 30—50 სმ.

III ფენა — 20—40 სმ.

IV ფენა — 20—30 სმ.

V ფენა — 25—40 სმ.

VI ფენა — 10—20 სმ.

ზემოაღწერილი ფენების ალაგების შემდეგ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ პირველი კოშკი, შესაძლოა, სამსართულიანი იყო.

კოშკის შიგთავსის გაწმენდისას იატაკზე აღმოჩნდა:

55 (01/22—19; სურ. 124) ანჯამა ბრინჯაოსი. ორი ფირფიტისაგან შედგება, რომლებიც სამ ადგილას არის ერთმანეთზე გადაბმული.

სიგრძე — 8 სმ, სიგანე — 3,5 სმ.

56 (01/22—18; სურ. 125) ლურსმნები რკინისა, ოთხწახნაგა, ქუდიანი.

სიგრძე — 6 სმ.

57 (01./22—17; სურ. 126) კოკობი ყურიანი, მოშავოდ გამომწვარი თიხისა. დამტვრეულია.

58 (01/22—15) კურკლის გვერდის ნატეხი მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. თეთრი ანგობის სარტყლები ამკობს.

59 (01/22—6; სურ. 127) თიხის კურკლის გვერდის ნატეხი, მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, მოხატული წითელი წერნაქით. ემჩნევა სარტყლები.

ზემოაღწერილი მასალა ანალოგების მიხედვით ზოგადად ელინისტური ხანით თარიღდება [15]. აღნიშნულ თარიღს აზუსტებს კოშკის შიგთავსში აღმოჩენილი დანახშირებული ძელის c¹⁴ მეთოდით განსაზღვრული ნიმუშის აბსოლუტური თარიღი — ძვ.წ.აღ. 280 წ. (ნიმუში განსაზღვრულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დათარიღების ლაბორატორიაში).

1982 წელს წეროვან-ნარეკვავის რაზმი რამდენიმე უბანზე მუშაობდა. კვლევა-ძიება ჩატარდა ნარეკვავის ნამოსახლარზე და

სამაროვანზე, აგრეთვე ნატახტარის III სამაროვანზე. დაზვერვების შედეგად გამოვლინდა ძეგლები წეროვან-გოროვანში, სოფ. მუხრანთან, ნატახტარზე, მისაქციელში და წეროვნის დასახლების ტერიტორიაზე.

ნარეკვაავი, კალანდაძისგორა I. ნამოსახლარზე მუშაობა განახლდა მე-2 და მე-6 კვადრატში (სურ. 132—136); გამოვლინდა ორი ერთმანეთზე გამართული სახლი (მე-6 და მე-7).

სახლი 6. I ნაკვეთი, კვ. 2,6. დამხრობა W-O; იგი SO მხრიდან ესაზღვრება ადრე გამოვლენილ მე-2 სახლს. უკანა მხარე, როგორც წესი, მიწაში — კონგლომერატში იყო გაქრილი, ხოლო კედლების ასაგებად რიყის ქვა და უმი ალიზი გამოუყენებიათ. სახლის საფასადო ნაწილი — პირიმხარე დაზიანებულია მიწის სამუშაოებისას, ხოლო ზურგიმხარე ალიზით შეუღლესავთ. თიხა-ალიზისა იყო, აგრეთვე, იატაკი.

მე-6 სახლს SW მხარეს ქვა-ალიზით ნაგები პურის საცხოობი ლუმელი დადასტურდა სანაცრიითურთ (1,12×1,12×0,3 მ). იგი შედგება საცხოობი და საცეცხლე განყოფილებისგან, რომელსაც საერთო თაღოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა.

ზემოაღწერილი ლუმელი გამართულია ადრე არსებული სახლის (7) ლუმელზე და მასთან შედარებით მცირე ზომისაა, ასევე შემცირებული ჩანს მთლიანად მე-6 სახლი ერთ ვერტიკალში მდებარე ქვედა მე-7 სახლთან შედარებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსგავსი სურათი დადასტურდა სამთავროსა და თრელიგორების გორანამოსახლარზე. ეს მოვლენა, შესაძლოა, სოციალური მომენტის ამსახველი იყოს.

მე-7 სახლი დაზიანებულია და ნაწილობრივ დაფარულია უფრო გვიან აშენებული მე-6 სახლით. გამოვლინდა მე-7 სახლის სამხრეთ კედელი (სიგრძე — 5,6 მ) და ჩრდილო კედლის ნაშთები, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სავარაუდო ფართობი — 36 მ².

ზემოაღნიშნული სახლების გაწმენდისას აღმოჩნდა მწირი არქეოლოგიური მასალა, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს:

60 (01/10—916; სურ. 139—140) ცხოველის (ცხვრის?) მინიატურული ქანდაკება ნაცრისფერად გამომწვარი თიხისა, შავად ნაპრიალები. სტილიზებულია. თავი, კული (?) და ქვედა კიდურები მოტეხილი აქვს.

შემორჩენილი სიმაღლე — 5 სმ, სიგანე — 5 სმ.

აღმოჩნდა მე-6 სახლის NW მხარეს.

61 (01/10—921; სურ. 141) ნამგლის ჩასართი კაჟისა, მოყვითალო ფერის სეგმენტისებური მოყვანილობის ფირფიტაა, რომელსაც კბილანისებური დამუშავებული პირი აქვს. სიგრძე — 5 სმ, სიგანე — 2 სმ. აღმოჩნდა მე-6 სახლის იატაკზე.

62 (01/10—920) ობსიდიანის ანატკეცი. ოდნავ შესამჩნევი რეტუშის კვალი ეტყობა.

სიგრძე — 5,5, სიგანე — 2,5 სმ.

63 (01/10—917) ფირფიტა ბრინჯაოსი, ძლიერ პატინირებული.

სიგრძე — 5 სმ.

64 (01/10—919; სურ. 137) თიხის ჭურჭლის მუცლის ნატეხი. ლეგა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. შუა ნაწილში რელიეფური სარტყელი შემოსდევს, რომლის თავზე ამოღარული სოლისებური ორნამენტია დატანილი.

კეცის სისქე — 0,8 სმ. აღმოჩნდა მე-6 სახლის იატაკის შელესილობაში.

65 (01/10—918; სურ. 138) თიხის ჭურჭლის პირის ნატეხი ლეგა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირმოყრილი, ბაკო მრგვალი აქვს. პირს ქვემოთ სამი ამოღარული სარტყელი ამკობს.

კეცის სისქე — 6 მმ. აღმოჩნდა იქვე.

პირმოყრილი და სოლური ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ნატეხების აღმოჩენის ფაქტი კალანდაძისგორა I ნამოსახლარზე ადრეული ფენების არსებობას გვაგარაულებინებს. აღნიშნული ფენების დადასტურებას დიდი მნიშვნელობა ექნება ნარეკვავის ნამოსახლარის სტრატოგრაფიისა და ქრონოლოგია-პერიოდიზაციის გარკვევისათვის.

მე-6 სახლის სტრატოგრაფიული მდებარეობა და მიმართება ადრე აღმოჩენილ პირველ და მეორე სახლებთან საშუალებას გვაძლევს იგი მათ სინქრონულად მივიჩნიოთ და VII—VI სს. დავათარილოთ (2).

მე-7 სახლი, ბუნებრივია, ადრეულია, მაგრამ აბსოლუტური თარიღის განსაზღვრა მასალის სიმცირის გამო გაძნელებულია.

ნარეკვავის ნამოსახლარის სინქრონულ სამაროვანზე, რომელიც გორანამოსახლარების ძირზე, მუხრანის ველზე, მდ. ნარეკვავის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს, საანგარიშო წელს გაითხარა 16 ორმოსამარხი (სურ. 143—146), რომელთაგან 10 მიწის სამშუაოების დროს იყო დაზიანებული. სამარხები მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,60—1,70 მ სიღრმეზე მდებარეობს. ისინი ოთხკუთხა მოყვანილობის მოგარძო ორმოებს წარმოადგენენ, რომლებიც ქვა-მიწაყრილით გადაუხურავეთ (მიახლოებითი ზომებია: 1,95×1,70 მ).

სამარხთა გამოვლენისას დადასტურებული სტრატოგრაფიული კრილი ასეთია: 1. ჰუმუსიანი ფენა, მოშავო-მოწაბლისფრო — 0,25—0,30 მ სისქისა;

2. ქვალორიანი ფენა, დელუვიური წარმოშობის — 0,30—0,70 მ;

3. მოყვითალო ფერის თიხნარი ნიადაგი ალუვიური წარმოშობის, რომელშიც გაჭრილია სამარხი ორმო.

საანგარიშო წელს აღმოჩენილი ყველა სამარხი ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაუკრძალავთ ხელფეხბოკეცილი, მარჯვენა (№ 28, 32, 34, 39) ან მარცხენა (№ 30, 31, 37) გვერდზე, თავით NNW ან NNO მიმართულებით. გამონაკლისს წარმოადგენდა მე-40 სამარხი, რომელშიც ინვენტარი არ აღმოჩნდა და მიცვალებული ქრისტიანულ წესით — გულაღმა გამოტილ მდგომარეობაში იყო დაკრძალული.

სამ სამარხში (№ 29, 30, 31) აღმოჩნდა რიყის მოზრდილი ქვები, რომელიც სარეცლის საყრდენად გამოუყენებიათ. ამაზე მეტყველებს, აგ-

რეთვე, თიხის ჭურჭელი, რომელიც მიცვალებულის (სარეცლის) ქვეშ აღმოჩნდა. მსგავსი სურათი დადასტურდა იქვე, 1960 წელს № 1 სამარხში; 1977 წელს მე-13 სამარხში; აგრეთვე, სამთავროს და წეროვნის სამაროვნებზე.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი სამარხი ერთმანეთზეა განლაგებული (29, 30 და 33, 36). რაც შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა.

სამარხებში გვხვდება ალაპის ნაშთი, — წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

ნარეკავის სამაროვანზე აღმოჩენილ სამარხულ კომპლექსებში დადასტურდა: თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს, რკინისა და ძვლის ნივთები; სარდიონის, მინისებრი პასტის და თეთრი ქვის მძივები, აგრეთვე ნიჟარა—კაურები.

სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელს შორის გამოიყო: ლანგარი, ბადია, ჯამი, ფიალა, კოკა, დოქი, ხელადა, დერგი, ქოთანა, კოჭობი, ქილა, კათხა, სასმისი, ქვევრი. უმეტესი მათგანი მორგვზეა დამზადებული, მხოლოდ მცირე ნაწილია ხელით ნაძერწი. თიხის ჭურჭელი ძირითადად ლეგა-მონაცრისფროდაა გამომწვარი, გვხვდება მოყავისფრო და მოშავოდ გამომწვარი ცალებიც. დიდი ნაწილი არათანაბრადაა გამომწვარი. იგი შემკულია ირიბი ქდეული და რელიეფური ხაზებით, აგრეთვე ირიბად დაშტრიხული პირამიდებით; წიწვისებური ნაკაწრი ზოლებით, კოპებით; წნევით დატანილი ნაპრიალები რომბისებური და ვერტიკალური ხაზებით და ა.შ.

ბრინჯაოს ნივთებიდან სამარხებში გვხვდება როგორც სამკაული, ისე საბრძოლო იარაღი.

საანგარიშო წელს გამოვლენილი სამარხული კომპლექსებიდან ყველაზე გვიანდელი, ბუნებრივია, მე-40 უნივენტარო სამარხია, რომელშიც ქრისტიანული დაკრძალვის წესი დადასტურდა და ამიტომ იგი ზოგადად ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს.

32-ე სამარხული კომპლექსი, რომელშიც აღმოჩნდა ბრინჯაოს სკვითური სამფრთიანი და ორფრთიანი დეზებიანი ისრისწვერები, ცალპირლესილი მოხრილი დანა, გველისთავებიანი ბრინჯაოს სამაჭური VII—VI სს. მიჯნით ან. უფრო ზუსტად, VI საუკუნით თარიღდება (16.17.18). აღსანიშნავია, რომ მსგავს ბრინჯაოს სამაჭურებს, რომლებიც კარმირბლურზე აღმოჩნდა, აკად. ბ. პიოტროვსკი ძვ.წ. VI ს. პირველი მეოთხედით ათარიღებს, ხოლო ვ. პეტრენკოს კლასიფიკაციით იგი V—III სს. ჩანს გავრცელებული (19.20). ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყურადღებას იქცევს მსგავსება და გენეტიკური კავშირი კამარახევის ადრეანტიკურ-ადრეელინისტური ხანის სამაროვანთან, რომელიც შეიძლება ქრონოლოგიური სიახლოვითაც აიხსნას.

შედარებით არქაულად გამოიყურება 29-ე სამარხი, რომელშიც ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილი აღმოჩნდა. იგი ძირითადად, VIII—VII სს. დათარიღებულ კომპლექსებში დასტურდება.

ყველაზე ადრეული უნდა იყოს 29-ე სამარხის ქვეშ გამოვლენილი 30-ე სამარხეული კომპლექსი.

ამრიგად, ნარეკვავის სამაროვანზე 1982 წელს შესწავლილი სამარხები საშუალებას იძლევა გამოვყოთ ქრისტიანული ხანისა და რკინის ფართო ათვისების პერიოდის სხვადასხვა ეტაპის ამსახველი ძეგლები, რომელთა ქრონოლოგიური გამოიკვანა შესაძლებელი გახდა როგორც პარალელური მასალების მოშველიებით, ისე სტრატეგრაფიული დაკვირვების საფუძველზე.

ვაქვეყნებთ საანგარიშო წელს ნარეკვავის სამაროვანზე აღმოჩენილ სამარხეულ კომპლექსებს.

სამარხი 28.

(სურ. 147).

1982.05.19;

XVIII, 11.

ორმოსამარხია. დაზიანებული აღმოჩნდა მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,40 მ სიღრმეზე.

სამარხში დადასტურდა მიცვალებულის დაზიანებული თავისქალა, მხრის, წინამხრისა და თითის ფალანგები. მათი განლაგების მიხედვით, 40—45 წლის მამაკაცი მარჯვენა გვერდზე დაუქრძალავთ.

სამარხში აღმოჩნდა: დოქი, ბადია და კოკობი.

66 (01/10—819; სურ. 148) დოქი ლეგა-მონაცრისფროდ გამოძვარი თიხისა. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — ცილინდრული, ოდნავ შეზნეკილი, მხარი — დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. განიკვეთში ოვალური ყურისთავი პირზე, ხოლო ყურის ძირი მხარზეა დაქრწილი.

სიმაღლე — 20,5, დმ პირის — 8,5, მუცლის — 18, ძირის — 8 სმ.

67 (01/10—820; სურ. 149) ბადია ნაცრისფრად გამოძვარი თიხისა. დაზიანებულია. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — ბრტყელი, გვერდი — ოდნავ შეზნეკილი, კალთა — თანაბრად დაშვებული. ძირი — ბრტყელი.

კეცის სისქე — 9 მმ.

68 (01/10—821; სურ. 150) კოკობი ლეგა-ნაცრისფრად გამოძვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, შეზნეკილი. მუცელი — გამობერილი, ასიმეტრიული, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 6,5, დმ პირის — 4, მუცლის — 7, ძირის — 2,5 სმ.

სამარხი 29

(სურ.151).

1982.26.05;

XIII,10;

1,95x1,40 მ.

ქვაყრილიანი ორმოსამარხია, დაზიანებული. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,70 მ სიღრმეზე. დადასტურდა მიცვალებულის ზედა და ქვედა კიდურები. როგორც ჩანს, იგი ხელფეხმოკეცილი დაუსვენებიათ.

სამარხში აღმოჩნდა: ქილები, ღერგი, ლანგარი, ქოთანის, დოქი, ფიალა, სასმისი, კათხა, ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილი, რკინის შუბისწვერი, ბრინჯაოს და რკინის სამაჯურები, ბრინჯაოს ვარდულები, რგოლსაკიდები, ლილები, რგოლები.

69 (01/10—822; სურ. 152) ქილა მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. დაზიანებულია. მხრები დამრეცი აქვს, ტანი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი, ოდნავ ჩალარული. განივკვეთში ოვალური, ზოომორფული ყურისთავი მხარზე, ხოლო ყურისძირი მუცელზეა დაქერწილი. მხარს ფრჩხილისებური ორნამენტი ამკობს, ხოლო ძირს ირგვლივ ირიბი ქლები შემოუყვება.

სიმაღლე — 19, კეცის სისქე — 0,7 სმ.

70 (01/10—823; სურ. 153) დერგი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, დალარული. მხრები — დამრეცი, მუცელი — გამობერილი, წიბოიანი. ძირი ბრტყელი. მხარს პრიალა ხაზებით დატანილი ბადისებრი სახეები ამკობს.

სიმაღლე — 25, დმ პირის — 19, მუცლის — 30,5, ძირის — 11 სმ.

71 (01/10—824; სურ. 154) ლანგარი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. შიდაპირნაპრიალებზე პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, გვერდი — შეზნექილი. მხარი — წიბოიანი, კალთა — მკვეთრად დაქანებული, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 13, დმ პირის — 43, ძირის — 12 სმ.

72 (01/10—825; სურ. 155) ფიალა შავად გამომწვარი თიხისა, შიდაპირნაპრიალები. პირი მრგვალი აქვს, გამოყოფილი. გვერდი — შევეული, კალთა — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი, ჩალარული.

სიმაღლე — 4, დმ პირის — 12,5, ძირის — 5,3 სმ.

73 (01/10—826; სურ. 156) სასმისი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. დაზიანებულია. პირი მრგვალი აქვს, ტანი — ცილინდრული, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში — ოვალური, ზოომორფულ-შვერილიანი, ყური ტანზე აქვს დაქერწილი.

სიმაღლე — 9,5, დმ მუცლის — 10,5, ძირის — 7 სმ.

74 (01/10—827; სურ. 157) ქოთანი მონაცრისფრო-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა. დაზიანებულია, ხელით ნაქერწი, პირი ოდნავ მოყრილი აქვს, ბაკო — სწორი, მუცელი — შუაზე გამობერილი, ძირისკენ შევიწროებული. ძირი — ბრტყელი. განივკვეთში რკალური, თავთან ჩალარული ყურისთავი პირის ქვემოთ, ხოლო ყურისძირი მუცელზეა დაქერწილი.

კეცის სისქე — 10 მმ.

75 (01/10—828; სურ. 158) დოქი მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალქობიანი, ყელი — ცილინდრული, მხრები დამრეცი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში მრგვალი ყურისთავი უშუალოდ პირზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაქერწილი. ყელზე და მხარზე ამოღარული სარტყლები ამკობს.

სიმაღლე — 22,5, დმ პირის — 9,5, მუცლის — 21, ძირის — 9 სმ.

76 (01/10—829; სურ. 159) სასმისი მოშავოდ გამომწვარი თიხისა.

დაზიანებულია. პირი — სწორბაკოიანი აქვს, ყელი — ცილინდრული, დაღარული, მუცელი — შუაზე გამობერილი, ძირისკენ შევიწროებული, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოვალური, ზოომორფული ყური მუცელზეა დაძერწილი.

სიმაღლე — 9, დმ პირის — 7, მუცლის — 8,5, ძირის — 5,5 სმ.

77 (01/10—830; სურ. 160) ქოთანი მოშავოდ გამომწვარი თიხისა. დაზიანებულია. ზედაპირნაპრიალები. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — ცილინდრული, მუცელი შუაზე გამობერილი, ძირისკენ შევიწროებული, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოვალური, ზოომორფული ყური მუცელზეა დაძერწილი. ყელს ამოღარული სარტყლები ამკობს.

სიმაღლე — 14, დმ მუცლის — 14, ძირის — 6,5 სმ.

78 (01/10—831; სურ. 161) ქილა მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა. ძლიერ დაზიანებულია. მხრები დამრეცი აქვს, ტანი — კვერცხისებური მოყვანილობის, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოვალური ყურისთავი მხარზე, ხოლო ყურისძირი მუცელზეა დაძერწილი.

კეცის სისქე — 6 მმ.

79 (01/10—832; სურ. 162) კათხისებური სასმისი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ძლიერ დაზიანებულია. პირი მოყრილი აქვს, მხრები — მკვეთრად დაქანებული, მუცელი — წიბოიანი, ბიკონუსისებური ფორმის, ძირი — ბრტყელი. მხარსა და მუცელზე განივკვეთში ოვალური ყური ჰქონია დაძერწილი.

კეცის სისქე — 6 მმ.

80 (01/10—833; სურ. 164) ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილი. დაზიანებულია. ბრინჯაოს ქარქაშშია ჩასმული. ტარი წელში გამოყვანილი აქვს, ფიგურული.

სიგრძე — 63, ტარის სიგრძე — 11 სმ.

81 (01/10—834; სურ. 163) შუბისწვერი რკინისა, ძლიერ დაზიანებული და დაღარული. მასრაგახსნილი. მხრები დაშვებული აქვს, პირზე ოდნავ შესამჩნევი ქედი ატყვია.

შემორჩენილი სიგრძე — 24 სმ.

82 (01/10—835; სურ. 165) სამაჯურები ბრინჯაოსი (5 ც.), განივკვეთში მრგვალი, წრიულად მორკალული ღერო აქვს, ბოლოები ერთმანეთზე გადადის. ზედაპირი ნაქდევი ხაზებით აქვს შემკული.

რკალის დმ — 7 სმ.

83 (01/10—836; სურ. 166) სამაჯური რკინისა. ძლიერ დაზიანებული და დაქანებული. განივკვეთში მრგვალი, წრიულად მორკალული სადა ღეროს ბოლოები გახსნილი აქვს.

რკალი დმ — 8,5 სმ.

84 (01/10—836; სურ. 167) ვარდული ბრინჯაოსი (2 ც.) ნახევარსფერული მოყვანილობის გაზვრეტილ ფირფიტას ბოლოები დაკბილული აქვს.

85 (01/10—840; სურ. 168, 170) საკიდი ბრინჯაოსი, კვირული. მრგვალი თხელი ფირფიტა ორ რიგად სამკუთხა ფანჯრებით არის შემკული. შუაში მრგვალი ნახვრეტი აქვს, ხოლო უკანა მხრიდან ძაფის გამოსადები ყუნწი.

რგოლის დმ — 3,5 სმ.

86 (01/10—841; სურ. 169, 171) საკიდი ბრინჯაოსი. ზემოაღწერილის ანალოგიური.

რგოლის დმ — 3,5 სმ.

87 (01/10—842; სურ. 172, 173) ლილები ბრინჯაოსი (31 ც.) ნახევარსფერული ფირფიტა. ამათგან 3 გახვრეტილია. შიდა მხრიდან ძაფის გამოსადები ყუნწი აქვს.

დმ — 11 მმ.

88 (01/10—843; სურ. 174) რგოლები ბრინჯაოსი (2 ც.). განივკვეთში მრგვალი, სადა ღეროს ბოლოები ერთმანეთზე გადასული აქვს.

რკალის დმ — 2 სმ.

89 (01/10—844; სურ. 175) ღერაკი ბრინჯაოსი, სადაზედაპირიანი ღერო განივკვეთში მრგვალია.

სიგრძე — 5 სმ.

სამარხი 30.
(სურ. 176—177).
1982.31.05; XIII,
10; 1,90×1,70 მ.

ორმოსამარხია, ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოში დაუკრძალავთ 25—30 წლის ქალი, მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. თავისქალასთან და ქვედა კიდურებთან თითო მოზრდილი რიყის ქვა იდო.

სამარხში აღმოჩნდა: კოჭობი, სასმისი, ღოჭი, ლანგარი, ბადია, კოკა, ღერგი, ღოჭი, კათხა, ბრინჯაოს საკინძები, მძივები და ალაპის ნაშთი — წვრილფეხა საქონლის ძვლები.

90 (01/10—856; სურ. 178) კოჭობი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მხარი და მუცლის ნაწილი შავად ნაპრიალები აქვს. პირი — გადაშლილი, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, მხრები დაშვებული, მუცელი გამობერილი, მრგვალწიბოიანი, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 9, დმ პირის — 5, მუცლის — 10, ძირის — 2,5 სმ.

91 (01/10—857; სურ. 179) ტოლჩა-სასმისი მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა. პირი ფართო აქვს, ყელი — დაბალი, დაღარული, მხრები — დამრეცი, მუცელი — ოდნავ გამობერილი, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოვალური ზოომორფული ყურისთავი მხარზე, ხოლო ყურისძირი მუცელზეა დაძერწილი.

სიმაღლე — 14,5, დმ პირის — 10,5, მუცლის — 11, ძირის — 8,5 სმ.

92 (01/10—858; სურ. 180) ტოლჩისებური სასმისი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. ხელითაა ნაძერწი, ოდნავ პირმოყრილი, სწორბაკოიანი. მუცელი ქვედა ნაწილში წიბოიანი აქვს, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოთხკუთხა ზოომორფული ყურისთავი პირის მახლობლად, ხოლო ყურისძირი მუცელზეა დაძერწილი.

სიმაღლე — 13, დმ პირის — 11,5, მუცლის — 15,5, ძირის — 6,5 სმ.

93 (01/10—859; სურ. 181) დოქი შავად გამომწვარი და შავბრია-
ლა. ძლიერ დაზიანებულია. მხარი დამრეცი აქვს, მუცელი — გამობერი-
ლი, ძირი — ბრტყელი. მხარზე სამი ამოღარული სარტყელი ამჩნევია.

კეცის სისქე — 0,6 სმ.

94 (01/10—860; სურ. 182) ლანგარი ლეგა-მონაცრისფროდ გამო-
მწვარი თიხისა. დაზიანებულია. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვა-
ლი, გვერდი — პირს ქვემოთ შეზნექილი, წიბოიანი, კალთა — თანაბ-
რად დაშვებული, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 6, დმ ძირის — 9 სმ.

95 (01/10—862; სურ. 184) ჩაფი მოყავისფროდ გამომწვარი თიხი-
სა. დაზიანებული. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი. ყე-
ლი — ცილინდრული, ტანი კვერცხისებრი, ძირი — ბრტყელი. განივ-
კვეთში ოვალური ყურისთავი უშუალოდ პირზე, ხოლო ყურისძირი
მხარზეა დაძერწილი. ყელის ძირში ირგვლივ ირიბი ქდეები შემოუყვება,
მხარზე და მუცელზე კი რელიეფური სარტყლები ემჩნევა.

სიმაღლე — 39, მუცლის დმ — 34 სმ.

96 (01/10—863; სურ. 185) დერგი მოშავოდ გამომწვარი თიხისა,
დაზიანებული. ზედაპირნაპრიალები. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს,
მრგვალობაკოიანი. ყელი — დაბალი, მხრები — დაშვებული, მუცელი ზე-
და მხარეს ფართო, ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული, ძირი —
ბრტყელი.

მუცელზე ერთმანეთის საპირისპიროდ განივკვეთში ორი ზომოზო-
ფული ყურია დაძერწილი. მხარს ორი ამოღარული სარტყელი გასდევს,
რომელშიც ირიბი ნაკაწრი ხაზების ორნამენტი ემჩნევა. სარტყელს ფუ-
ძით ეყრდნობა ირიბად დაშტრიხული სამკუთხედები.

სიმაღლე — 28,5, დმ მუცლის — 34, ძირის — 9,5 სმ.

97 (01/10—864; სურ. 186) ტოლჩისებური სასმისი მოშავოდ გა-
მომწვარი თიხისა, დაზიანებული, ზედაპირნაპრიალები. პირი მომრგვა-
ლებული აქვს, ბაკო — სწორი, ტანი — კასრისებური. განივკვეთში ოვა-
ლური ზომოზოფული ყური ტანზეა დაძერწილი. პირს ქვემოთ სამი
ამოღარული სარტყელი ამკობს.

კეცის სისქე — 3 მმ.

98 (01/10—865; სურ. 187) დოქი მოყავისფროდ გამომწვარი თი-
ხისა. ძლიერ დაზიანებული. შემორჩენილია მხრისა და მუცლის ნაწილი.
მხარი დაშვებული აქვს, მუცელი — გამობერილი. მხარს სამი ამოღარუ-
ლი სარტყელი ამკობს, რომელზედაც ფუძით ეყრდნობა ირიბად და-
შტრიხული სამკუთხედების ორი რიგი. მხრიდან ძირისაკენ შეუულად სა-
მი ამოღარული ზოლი გასდევს.

კეცის სისქე — 7 მმ.

99 (01/10—868; სურ. 188) კათხა მოყავისფროდ გამომწვარი თი-
ხისა, ხელითაა ნაძერწი. პირი დაბრტყელებული აქვს, ოდნავ მოყრილი.

ტანი — გამობერილი, ძირისკენ შევიწროებული, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოვალური, ზურგჩაღარული ყურისთავი პირთან ახლოს, ხოლო ყურისძირი მუცელზეა დაძვრული.

სიმაღლე — 11, დმ პირის — 15, მუცლის — 17, ძირის — 7,5 სმ.

100 (01/10—867; სურ. 189) კახა მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი სწორბაქოიანი აქვს, ტანი — ცილინდრული, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოვალური, ზომორფული ყური ტანზე აქვს დაძვრული. პირს ქვემოთ ორი ამოღარული სარტყელი ამკობს.

სიმაღლე — 8, დმ პირის — 8, ძირის — 7 სმ.

101 (01/10—868; სურ. 190) საკინძები ბრინჯაოსი (4 ც.) სფერულ-თავიანი, მთლიანადსმული. თავს ქვევით ორ-ორი რელიეფური სარტყელი ამკობს, გახვრეტილია. განივკვეთში მრგვალი, ბოლოსკენ თანაბრად წაწვეტებული.

სიგრძე — 10 სმ.

102 (01/10—869; სურ. 191) მძივები სარდიონისა (17 ც.), ბირთვისებური, მოწითალო-მოყვითალო, ნახევრადგამჭვირვალე, ამღვრეული, ორმხრივ კონუსურნახვრეტიანი, სხვადასხვა ზომისა.

ზომები: 1) 0,7—0,6 — 0,25 სმ; 2) 0,6—0,5 — 0,25 სმ;

3) 0,5—0,4 — 2,25 სმ.

ხაპარხო 31.

(სურ. 192, 193).

1982.02.06; XII,

12; XIII, 10,

1,50×1,00 მ.

ორმოსამარხია, მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,05 სმ აღმოჩნდა 35—40 წლის მამაკაცი მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი დაუკრძალავთ ოთხკუთხა მოყვანილობის ორმოში. მიცვალებულს თავი რიყის ქვის „სასთუმალზე“ ედო. ჩონჩხის უკანა მხარეს კიდევ ორი მოზრდილი რიყის ქვა ეწყო, ერთ რიგში.

სამარხში აღმოჩნდა: ბადია (თავისქალის უკან), დოქი (ფეხებთან), ბრინჯაოს წყვილი სამაჯური (წინამხრის ძვლებზე), ვერცხლის ორი რგოლი, ბრინჯაოს 2 საკინძი, ილარი ბრინჯაოსი, სარდიონის, პასტის მძივები და ნიჟარა კაურები (გულმკერდის არეში), რკინის ნივთი და წვრილფეხა საქონლის ძვლები (ქვედა კიდურებს უკან).

103 (01/10—870; სურ. 197) ბადია მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი მრგვალი აქვს, გვერდი — შეზნეპილი, წიბოიანი; კალთა — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი. გვერდზე ნახვრეტი (საწური) აქვს.

სიმაღლე — 8, დმ პირის — 26, ძირის — 7,5 სმ.

104 (01/10—871; სურ. 194) დოქი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ნაკლულია. მხრები დაშვებული აქვს. მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. მხარზე ორი ამოღარული სარტყელი ამჩნევია.

სიმაღლე — 27, დმ მუცლის — 31, ძირის — 11,5 სმ.

105 (01/10—872; სურ. 195—196) სამაჭურები ბრინჯაოსი (2 ც.). განივკვეთში მრგვალი, ოვალისებური მოყვანილობის ბოლოებგახსნილი რგოლი გველის გამოსახულებითაა შექმული.

რკალი დმ — 7 სმ.

106 (01/10—873; სურ. 201) რგოლები ვერცხლისა (2 ც.). დაზიანებულია. განივკვეთში მრგვალი, ოვალისებური მოყვანილობის ბოლოებგახსნილი სადა რგოლებია.

რკალის დმ — 2 სმ.

107(01/10—874; სურ. 199—200) საკინძები ბრინჯაოსი (2 ც.), პატინირებული. განივკვეთში მრგვალი, თავებდაწახნაგებული ღერო თავთან გახვრეტილია და ამოღარული. გეომეტრიული ორნამენტითაა შექმული.

სიგრძე — 8 სმ.

108 (01/10—875; სურ. 198) ილარი ბრინჯაოსი. განივკვეთში მრგვალი. ბოლო გახვრეტილი აქვს, თავი დაბრტყელებული. ტანს ამოღარული წიწვოვანი ორნამენტი ამკობს.

სიგრძე — 6,6 სმ.

109 (01/10—876; სურ. 202—203) მძივები სარდიონისა (2 ც.):

1) ხუთწახნაგა, ორმხრივ კონუსურნახვრეტიანი. ზომები: 0,7—0,6—0,35,

2) 0,6—0,5—0,25 სმ. 2) ცისფერი პასტისა: ა) ბიკონუსური, ზედაპირდაღარული, ცილინდრულნახვრეტიანი, 2 ც., ზომები: 0,8—0,6—0,25 სმ. 2) ბირთვისებრი, ზედაპირდაღარული, ცილინდრულნახვრეტიანი. ზომები: 0,45—0,4—0,15 სმ. 3) ნიჟარა კაურები — 2 ც.

ორმოსამარხია, ოთხკუთხა მოყვანილობისა. ქვაყრილიანი. მიწის ზედაპირიდან 1,40 მ აღმოჩნდა.

სამარხი 32.

(სურ. 205).

1982.23.06; XCHH,

SW-NO,

1,30x1,50 მ.

30—35 წლის მამაკაცი დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. მიცვალებულს თავი ქვის სასთუმალზე ედო. სამარხში აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი ინვენტარი: თიხის დოქი, ბრინჯაოს სამაჭურები, ბრინჯაოს, რკინის და ძვლის

სხვადასხვა ფორმის ისრისპირები. რკინის დანა, ბრინჯაოს ჩქიფი, ბრინჯაოს საკინძი, სამაჭურები, რკინის შუბისწვერი და სარდიონის მძივები. სამარხის NW კუთხეში მსხვილფეხა საქონლის თავისქალა დადასტურდა. პრეპარაციისას ჩნდებოდა თიხის კურკლის ნატეხები, როგორც ჩანს, ალაპის ნაშთი.

110 (01/10—878; სურ. 206) დოქი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ტურთან შექყლებილი, ამიტომ ჩანასახის სახით სამტურჩა მოყვანილობისაა. ბაკო — მრგვალი, ყელი — ცილინდრული, შეზნექილი, მხრები — დაშვებული, მუცელი — გამობერილი. ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოვალური ყურისთავი უშუალოდ პირზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძვრწილი.

111 (01/10—879; სურ. 207) სამაჭური ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი ღერო ბოლოებგახსნილია და ოვალურად მორკალული. ბოლოები შემკული აქვს გველის სტილიზებული გამოსახულებით.

რკალის დმ — 6,6 სმ.

112 (01/10—881; სურ. 210) ისრისწვერები ბრინჯაოსი, რკინისა და ძვლის (10 ც.): 1) ბრინჯაოს დეზიანი სამფრთიანი — 13 ც., ორფრთიანი — 2 ც. სიგრძე — 5 სმ, მასრის დმ — 0,5 სმ. 2) რკინის, ძლიერ დაჟანგული, რომბული, ორფრთიანი. სიგრძე — 4 სმ. ძვლის — პირამიდული, დაწახნაგებული, ოდნავ ფუძეამოღარული.

სიგრძე — 3,6 სმ.

113 (01/10—882; სურ. 208—209) დანა რკინისა. ძლიერ დაჟანგული, მკირედ მორკალული, ცალპირლესილი, ტანი დაბრტყელებულია, ოთხკუთხა მოყვანილობის. შერჩენილი აქვს ორი მანჭკალი.

სიგრძე — 24, ტარის სიგრძე — 6 სმ.

114 (01/10—883; სურ. 211) ჩქიფი ბრინჯაოსი. თავთან ორივე გვერდი მომრგვალებული და მოხრილი აქვს. ერთ მხარეს წერტილებისაგან შემდგარი ზოლები ამკობს, მეორე მხარეს კი — ჯვარედინი ხაზებითა და წერტილებით შედგენილი ორნამენტი. ძეწკვზე ყოფილა ჩამოკიდებული. შერჩენილი აქვს ძეწკვის ორი ერთმანეთში გაყრილი რგოლი.

სიგრძე — 9,5 სმ.

115 (01/10—884; სურ. 212) საკინძი ბრინჯაოსი, ნაკლული. მთლიანადსხმული. სფერულთავიანი. თავთან 4 რელიეფური სარტყელი ამკობს. განივკვეთში მრგვალი ღერო ბოლოსაკენ შევიწროებულია.

სიგრძე — 9,5 სმ.

116 (01/10—885; სურ. 213) სამაჭურები ბრინჯაოსი (2 ც.), დაზინებული. ერთს განივკვეთში მრგვალი ღერო აქვს, ბოლოებშევიწროებულია (დმ — 0,5 სმ), მეორე კი — ზურგდაღარულია და განივკვეთში მრგვალ-ბრტყელი (დმ — 0,4 სმ).

117 (01/10—886; სურ. 214) შუბისწვერის ნატეხები რკინისა, ძლიერ დაჟანგული და დამტვრეულია.

118 (01/10—887; სურ. 215) მძივები სარდიონისა, მანდარინისფერი. ცალმხრივ ცილინდრულნახვრეტიანი (2 ც.).

ზომები: 1) 0,6—0,8 — 0,35 სმ; 2) 0,8—0,6 — 0,35 სმ.

119 (01/10—888; სურ. 216) ლანგრის პირ-გვერდის ნატეხი ლეგამონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, გვერდი — შეზნექილი, წიბოიანი. პირს ქვემოთ — გვერდზე სითხის საწური ხვრელი აქვს დატანილი.

კეცის სისქე — 0,9 სმ.

120 (01/10—889; სურ. 217) ტოლჩის პირ-გვერდის ნატეხი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი მრგვალი აქვს, მუცელი — გამობერილი, ტანზე განივკვეთში მრგვალი, ზომოძორფული ყური აქვს დაძერწილი.

121 (01/10—890; სურ. 218) თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი მონაცრისფროდ გამომწვარი. გვერდზე განივკვეთში ოვალური ყური აქვს დაძერწილი.

კეცის სისქე — 0,5 სმ.

122 (01/10—891; სურ. 219) თიხის ჭურჭლის გვერდის ნაწილი მონაცრისფროდ გამომწვარი, განივკვეთში ოვალური ყური აქვს დაძერწილი.

კეცის სისქე — 0,4 სმ.

123 (01/10—892; სურ. 220) თიხის ჭურჭლის ძირი, მონაცრისფროდ გამომწვარი, ქუსლამოლარული.

ძირის დმ — 4 სმ.

სამარხი 33.

(სურ. 221).

1982.06.15;

XII, 22.

დაზიანებულია. ორმოსამარხი უნდა ყოფილიყო. მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,05 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში მიცვალბულის ჩონჩხი არ დადასტურდა.

სამარხში აღმოჩნდა: ჯამი, დოქი, ბადია, ხელაღები (2 ც.), ლანგარი და ალაპის ნაშთი — წვრილფეხა საქონლის ძვლები.

124 (01/10—894; სურ. 222) კოჭობი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. ბიკონუსური მოყვანილობისა, ზოგან ნაპრიალებია. ბრტყელი პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, ოდნავ გამოყოფილი. მუცელი — წიბოიანი, ძირი — ბრტყელი, გამოყოფილი. პირზე წიწვისებური ორნამენტი ამჩნევია.

სიმაღლე — 8,5, დმ პირის — 12,5, მუცლის — 15, ძირის — 6 სმ.

125 (01/10—895; სურ. 223) დოქი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი მრგვალი აქვს. გადაშლილი, ყელი — ძაბრისებრი, მხრები — დამრეცი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ოდნავ გამოყვანილი, ბრტყელი, განივკვეთში მრგვალი, ზომორფული ყურისთავი ყელზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძერწილი. ყურისძირში ორი ამოღარული სარტყელი ამჩნევია, რომელიც შევსებულია წერტილებით. მუცელზე წნევით დატანილი, ნაპრიალები, ურთიერთგადაძვეთი ხაზები ატყვია.

სიმაღლე — 22, დმ პირის — 6, მუცლის — 21, ძირის — 8,5 სმ.

126 (01/10—896; სურ. 224) ბადია მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებულია. შიდაპირი შევპრიალდა, პირი გადაშლილი აქვს, გვერდი — შეზნექილი, წიბოიანი, კალთა — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი. ზედაპირზე ამჩნევია წნევით დატანილი ნაპრიალები და ამოღარული ვერტიკალური ხაზები.

კეცის სისქე — 0,5 სმ.

127 (01/10—897; სურ. 225) ხელადა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, ალაგ შავი ლაქები ატყვია. პირი გადაშლილი აქვს, ყელი ცილინდრული, დაღარული, მხრები დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში მრგვალი ყურისთავი პირზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძერწილი.

სიმაღლე — 12, დმ პირის — 5, მუცლის — 11, ძირის — 4 სმ.

128 (01/10—898; სურ. 226) ხელადა მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებულია. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — ძაბრისებრი, მხრები დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. ყელს ქვემოთ და მხარზე სამ-სამი ამოღარული სარტყელი ამკობს. ძირთან წნევით დატანილი ნაპრიალები ხაზები ატყვია.

ძირის დმ — 5,5 სმ.

129 (01/10—899; სურ. 227) ქვევრის ნატეხები (2) ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ამალღებული ტალღისებური და კონცენტრული ზოლები ამკობს, რომელთა შორის ირიბი ხაზებია მიჯრით ამოკვეთილი.

ყეცის სისქე — 0,14 სმ.

130 (01/10—900; სურ. 228) ლანგრის პირ-გვერდისა და კალთის ნაწილი მოშავოდ გამომწვარი თიხისა. ზედაპირი ნაპრიალებია. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, გვერდი — შეზნექილი, წიბოიანი.

ყეცის სისქე — 0,9 სმ.

131 (01/10—901) ლანგრის პირ-გვერდისა და კალთის ნაწილი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებულია. პირი გადაშლილი აქვს, გვერდი — შეზნექილი, წიბოიანი, კალთა — დაშვებული: პირს ლარი შემოუყვება.

ყეცის სისქე — 0,9 სმ.

სამარხი 34.

(სურ. 229).

1982.06.16;

XIII, 10 — XII, 12;

1,70×1,50 მ.

ორმოსამარხია, დაზიანებული. სამარხში 55—60 წლის მამაკაცის მენჯის სარტყელი, ზედა და ქვედა კიდურები აღმოჩნდა. ჩონჩხის გადარჩენილი ძვლების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ, ხელფეხმოკეცილი.

სამარხში აღმოჩნდა: ლანგარი, ბრინჯაოს ჩქიფი და ლერაკი, აგრეთვე ალაპის ნაშთი — მსხვილფეხა საქონლის კბილები და კიდურის ნაწილები.

132 (01/10—902; სურ. 230) ლანგარი შავად გამომწვარი თიხისა, ზედაპირნაპრიალები. პირი გადაშლილი აქვს, დაბრტყელებული, ბაკო — მრგვალი, გვერდი — შეზნექილი, წიბოიანი. კალთა — დაქანებული, ძირი — ბრტყელი. წნევით დატანილი ნაპრიალები ვერტიკალური ხაზები ატყვია.

სიმაღლე — 15, დმ პირის — 46, ძირის — 14 სმ.

133 (01/10—903; სურ. 231) ჩქიფი (პინცეტი) ბრინჯაოსი, დაზიანებულია, სადაზედაპირიანი.

სიგრძე — 7,5 სმ.

134 (01/10—904; სურ. 232) ლერაკი ბრინჯაოსი (3 ნატეხი), ლერო განიკვეთში მრგვალია (შესაძლოა საკინძის ნაწილი იყოს).

სიგრძე — 8,5 სმ.

სამარხი 35.
(სურ. 233).
1982.07.01;
VII, XII, 12.

ორმოსამარხია, დაზიანებული. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,00 მ. სიღრმეზე. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა.

სამარხში აღმოჩნდა: ლანგარი და ხელადა.

135 (01/10—905; სურ. 234) ლანგარი მო-

შავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი

მრგვალი აქვს, გვერდი — შვეული, დაღარული, წიბოიანი. კალთა თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 7, დმ პირის — 25, ძირის — 9 სმ.

136 (01/10—906; სურ. 235) ხელადა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა დაზიანებულია, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — ცილინდრული, მხარი — დაშვებული, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში მრგვალი ყურისთავი პირზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძვრწილი. მხარს სამი კონცენტრული ღარი შემოუყვება. მთელ ტანზე ამჩნევია ჩარხისმიერი ზოლები.

დმ პირის — 8, ძირის — 8,5 სმ.

სამარხი 36.
(სურ. 236).
1982.07.02;
XII, 12.

ორმოსამარხია. დაზიანებული. იგი მიწის ზედაპირიდან 1,70 მ სიღრმეზე გამოვლინდა — 33-ე სამარხის ქვეშ. როგორც ჩანს, გვიანდელი სამარხის გამართვისას ძლიერ დაზიანდა. ამიტომ მისი კონტური ვერ დადგინდა. სამარხში მიცვალებულის ბარძაყისა და წვივის ძვლის ნატეხები დადასტურ-

და. იქვე აღმოჩნდა ალაპის ნაშთი — მსხვილფეხა საქონლის ძვლები.

სამარხში აღმოჩნდა: დერგები (2 ც.), კოკა, ქოთანის, ლანგარი, სარდლიონისა და პასტის მძივები, აგრეთვე რკინის ნივთის ნატეხი.

137 (01/10 — 907; სურ. 237) დერგი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებულია. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, მხრები დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. ყელს ძირში და მხარზე სამ-სამი ღარი შემოუყვება. მხარზე 2 რელიეფური დანაძვრწი ზოლი ამჩნევია.

კეცის სისქე — 0,7 სმ.

138 (01/10 — 909; სურ. 239) კოკა მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — ცილინდრული, მხრები — დაშვებული, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი.

განივკვეთში მრგვალი, გრებილი ყურისთავი პირზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძვრწილი. მუცელზე ორი რელიეფური სარტყელი ამჩნევია, რომელთა შორის სამ-სამი შვერილი რელიეფური ზოლებია მოქცეული.

დმ პირის — 14, მუცლის — 3,6, ძირის — 11 სმ.

139 (01/10 — 910; სურ. 240) დოქი მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებულია. პირი გადაშლილი აქვს. ბაკო — მრგვალი. ყელი — ცილინდრული, მხრები — დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. ყელის ძირში და მხარზე რამდენიმე

ამოღარული სარტყელი ამჩნევია. განივკვეთში ოვალური ყური ყელზე და მხარზე ჰქონია დაძვრილი.

სიმაღლე — 17, ძირის დმ — 8 სმ.

140 (01/10 — 911; სურ. 241) ქოთანი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი. მუცელი — გამოზერილი, ძირი — ბრტყელი. მხარს ირიბად დაშტრიხული სამკუთხედები ამკობს.

კეცის სისქე — 0,8 სმ.

141 (01/10 — 912; სურ. 242) ლანგრის პირ-გვერდის ნაწილი მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა. შიგაპირი შავპირიალაა. გვერდს ამოღარული ტალღისებური ორნამენტი ამკობს.

კეცის სისქე — 0,13 სმ.

142 (01/10 — 914; სურ. 244) მძივები სარდიონისა (4 ც.). აქედან სამი ბირთვისებური ფორმისაა, ერთიც — მანდარინისებური. ყველა დამზადებულია მოწითალო-მოწაბლისფრო, გაუმჟვირვალე ამღვრეული სარდიონისაგან, ორმხრივ კონუსურნახვერეთიანი. ზომები: 1) 0,9 — 1,1 — 0,4 სმ; 2) 1 — 0,7 — 0,4 სმ; 3) 0,9 — 0,7 — 0,35 სმ; 4) 0,7 — 0,5 — 0,35 სმ.

იქვეა ცისფერი პასტის 4 მრგვალი მძივი.

სამარხი 37.

(სურ. 245).

1982.07.16;

VII, XII, 8.

ორმოსამარხია. დაზიანებული. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,90 მ სიღრმეზე. სამარხის კონტურების დადგენა ვერ მოხერხდა. ჩონჩხის ძვლების ნიმუშების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული მარცხენა გვერდზე წოლილა, ხელფეხმოკეცილი.

სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. ორმოსამარხია, დაზიანებული. მიწის ზედაპირიდან 0,60 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ჩონჩხის ძვლების ნაშთების მიხედვით, მამაკაცი ყოფილა დაკრძალული.

სამარხი 38.

(სურ. 246).

1982.07.16;

VII, XII, 8.

სამარხში აღმოჩნდა:

143 (01/10 — 922; სურ. 247) ჯამი შავად

გამომწვარი თიხისა, დაზიანებულია, შიდაპირი ნაპრიალები აქვს. პირი — გადაშლილი, გვერდი — შეზნეჟილი, წიბოიანი, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 3,5, კეცის სისქე — 0,7 სმ.

სამარხი 39.

(სურ. 248—249).

1982.08.3; VIII, XII,

8, 9, 11, 12,

1,70x0,50 მ.

ქვაყრილიანი ორმოსამარხია, დაზიანებული. მიწის ზედაპირიდან 1,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა.

ინვენტარის განლაგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამარხი ორმო კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხა მოყვანილობის ყოფილა. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ, ხელფეხმოკეცილი (ჩონჩხის ძვლები ფრაგმენტულად დადასტურდა, ამიტომ დამხრობის დადგენა ვერ მოხერხდა).

სამარხში აღმოჩნდა: დერგი, სასმისი, ღოჭი, ქოთანის, ლანგარი, კოჭობი, ბრინჯაოს საკინძი, მახათი, კაყის ჩასართი და სარდიონისა და პასტის მძივები.

144 (01/10 — 923; სურ. 250) დერგი მოშავოდ გამომწვარი თიხის, მუცლის ზედა ნაწილი ნაპრიალები აქვს. პირი — გადაშლილი, ბაკო — მომრგვალებული. ყელი — დაბალი, ცილინდრული, მხრები — მკვეთრად დაშვებული, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ყელზე და მხარზე — ამოღარული. ტალღური ორნამენტი ამჩნევია, ასეთივე ტალღური ორნამენტი აქვს მუცელზე გამავალ ორ რელიეფურ სარტყელს.

სიმაღლე — 35, დმ პირის — 20,5 მუცლის — 36, ძირის — 12 სმ.

145 (01/10 — 929; სურ. 251) სასმისი შავად გამომწვარი თიხისა, ყურიანი. მუცელი ნაპრიალები აქვს. პირი — გადაშლილი, ფართო. ყელი — ძაბრისებრი. მხრები — დამრეცი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ფართო, ქუსლი — ძაბრისებრ ჩაღრმავებული, განიკვეთში ოვალური ყური მხარსა და მუცელზეა დაძერწილი. ტანი სამ-სამი, ამოღარული ხაზებით შედგენილი სამკუთხედებით აქვს შემკული.

სიმაღლე — 9, დმ პირის — 6,5, მუცლის — 9, ძირის — 5 სმ.

146 (01/10 — 925; სურ. 252) კახთა მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა ბიკონუსური ფორმისა, პირმოყრილი. ბაკო ბრტყელი აქვს, მხრები — დაშვებული, მუცელი — წიბოიანი, ძირი — ბრტყელი; განიკვეთში ოვალური, ზომომორფული ყური პირს ქვემოთ და მუცელზე აქვს დაძერწილი.

სიმაღლე — 11, დმ მუცლის — 19, პირის — 14, ძირის — 7 სმ.

147 (01/10 — 926; სურ. 253) სასმისი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა (დაზიანებული), პირი მოყრილი აქვს, ბაკო — ბრტყელი, მხრები — დაშვებული, მუცელგამობერილი, ძირთან მკვეთრად შევიწროებული, ძირი — ბრტყელი. ყური მხარზე ჰქონია მიძერწილი.

სიმაღლე — 14,5, დმ პირის — 8, ძირის — 5,5 სმ.

148 (01/10 — 927; სურ. 254) ღოჭი მონაცრისფროდ არის გამომწვარი თიხისა, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — ცილინდრული, მხრები — მკვეთრად დაშვებული, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. განიკვეთში ოვალური. ზომომორფული ყურისთავი პირს ქვემოთ, ზოლო ყურისძირი მხარზე აქვს დაძერწილი. მხარზე სამი ამოღარული სარტყელი ამჩნევია.

სიმაღლე — 32, დმ პირის — 11, მუცლის — 28,5, ძირის — 9,5 სმ.

149 (01/10 — 928; სურ. 255) ქოთანის შავად გამომწვარი თიხისა, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, შეზნექილი. მხრები — დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, გამოყვანილი. ყელზე ორი ნახვრეტი აქვს, მხარზე ირიბი ქლებით შესესებული. ორი ამოღარული სარტყელი ამჩნევია.

სიმაღლე — 15,5, დმ პირის — 9, მუცლის — 17, ძირის — 7,7 სმ.

150 (01/10 — 929; სურ. 256) ლანგრის პირ-გვერდის ნაწილი მოშვოდ გამომწვარი თიხისა, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, გვერდი — შვეული, წიბოიანი.

კეცის სისქე — 0,9 სმ.

151 (01/10 — 930; სურ. 257) ქოთანი ნაცრისფერად გამომწვარი თიხისა, დაზიანებული. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, შეზნექილი, მხრები — დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. ყელს ძირში მარცვლეულის ორნამენტი ამკობს, მხარზე და მუცელზე რელიეფური სარტყლები ამჩნევია, რომლებზედაც ფრჩხილისებური ორნამენტია დატანილი.

სიმაღლე — 19, ძირის დმ — 6 სმ.

152 (01/10 — 931; სურ. 258) სასმისი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებული, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — ბრტყელი, მხრები — დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. განიგვეთში ოთხკუთხა, ჩალარული ყური მხარზეა დაძერწილი. ხელითაა ნაძერწი.

სიმაღლე — 12,5, ძირის დმ — 7,5 სმ.

153 (01/10 — 932; სურ. 259) ქილა ნაცრისფერად გამომწვარი თიხისა, დაზიანებული. ალაგ ნაპრიალები. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — ბრტყელი, ყელი — დაბალი, მხრები დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. კეცის სისქე — 0,6 სმ.

154 (01/10 — 933; სურ. 260) ტოლჩა მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, პირი ფართო აქვს, ბაკო — ბრტყელი, მხრები — დაშვებული, მუცელი გამობერილი, ძირი — ბრტყელი, გამოყვანილი. ყურისთავი მხარზე, ზოლო ყურისძირი მუცელზეა დაძერწილი.

სიმაღლე — 12,5, დმ პირის — 9,5, მუცლის — 14, ძირის — 6 სმ.

155 (01/10 — 934; სურ. 261) კოკობი შავად გამომწვარი თიხისა, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, მხრები — დაშვებული, მუცელი — გამობერილი, ასიმეტრიული, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 7, დმ ძირის — 2,5, პირის — 4, მუცლის — 8 სმ.

156 (01/10 — 937; სურ. 262) ლანგარი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის, პირი გადაშლილი აქვს. გვერდი — შეზნექილი, წიბოიანი, კალთა — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი. პირსა და გვერდზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, განიგვეთში ოვალური ყურები აქვს დაძერწილი. გვერდზე სითხის საწური ამჩნევია. კალთას წნევით დატანილი შვეული ნაპრიალები ზოლები დაუყვება.

სიმაღლე — 14, დმ პირის — 43, ძირის — 12.

157 (01/10 — 943; სურ. 263) ქოთანი მოშვოდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებული. ზედაპირი ალაგ ნაპრიალებია. პირი გადაშლილი აქვს. ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, შეზნექილი. მხრები — დაშვებული, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. მხარზე ორ-ორი მექვიესებური და მოგრძო-რელიეფური დანაძერწი ემჩნევა.

158 (01/10 — 938; სურ. 264) მახათი ბრინჯაოსი, დაზიანებული. თავი დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვს. ლერო განიკვეთში მრგვალი. წვერისკენ შევიწროებული.

სიგრძე — 5,5 სმ.

159 (01/10 — 939; სურ. 265) საკინძი ბრინჯაოსი, დაზიანებული, სფერულთავიანი. სიგრძე — 14 სმ.

160 (01/10 — 940; სურ. 266) ილარი ბრინჯაოსი. დაზიანებულია, განიკვეთში მრგვალი.

161 (01/10 — 941; სურ. 267) ნამგლის ჩასართი კაჟისა, მოყავისფრო, დაკბილული, რეტუშირებული.

162 (01/10 — 942; სურ. 268) მძივები (54 ც.) სხვადასხვა: სარდიონისა — 49 ც., ლურჯი მინისებრი პასტისა — 2 ც., ცარცისებური თეთრი ქვისა — 3 ც.

1) მძივი სარდიონისა, თვალური, ექვსწახნაგა, მოვარდისფრო-მოყვი-თალო, კარგად გამჭვირვალე, განივად ყავისფერი ტალღური შრეები დაუყვება, ორმხრივ ნახვრეტი. შესანიშნავად გახეხილ-გაპრიალებული. ზომები: 2,2 — 1,8 — 1,2 — 0,25 სმ.

2) მძივსაკიდი სარდიონისა, სამკუთხა პირამიდისებური (ცულისებ-რი), მოწითალო-მოვარდისფრო შრეებიანი, გამჭვირვალე, ორმხრივ კონუსურნახვრეტიანი, შესანიშნავად გახეხილ-გაპრიალებული. ზომები: 1,5 — 1,2 — 0,5 — 0,25 სმ.

3) მძივი სარდიონისა, შვინდის ნაყოფისებრი, მოწითალო-მოყავისფრო, ნახევრადგამჭვირვალე, ორმხრივნახვრეტი, შესანიშნავად დამუშავებული. ზომები: 1,4 — 0,9 — 0,7 — 0,3 სმ.

4) მძივები სარდიონისა, ბურთულა, მოწითალო-მოწაბლისფრო, მოწითალო-მოვარდისფრო, ნახევარგამჭვირვალე, ორმხრივ კონუსურნახვრეტიანი. სხვადასხვა ზომის.

5) მძივები სარდიონისა, მანდარინისებური, ვარდისფერი, ნახევრად-გამჭვირვალე, ცალმხრივ ცილინდრულნახვრეტიანი.

6) მძივები სარდიონისა, წაბლისფერი და მოვარდისფრო, ექვსწახნა-გა: წაკვეთილ-ბიპირამიდული, ნახევრადგამჭვირვალე, ამღვრეული, ორ-მხრივ კონუსურნახვრეტიანი. ზომები: 1,1 — 1,04 სმ.

7) მძივი სარდიონისა, მანდარინისებური, ექვსწახნაგა, ორმხრივ კონუსურნახვრეტიანი. ზომები — 0,6 — 0,4 — 0,35 სმ.

8) მძივი ცისფერი პასტისა, მალალცილინდრული, ფართო ცილინ-დრულნახვრეტიანი. ზომები — 0,8 — 0,6 — 0,4 სმ.

9) მძივები ცარცისა. დაბალცილინდრული, დაბრტყელებული. ზომე-ბი — 0,8 — 0,5 — 0,25 სმ.

10) მძივი ცისფერი პასტისა, შვინდის ნაყოფისებრი, ნახვრეტის გა-სწვრივ სიგრძივი ლარები დაუყვება, ცილინდრულნახვრეტიანი. ზომები — 1,2 — 0,6 — 0,25 სმ.

სამარხი 40.
(სურ. 269).
1982.08.12;
XII, 7, 8;
2,00x1,05 მ.

ორმოსამარხია, ქვაყრილიანი. მოგრძო, ოვალისებური — კუთხეებმომრგვალებული მოყვანილობის ორმოში 18—20 წლის მამაკაცი დაუკრძალავთ გაშობილ მდგომარეობაში. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩნდა. დაკრძალვის ქრისტიანული წესი, აგრეთვე უინვენტარობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამარხი ქრისტიანული ხანისა უნდა იყოს.

სამარხი 41.
(სურ. 270).
1982.08.17;
XII, 7;
1,10x0,70 მ.

ორმოსამარხი უნდა ყოფილიყო, ქვაყრილიანი, დაზიანებული. მიწის ზედაპირიდან 1,08 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. იგი მე-40 სამარხის გამართვისას დაუნგრევიათ. ამიტომ მისი კონტური და მიცვალებულის დამხრობა ვერ დადგინდა.

სამარხში აღმოჩნდა დოქი, სასმისები, ქილისებური სასმისი და ალაპის ნაშთი — წვრილფეხა საქონლის ძვლები.

163 (01/10 — 944; სურ. 271) დოქი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებული. მხრები დაშვებული აქვს, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში ოვალური ყურის ძირი მხარზეა დაძვრწილი. მხარზე და მუცელზე ამოღარული სარტყლები ამჩნევია.

სიმაღლე — 22, დმ მუცლის — 21, ძირის — 9,5..

164 (01/10 — 945; სურ. 272) სასმისი მონაცრისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. ზოგან შებოლვის კვალი ამჩნევია. პირი მოყრილი აქვს, ბაკო — დაბრტყელებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოვალური, ზურგჩალარული ყური ტანზეა დაძვრწილი.

სიმაღლე — 11, დმ პირის — 8, მუცლის — 10,5, ძირის — 6 სმ.

165 (01/10 — 946; სურ. 273) სასმისი მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებული. პირი ოდნავ მოყრილი აქვს, ბაკო — ბრტყელი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოვალური ყური ტანზეა დაძვრწილი.

სიმაღლე — 10,5, დმ ძირის — 6,5 სმ.

166 (01/10 — 947; სურ. 274) ქილისებური სასმისი (კოჭობი) მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა, ზედაპირნაპრიალები. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, მხრები — დაშვებული, ტანი — ცილინდრული, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 7,5, დმ პირის — 4, მუცლის — 5, ძირის — 2,5 სმ.

სამარხი 42.
(სურ. 275).
1982.08.26.

XII, 8.
ორმოსამარხია, დაზიანებული. იგი მიწის ზედაპირიდან 0,95 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. სამარხში მხოლოდ მიცვალებულის თავის ქალის ნატეხები დადასტურდა.

სამარხში აღმოჩნდა ლანგარი, დოქის ნაწილი და თიხის კურკლის ნატეხები.

167 (01/10 — 952; სურ. 276) ლანგარი მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებული. პირი გადაშლილი აქვს, გვერდი — შეზნეპილი, წიბოიანი, კალთა — თანაბრად დაშვებული, ძირი — ბრტყელი, ქუსლამოლარული.

ძირის დმ — 12,5 სმ.

168 (01/10 — 953; სურ. 277) დოქის პირ-ყელისა და მხრის ნაწილი, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა, პირი გადაშლილი აქვს. ყელი — ცილინდრული, მხრები — დაშვებული, მხარზე ოთხი ამოლარული სარტყელი ამჩნევია, რომელსაც ორი მხრიდან ფუძით და წვერით ეყრდნობა ირიბად დაშტრიხული სამკუთხედები.

ყელის სისქე — 0,7 სმ.

169 (01/10 — 955; სურ. 278) დოქის პირისა და ყელის ნაწილი, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — ძაბრისებრი, ყელს ამოლარული სარტყელი ამკობს.

ორმოსამარხია, დაზიანებული, ამიტომ მისი კონტურისა და მიცვალებულის დამხრობის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში მამაკაცის წვივის ძვალი აღმოჩნდა.

სამარხი 43.

(სურ. 279).

1982.08.27;

XII, 8.

სამარხში აღმოჩნდა: ქოთანის, ტოლჩა, რკინის

ცულწერაქვი, ბრინჯაოს ზარი, რკინის დანა, სარ-

დიონის მძივები, ძვლის ნივთები და მსხვილფეხა საქონლის ჩონჩხი —

ალაპის ნაშთი.

170 (01/10 — 958; სურ. 280) ქოთანის მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, მხარი — დაშვებული, მუცელი — წიბოიანი, ძირი — ბრტყელი. ტანი შემკული აქვს, წნევით დატანილი, ურთიერთგადამკვეთი ბადისებრი სახეებით.

ძირის დმ — 8,5 სმ.

171 (01/10 — 960; სურ. 281) ცულწერაქვი რკინისა, ძლიერ დაუანგული. სატარე ხერელი მრგვალია, თავი დაბრტყელებული აქვს. სატარე — მომრგვალებული, პირი — გრძელი, წაწვეტებული.

სიგრძე — 24 სმ.

172 (01/10 — 961; სურ. 282) ზარი ბრინჯაოსი, ცილინდრული, გვერდი — ჩაჭრილი აქვს, თავი — მომრგვალებული, ყუნწიანი. ენა რკინისა აქვს.

სიგრძე — 8 სმ.

173 (01/10 — 962; სურ. 283) რგოლი ძვლისა; დაზიანებული.

დმ — 3 სმ.

174 (01/10 — 963; სურ. 284) სალესი ქვა, თავთან ნახვრეტი აქვს თასმისათვის. სიგრძე — 16 სმ.

175 (01/10 — 964; სურ. 286) მძივები სარდიონისა (5 ც.). ოთხი მომრგვალებული — კასრისებური მოყვანილობისაა, ერთი — ხუთწახნავა.

176 (01/10 — 967; სურ. 285) დანა რკინისა, ძლიერ დაჟანგული, დაზიანებულია. შემორჩენილია პირის ნაწილი. ცალპირლესილი.

სიგრძე — 13 სმ.

საანგარიშო წელს წეროვან-ნარეკავის რაზმმა მუხრანის ველზე, სოფ. ნატახტარის სამხრეთ-დასავლეთით ადრე მიკვლეული სამაროვნების მიმდებარე ტერიტორიაზე (ნატახტარი I—III) სადაზვერვო გათხრებისას გამოავლინა მტკვარ-არაქსის ეპოქის სამეურნეო ორმოები და ქვაყრილიანი გორასამარხი 7 (სურ. 287—289).

გაიწმინდა მტკვარ-არაქსის ეპოქის ორი სამეურნეო ორმო, რომლებშიაც ძირითადად მოწითალო-მოვარდისფრო უხეშად ნაძერწი კერამიკა დადასტურდა.

ორმო 1.
(სურ. 288).
1982.08.20;
XXVI, 5.

მომრგვალებული ფორმის, დაზიანებულია. აღმოჩნდა მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,35 მ სიღრმეზე, მოყვითალო ფერის თიხნარ ნიადაგში იყო გაჭრილი, დმ — 0,85 მ, სიღრმე — 0,15 მ.

ორმოში აღმოჩნდა:

177 (01/24 — III — 138; სურ. 291) ქოთანი

მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებული, პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — მაღალი, ჩალარული, ტანი — ბიკონუსური. განივკვეთში ოვალური, აცქვეტილი ყური ყელზე და მხარზეა დაძერწილი.

დმ პირის — 10,4, მუცლის — 12 სმ, კეცის სისქე — 0,7 სმ.

178 (01/24 — III — 139; სურ. 292) ქოთანი ვარდისფრად გამომწვარი თიხისა, დაზიანებულია. კეცი გადანატეხში ლეგა-ნაცრისფერი აქვს, სარჩული — ღია ყავისფერი, პირი — ფართო, ბაკო — მრგვალი, ყელი — მაღალი, ცილინდრული, ტანი — ბიკონუსური, ძირი — ვიწრო და ბრტყელი. განივკვეთში ოვალური ყურისთავი ყელზე აქვს დაძერწილი, ხოლო ყურის ძირი — მხარზე.

კეცის სისქე — 0,8 სმ.

179 (01/24 — III — 140; სურ. 290) ქოთანი მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებული. პირი ფართო აქვს, ოდნავ გადაშლილი, ყელი — მაღალი, ცილინდრული, ტანი — ბიკონუსური. ტანზე ემჩნევა წითელი საღებავის კვალი.

180 (01/24 — III — 142; სურ. 293) ქოთანი მოვარდისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა, დაზიანებულია. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — მაღალი, ცილინდრული, მხართან ჩალარული, ტანი — ბიკონუსური, ვარდისფერსარჩულიანი, კეცი გადანატეხში სამფენოვანია.

პირველ ორმოში აღმოჩნდა აგრეთვე: მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

სამეურნეო ორმო
2. (ხურ.294).
1982.08.20;
XXVI, 5-6.

მომრგვალებული ფორმის, დაზიანებულია. აღმოჩნდა მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,35 მ სიღრმეზე. მოყვითალო ფერის თიხნარ ნიადაგში იყო გაქრილი. დმ — 1,00 მ., სიღრმე — 0,20 მ.

ორმოში აღმოჩნდა:

181 (01/24 — III — 150; სურ. 296) ღერ-

გის (?) ნაწილი, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა, ვარდისფერსარჩულიანი, კეცი გადანატეხში სამფეროვანია. ემჩნევა ქსოვილის (სელის ?) ანაბეჭდი (როგორც ჩანს, ქსოვილზე ჩანს დამზადებული).

კეცის სისქე — 0,6 — 1,5 სმ.

182 (01/24 — III — 155; სურ. 295) თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი. მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. თხელკეციაანი. პირს ქვემოთ დაძერწილი აქვს განიკვეთში კუთხეებმომრგვალებული მცირე ზომის ყური. კეცის სისქე — 0,6 სმ.

183 (01/24 — III — 152) თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი — მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. პირს ქვემოთ დაძერწილი აქვს განიკვეთში ოვალური ყური. ზედაპირნაპრიალებია.

184 (01/24 — III — 158) ქილის (?) ნაწილი მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მომრგვალებული, ყელი — ცილინდრული, მხართან შეზნეკილი, განიკვეთში ოვალური. ყური პირს ქვემოთ — ყელზე და მხარზე აქვს მიძერწილი.

185 (01/24 — III — 162; სურ. 297) ქოთანის ღერა მისი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი — ცილინდრული, მხართან შეზნეკილი. ტანი — ბიკონუსური. განიკვეთში ოვალური ყური პირს ქვემოთ — ყელზე და მხარზე აქვს დაძერწილი.

სიმაღლე — 19 სმ.

186 (01/24 — III — სურ. 298) ღერაკი ბრინჯაოსი. ოდნავ დაწახნაგებულია, განიკვეთში ოთხკუთხა, ტანი დამსხვილებული აქვს. თავსა და ბოლოში შევიწროებულია.

სიგრძე — 4 სმ.

მე-2 სამეურნეო ორმოში აღმოჩნდა, აგრეთვე, ზემოაღწერილის მსგავსი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

სამეურნეო ორმოებში დადასტურებული კერამიკა ფორმალურ-ტიპოლოგიურ და ტექნოლოგიური ნიშნებით მსგავსებას იჩენს დიდუბის (21. ტ.ბ. I—II), სამშვილდის (22. ტ.ბ. X I); ღრმასხვისთავის (23. სურ. 17. 28), თბილისის (24. ნახ. 7, 8, 11) და იქვე, წეროვანში აღმოჩენილ ძეგლებთან და, როგორც ჩანს, მათი სინქრონულია.

ზემოაღწერილი სამეურნეო ორმოების სიახლოვეს მიწის სამუშაოებისას გამოვლინდა შუა ბრინჯაოს ხანის ქვაყრილიანი გორასამარხი (7).

სამარხი 7.
(სურ. 299—302).
1982.08.17, XXII,
5; N-S.

ქვაყრილიანი გორასამარხია. იგი მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,65 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ქვაყრილი უსწორო ოვალისებური მოყვანილობისაა (ზომები — 3,10×2,30 მ). ო მხარეს ქვაყრილი ბლაგვ კუთხეს ქმნიდა, ხოლო W მხარეს მომრგვალებული იყო. ყრილი ჰორიზონტულია, ცენტრში არ ჩანს კრატერისებური ჩაღრმავება. სამარხის N ნაწილი ჩამოჭრილი იყო და ჩანდა დასაკრძალავი ორმოს კამერის შევსება — ქვაყრილის 9—10 რიგი. დასაკრძალავი ორმო მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარში ჩაუჭრიათ. იგი წარმოადგენდა კუთხეებმომრგვალებულ შევულკედლებიან ორმოს (ზომები — 2,60×2,40×1,06 მ). სამარხს უნდა ჰქონოდა მიწის ზედაპირიდან ამოზიდული ქვამიწაყრილი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისას დაზიანდა და განიველირდა — გასწორდა.

დასაკრძალავი კამერის W კედელთან აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი. ჩონჩხის ძვლების განლაგება გვავარაუდებინებს, რომ თითქმის მიცვალებული მკდარა და შემდეგ N-კენ გადაქცეულა, თუმცა თავის ქალა არ აღმოჩენილა (შეიძლება ვივარაუდოთ სამარხის გაძარცვა).

დასაკრძალავი კამერის NO და SO კუთხეებში პირით კედელზე მიყუდებული იყო ორი ხარის თავის ქალა, რომელთა გარშემო და უკან ულავიან ქვედა კიდურები და ნეკნები. იქვე აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები — ალაპის ნაშთი (სურ. 301—302).

სამარხში აღმოჩნდა: თიხის კურკელი, 2 ბრინჯაოს იარაღი, ძვლის სამკაული, ობსიდიანისა და ქვის ნივთები.

187 (01/24—III—118; სურ. 303) ჯამი მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. ასიმეტრიული; პირმოყრილი, ბაკო უსწორმასწორო აქვს, ოდნავ მომრგვალებული. ტანი (მხარი) — მომრგვალებული, ძირი — ბრტყელი, ცალ მხარეს გამოყოფილი. ხელითაა ნაძერწი.

სიმაღლე — 7,7 სმ, დმ პირის — 17, ძირის — 12,7 სმ.

188 (01/24—III—119; სურ. 304) დერგი წითლად ანგობირებული, ალაგ შავი ლაქებით. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — გამოყვანილი, ოდნავ კონუსური, მუცელი — სფერული, ძირი — ფართო და ბრტყელი. ყელს დაბალი ღარი შემოუყვება.

სიმაღლე — 27,5 სმ, დმ პირის — 15, მუცლის — 27, ძირის — 13,5 სმ.

189 (01/24—III—120; სურ. 305) დერგი მოწითალო-მოყავისფროდ ანგობირებული, ნაპრიალები. დაზიანებულია. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — მაღალი, კონუსისებური, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი. ყელს ქვემოთ ორი კონცენტრული, ამოღარულ სარტყელს შორის მოთავსებული ირიბად ნაჭდევი წერტილები ამკობს. მხარზე ამავე სახის, წვერით მუცლისკენ დაშვებული, ორმაგი მახვილი კუთხეებით შედგენილი შევრონები შემოუყვება.

სიმაღლე — 37 სმ, დმ ყელის — 16,5, მუცლის — 33, ძირის — 14,5 სმ.

190 (01/24—III—121; სურ. 306) ქოთანი შავად გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები. პირი ფართო, გადაშლილი აქვს. ბაკო — მრგვალი, მუცელი — გამობერილი, ოდნავ ასიმეტრიული; ძირი ფართო და ბრტყელი. მხარზე ორ ამოღარულ სარტყელს შორის მოთავსებული ირიბი წერტილოვანი ზოლები ამკობს, რომელსაც წვერით ძირისკენ მიმართული რამდენიმე სამკუთხედი უკავშირდება.

სიმაღლე — 14, დმ პირის — 14, მუცლის — 15, ძირის — 9 სმ.

191 (01/24—III—122; სურ. 307) ღერგი წითლად ანგობირებული თიხისა, ალაგ შავი ლაქებით. ნაპრიალები. პირი გადაშლილი აქვს. ბაკო — მომრგვალებული. ყელი — კონუსური. ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე ორი ამოღარული სარტყელი ამკობს. ხოლო მხარზე წვერით ქვემოთ მიმართული, წერტილებით შევსებული სამკუთხედები და ფართო ტეხილი სარტყელი — მეანდრი შემოუყვება.

სიმაღლე — 36,5 სმ, დმ პირის — 18,5, მუცლის — 31,5, ძირის — 14,5 სმ.

192 (01/24—III—123; სურ. 308) ღერგი შავად გამომწვარი თიხისა, ნაპრიალები, ვარდისფერსარჩულიანი. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — დაბრტყელებული, ყელი — კონუსისებური, ტანი მალალი, კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი, ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე ამოღარული სარტყელი ემჩნევა.

სიმაღლე — 36,5, დმ პირის — 18,5, მუცლის — 31,5, ძირის — 14,5 სმ.

193 (01/24—III—124; სურ. 309) ჯამი ღია მოყავისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი თიხისა, ხელითაა ნაძერწი, ოდნავ პირმოყრილი. მხარი ოდნავ მომრგვალებული აქვს, ძირი — ფართო და ბრტყელი, ქუსლი გამოყვანილი. ხელითაა ნაძერწი.

სიმაღლე — 5,9 სმ, დმ პირის — 10, ძირის — 8 სმ.

194 (01/24—III—125; სურ. 310) სამარილე ღია მოყავისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ასიმეტრიული. ბაკო უსწორმასწორო აქვს, გვერდები — სწორი, ცილინდრული, ძირი — ბრტყელი, ხელით არის ნაძერწი.

სიმაღლე — 3 სმ, დმ ძირის — 9 სმ.

195 (01/24—III—126; სურ. 311) სადგარი. დამზადებულია მოვარდისფრო-მოწითალო ტუფისაგან. ასიმეტრიული, ფორიანი, ქუსლიანი ჯამის ფორმა აქვს, ზედაპირი — ოდნავ ჩაღრმავებული, კალთამომრგვალებული და დაქანებული ძირისაკენ. ქუსლი მალალი, ცილინდრული, ძირისკენ ოდნავ გაფართოებული, ბრტყელიძირიანი.

სიმაღლე — 6 სმ, დმ პირის — 11, ძირის — 5 სმ.

196 (01/24—III—127; სურ. 312) სასმისი მოშავოდ გამომწვარი თიხისა. ორყურა, ბიკონუსური. ნაპრიალები პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი ცილინდრული, მუცლისკენ თანაბრად გაფართოებული, მუცელი წიბოიანი — ძირისკენ დაქანებული, ბიკონუსური. ძირი — ბრტყელი, ოდნავ გამოყვანილი განივკვეთში მრგვალ-ბრტყელი ყურები ერთმანეთის

პირდაპირ, პირს ქვემოთ და მუცელზე აქვს დაძვრწილი. ტანზე ორ ფრიზად სარტყლები ამჩნევია, რომლებიც ტალღური, კლაკნილი ხაზებით არის შევსებული.

სიმაღლე — 9 სმ, დმ პირის — 6, მუცლის — 8,5, ძირის — 4 სმ.

197 (01/24—III—128; სურ. 313) სამარილე ღია მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, ასიმეტრიული, მსხვილქვიშამინარევიანი, ოდნავ პირმოყრილი გვერდები მომრგვალებული აქვს, ძირი — ბრტყელი. ოდნავ გამოყვანილი, ხელითაა ნაძვრწი.

სიმაღლე — 3,8, დმ პირის — 8,5, ძირის — 7 სმ.

198 (01/24—III—129; სურ. 314) სამარილე ღია მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, ასიმეტრიული, ოდნავ პირმოყრილი. გვერდები მომრგვალებული აქვს, ძირი — ბრტყელი, ოდნავ გამოყვანილი. ხელითაა ნაძვრწი.

სიმაღლე — 4,2, დმ პირის — 7, ძირის — 6 სმ.

199 (01/24—III—130; სურ. 315) სატევრისპირი ბრინჯაოსი, ყუნწიანი, ფოთლისებური. ძლიერ პატინირებული. მხრები დაქანებული აქვს, პირი — გამოყვანილი, ბოლო — თანაბრად შევიწროებული, უქედო. ყუნწი ფართო და თავთან გაფართოებულია, ყუნწზე და მხრებზე სამი მანკვალი აქვს გაყრილი.

სიგრძე — 15,5, ყუნწის სიგრძე — 2,3, უდიდესი სიგანე — 3 — 4, სისქე — 0,2 სმ.

200 (01/24—III—131; სურ. 316) საკინძი ბრინჯაოსი, კონუსურთავიანი. განიკვეთში მრგვალი ღერო ბოლოსაკენ თანაბრად შევიწროებულია. თავს ქვევით 1,6 სმ დაცილებით ღეროს ემჩნევა განიერი ნახვრეტი. სიგრძე — 6,5, თავის დმ — 0,8 სმ.

201 (01/24—III—133—135; სურ. 317) ისრისწვერები ობსიდიანის (3 ც.) ბოლო სამკუთხა აქვს, ფრთები — მომრგვალებული, ქუსლი — ამოღარული. დამზადებულია რეტეშზე. ერთ ისრისწვერს ფრთა ჩამოტეხილი აქვს.

სიგრძე — 2,3 — 2,5 სმ.

ზემოაღწერილ ნივთებთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ობსიდიანის 2 ანატკეცი და ძვლის ბრტყელი დისკოსებური საკიდი, რომლის აღება ვერ მოხერხდა (სურ. 318).

მე-7 გორასამარხში აღმოჩენილი კომპლექსი, როგორც აღვნიშნეთ, მსგავსებას ამჟღავნებს თრიალეთის კულტურის ძეგლებთან, აგრეთვე თბილისისა და მესხეთ-ჯავახეთში დადასტურებულ კომპლექსებთან და წინასწარულად შესაძლოა ძვ.წ. XVII—XVI სს. დათარიღდეს (25.26.27).

მუხრანის ველზე, სოფელ წეროვანთან („საქსოფლტექნიკის“ ტერიტორიაზე) მიწის სამუშაოებისას თხრილში აღმოჩნდა და დაზიანდა თიხის სარკოფაგი (სურ. 319). იგი მიწის აწინდელი ზედაპირიდან 1,35 მ გამოვლინდა. შემორჩენილი იყო მოწითალო-აგურისფერად გამომწვარი, აბაზანისებური მოყვანილობის სარკოფაგის ქვედა ნაწილი, რომელსაც

პირის კიდევებზე შემოსდევდა ამოღარული სარტყელი (სახურავის ჩასადგმელი ნაწილი).

სარკოფაგში აღმოჩნდა:

233 (01/4—III—183; სურ. 828, 845) თიხის ჭურჭელი, ღია ჩალისფრად გამომწვარი. პირი მრგვალი აქვს, ვიწრო; ყელი — გამოყოფილი, დაბალი; ტანი — ბიკონუსისებური; ძირი — ბრტყელი. მუცელზე, ძირთან, ერთმანეთის პირისპირ დაძვრილი აქვს ოვალისებური განივკვეთის მქონე ყურები.

სიმაღლე — 13,5 სმ; მუცლის ღმ — 13 სმ; ძირის ღმ — 8,7 სმ; პირის ღმ — 4,1 სმ.

234 (01/4—III—184; სურ. 839) თიხის ჭურჭლის პირ-გვერდის ნაწილი მოჩალისფრო-მოყვარდისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისა. პირი მრგვალი უნდა ჰქონოდა, ოღონა გადამლილი. ბაკო — ბრტყელი, დაქანებული; ყელი — ცილინდრული, მხრებისკენ თანაბრად გაფართოებული; ტანი — ბიკონუსური, ძირთან წიბოიანი. გარედან მთლიანად შეღებილი ყოფილა წითელი საღებავით. ამჟამად შერჩენილი აქვს კვალი.

235 (01/4—III—184^ა; სურ. 840) დერგი, პირ-გვერდის ნაწილი, მოვარდისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, მრგვალი, ყელი — გამოყოფილი, დაბალი, ცილინდრული, მხრებთან გამობერილი.

პირის დმ — 10 სმ.

236 (01/4—III—195; სურ. 843) ხელადის პირ-გვერდის ნაწილი მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხისა. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, მრგვალი, ყელი — ცილინდრული, მხრებისკენ თანაბრად გაფართოებული, ოვალური განივკვეთის მქონე ყურის თავი უშუალოდ პირს ქვემოთ, ხოლო ყურისძირი — მხარზე ჰქონია დაძერწილი. გარედან მთლიანად დაფარულია სქელი, წითელი საღებავით — წერნაქით.

237 (01/4—III—198; სურ. 841¹) ჯამის პირ-გვერდის ნაწილი მოჩალისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი, სქელკანიანი თიხისა. პირ-მოყრილი, ბაკო — მომრგვალებული და წიბოიანი, პირი ერთგან გაფართოებულია. ზეაწეული სადინარი (?) ჰქონია.

238 (01/4—III—197; სურ. 842) ჯამის პირ-გვერდის ნატეხი მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისა. პირმოყრილია, ბაკო — მომრგვალებული, კალთა — დაქანებული.

239 (01/4—III—188) სასმისის ნაწილი ლეგა — მონაცრისფროდ გამომწვარი. ქვიშანარევი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — გამოყოფილი. ოვალური განივკვეთის ყურისთავი უშუალოდ პირზე აქვს დაძერწილი, ხოლო ყურისძირი — მხარზე.

240 (01/4—III—187) სასმისის გვერდისა და ძირის ნაწილი. ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. მუცელი სფერული აქვს, ძირი — ბრტყელი.

მუცლის დმ — 8,5 სმ; ძირის — 5 სმ.

ЦИЦАМУРИ III.

РЕЗЮМЕ

В окрестностях Цицамури-"Сисамура" античных источников (Страбон), на левом берегу р. Арагви в 1986 году раскопан многослойный памятник (площадь 1500 м²), (рис. 358–851).

В Цицамури (Цицамури III) засвидетельствовано 6 культурных слоев.

1. В первом, нижнем слое обнаружены остатки поселения ранне-бронзового периода, который представлен малыми ямами-углублениями (до 0,30 м), расположенными кругообразно. Они, видимо, служили для укрепления столбов толосообразных домов.

2. Во втором слое обнаружен курган с погребальной камерой и погребение катакомбного типа эпохи поздней бронзы.

3. Третий слой представлен остатками винного погребца – "Марани", I в. до н.э.

4. Четвертый слой был занят хозяйственными ямами I века нашей эры, которые были заполнены керамикой, характерной для раннеримской эпохи.

5. В пятом слое обнаружен могильник I–II вв. нашей эры, представленный кувшинными, черепичными и грунтовыми погребениями.

6. А в шестом слое засвидетельствованы остатки винного погребца – "Марани" II–III вв. нашей эры.

Особо следует отметить находку терракотовой статуэтки-божества в хозяйственной яме (3) I в. нашей эры, (высота 22,5 см). Она покрыта красной краской и представляет собой стилизованное изображение гермофродита, может быть, божества "Антропоса"

Следует отметить также курган (№ 13) с окаймленным каменным кругом (дм – 16 м, толщина – 0,80 м) и насыпью на погребальной камере. Погребальная камера (3,10 × 2,80 × 3,0 м) на высоте I м от пола была покрыта деревянными брусьями и заполнена земляной и каменной насыпью. В южной стене погребальной камеры вырыт подбойник для размещения части погребального инвентаря, а в восточной стене – ниши для захоронения бычьих голов.

Покойник был захоронен в центральной части камеры, на правом боку, в скорченной позе головой на юго-восток, прямо на костяке особи мелкого рогатого скота (барана), заколотого бронзовым кинжалом.

В погребении обнаружены также остатки костяка крупного рогатого скота и инвентарь, который находит аналоги среди памятников средне-бронзовой эпохи, засвидетельствованные в последние годы на территории Мцхета Великой.

На могильнике I–II вв (V слой) следует отметить погребение 12 (саркофаг), составленное из деревянных брусьев и досок.

В саркофаге обнаружены два костяка в сильно скорченной позе, головой на запад, один на правом, а другой на левом боку. Среди инвентаря следует отметить чернолощенную миску, расписной кувшин и монеты Орода II. Вышеотмеченный инвентарь, а также стратиграфические данные дают основание датировать саркофаг концом I или началом II века нашей эры.

Следует отметить, что Цицамури III является хорошо стратифицированным памятником, особенно античные слои, которые расположены друг на друге без хронологической лакуны. Поэтому `Цицамури III` дает основание для аргументированной хронологической дифференциации, что в свою очередь, может пролить свет на сложную проблему периодизации и хронологии античных памятников Картли (Иберии).

ბ ა ი ა თ ხ ე მ ე ი

1986 წელს მცხეთაში სამთავროს ველის ჩრდილოეთით მდებარე ბაიათხევის მარცხენა ნაპირზე საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად გაპირებულ ქვაბულში დაზიანდა რამდენიმე სამარხი.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ 1940 წელს, სასაკლაოს მშენებლობისას გვიანანტიკური ხანის სამარხები დაუზიანებიათ (მ. ივანეჩენკო).

საცხოვრებელი სახლისათვის გაპირებულ ქვაბულში და მის მიმდებარე ფართობზე არქეოლოგიური კვლევა-ძიებამ ჩაატარა მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მცხეთა-სამთავროს რაზმმა.¹

სამუშაოები ჩატარდა 850 კვ.მ. ფართობზე. გამოვლინდა ორი სხვადასხვა ხასიათის ძეგლი: პირველი და უძველესი წარმოდგენილი იყო ნასახლარის ცუდად დაცული ნაშთებით, მეორე კი — სხვადასხვა ტიპის გვიანანტიკური ხანის სამარხებით (სურ. 852, 853).

ნასახლარის ნაშთი აღმოჩნდა I ნაკვეთის მე-6 და მე-10 კვადრატებში. შემორჩენილი იყო სხვადასხვა დროის, ერთმანეთზე განლაგებული, ორი ცუდად დაცული კედლის ნაშთი და უძველეს კედლებთან დაკავშირებული თიხატყეპნილი იატაკის ფრაგმენტი.

NO-SW ხაზზე დამხრობილი 1,2 მ სიგანის ადრეული კედელი 8,4 მ სიგრძეზე და 0,4 მ სიმაღლეზე იყო შემორჩენილი. დაფიქსირდა ქვიშაქვის ქვატეხილით თიხაზე ნაგები კედლის ერთი ძლიერ დაზიანებული და არეული რიგი.

კედელს უკავშირდებოდა მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოვლენ-

¹ რაზმი ველზე შემდეგი შემადგენლობით მუშაობდა: გ. გიუნაშვილი (რაზმის უფროსი); თ. ნოზაძე, თ. ბიბილური, მ. შეროზია, ო. ბენაშვილი (უმცრ.მეცნ. თანამშრომლები), ი. მანჯგალაძე, მ. კაკაუციშვილი, ქ. იაშვილი, ნ. გვათუა (უფრ.ლაბორანტები), ა. ფერაძე, გ. ბეგუაშვილი, მ. შამისაშვილი, ე. გომარელი, მ. ლოლიშვილი (მხატვრები), ვ. მასხარაშვილი (გეოდეზისტი), მ. რჩეულიშვილი, ნ. კილაძე (ანთროპოლოგები), გ. ხიზანიშვილი, ივ. მალრაძე (ფოტოგრაფები). აგრეთვე ვორონეჟის უნივერსიტეტის ორი სტუდენტი და საქართველოს საისტორიო საზოგადოების სტუდენტ-ახალგაზრდული განყოფილების არქეოლოგიური რაზმის წევრები.

ნილი თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი (3,6 x 0,6 მ), რომელიც, კედლის ძირთან შედარებით, 0,3 მ ღრმად იყო განლაგებული. იატაკზე ხის ნახშირის უსახო ნატეხებთან და ძვლის ფრაგმენტებთან ერთად აღმოჩნდა რომაული ხანის კერამიკის ნატეხები (იხ. კატალოგის 201 და 202 ნივთები).

იატაკზე აღმოჩენილი მცირერიცხოვანი მასალებიდან აღსანიშნავია ჭრაქის ნატეხი (01—35—143, სურ. 1120, 1313). ამ ტიპის თიხის ჭრაქებზე მარტივი ორნამენტი ძვ.წ. II ს-ში ჩნდება. ჭრაქის დისკოზე გამოსახვედნენ ცხოველებს, პეროიკულ და ლიტერატურულ მოტივებს, მცენარეულ ორნამენტს, უკეთებდნენ წარწერებს (39).

ადრეული ნაგებობის ნაშთის NO ნაწილს ნაწილობრივ ფარავდა გვიანდელი, გაურკვეველი დანიშნულების, NOO-SWW გრძივ ღერძზე დამხრობილი კედლის ნაშთი. 1,4 მ სიგანის კედელი გამოვლინდა 7,5 მ სიგრძეზე და 0,4—0,6 მ სიმაღლეზე. კედლის წყობის შემორჩენილი ორი რიგის პერანგი ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვატეხილით და შემტკიცებულია თიხით. საპერანგე ქვებიდან ზოგიერთი ცეცხლის ზემოქმედებით შეწითლებულია. პერანგებს შორის დარჩენილი სივრცე კი თიხაში შერეული ქვიშაქვის მომცრო ქვებით შეუვსიათ.

ნასახლარს საფუძვლიანად ანგრევს და აზიანებს გვიან გამართული გვიანანტიკური ხანის სამარხები. უშუალოდ ნასახლარის შემორჩენილ ნაშთებზეა გამართული ან მთაშია ჩაქრილი შემდეგი სამარხები: №№ 1, 2, 3, 4, 5, 11, 12, 13, 18 და სხვა.

ვფიქრობთ, ნასახლარის ნაშთები იატაკზე მოპოვებული მასალებისა და სტრატეგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით წინასწარულად შეიძლება წელთაღრიცხვების მიჯნითა და ახ.წ. I—II სს დავათარილოთ.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი და საინტერესო აღმოჩენებით გამოირჩა მეორე ფენის ძეგლები, კერძოდ, გვიანანტიკური ხანის 35 სამარხი, რომლებიც მოყვითალო ან მონაცრისფრო თიხნარში იყო გამართული. მათ შორის რამდენიმე ტიპის სამარხი ნაგებობა გამოიყო: კრამიტსამარხები (№№ 3, 4, 7, 8, 10, 13, 17, 20, 21, 26, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35 — სულ 17), კრამიტით (№ 22) და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები (№№ 1, 2, 5, 9, 23, 27, 30, სულ 7), ქვასამარხები (№№ 6, 12, 15, 18, 24, 25, სულ 6) და თიხისფილა სამარხები (№№ 11, 14, 16, 19, სულ 4).

ქვისფილებით გადახურული ორმოსამარხები ბაიათხევში, კრამიტსამარხების შემდეგ, ყველაზე დიდი რაოდენობით გაითხარა, მათთვის დამახასიათებელია მოგრძო ოვალური ან ოთხკუთხა დასაკრძალავი ორმო და თიხატკეპნილი იატაკი. შვიდივე ქვისფილებით გადახურული ორმოსამარხი ინდივიდუალურია, ამათგან სამში (№№ 5, 23, 30) მამაკაცი, ორში (№№ 2, 9) ქალი, ერთში კი (№ 1) მცირეწლოვანი ბავშვი დაუკრძალავთ, ხოლო მეშვიდე (№ 27) ცხოველის ძვლების დასაკრძალავ ორმოს წარმოადგენდა.

ქვასამარხი სულ 6 გამოვლინდა. ყველა ნაგები იყო ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის ფილებისაგან და სხვადასხვა დონეზე იყო დაცულ-გადარჩენილი. ქვასამარხებიდან მხოლოდ ერთი (№ 18) არის საგანგებოდ ნათალ-ნაკოდი ფილებისაგან შედგენილი. ამ სამარხში განივ კედლებს ნარიბანდებიც აქვს. გამოირჩევა ინვენტარის სიუხვითაც და ყველა სხვა სამარხისაგან დაკრძალვის წესის თავისებურებებით. კერძოდ, მხოლოდ ამ სამარხშია დაკრძალული ორი მიცვალებული (ორივე მამაკაცი), ამათგან ერთი, თავის ინვენტარიანად, სამარხის SWW კუთხეში იყო მიხვეტილი. მეორე კი — სამარხის O კედელთან დაუკრძალავთ გულაღმა გამოტოვილი, თავით NO -კენ.

ქვასამარხების უმეტესობას (№№ 6, 18, 25) ჰქონდა ქვიშაქვის 2—2 ფილით დაგებული იატაკი, ორს (№№ 12, 24) — თიხატექანილი, ერთს კი (№ 15) — თიხის ფილებით მოგებული. სახურავად, როგორც ეტყობა, სამ-სამი ფილა იყო გამოყენებული.

ორ სამარხში დაუკრძალავთ ბავშვი (№№ 24, 25), ორში — მამაკაცები (№№ 12, 18), ორში კი (№№ 6, 15) ინდივიდების სქესის დადგენა ვერ მოხერხდა.

თიხისფილა სამარხი გაითხარა ოთხი. ოთხივე მეტ-ნაკლებად დაზიანებული და სხვადასხვა მიზეზის გამო ნაკლები იყო. მათთვის დამახასიათებელია ქვისფილებით დაფარული სახურავი და თიხის ფილებით შედგენილი გვერდები და იატაკი. შედარებით უკეთ დაცული № 16 სამარხის განივ კედლად ჩადგმული იყო, ისევე როგორც სხვა თიხისფილა სამარხებში, თიხის თითო ფილა, გრძივ კედლებში სამ-სამი. თიხის სამი ფილა ჰქონდა მოგებული სამარხს იატაკზეც. ნიშანდობლივია, რომ ოთხივე სამარხის ასაგებად გამოყენებული თიხის ფილები მეტ-ნაკლებად განსხვავებული ზომისაა: 58x57x3 სმ (№ 11); 55x55x5 სმ (№ 14); 60,5x60,5x4,5 სმ (№ 16); 59x59x4 სმ (№ 19).

ოთხივე სამარხში დაკრძალული იყო თითო მიცვალებული. ერთში (№ 11) ქალი, დანარჩენ სამში კი ინდივიდების სქესის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

კრამიტსამარხები ბაიათხევის სამაროვანზე ყველაზე გავრცელებული ტიპია, სულ გაითხარა 17 სამარხი და სამარხის ნაშთი. ამას უნდა დაემატოს კიდევ კრამიტით გადახურული ორმოსამარხი (№ 22), რომელსაც ორივე ტიპის კრამიტით გაწყობილი ორფერდა სახურავი და სამნახევარი სიგრძივ დაფენილი კრამიტის იატაკი ჰქონდა. ამ სამარხში დაკრძალული მიცვალებული მძარცველებს გახრწნამდე გაუძარცვავთ, სამარხში გადაუბრუნებიათ და პირქვე ჩაუმარხავთ.

კრამიტით ნაგები სამარხების კონსტრუქციულ თავისებურებებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა ბაიათხევის სამაროვანზე გამოგვეყო კრამიტსამარხების ორი ქვეტიპი და აღნიშნული თავისებურებების სტრატეგრაფიულ მონაცემებთან შეჯერებით მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობა და დროში ურთიერთმონაცვლეობა დაგვენახა.

1 ქვეტიპის კრამიტსამარხები გარკვეულ კონსტრუქციულ მსგავსებასა და სიახლოვეს ამჟღავნებს კარსნისხევის, მოგვთაკარის, სვეტიცხოველი I და სხვა სამაროვნებზე გამოვლენილი, როგორც ეტყობა, ადრეულ კრამიტსამარხებთან. მათთვის დამახასიათებელია ორივე ტიპის კრამიტით დაფარული ორფერდა სახურავი (№№ 4, 32, 33, 35); ყველა შემთხვევაში მათი გრძივი გვერდები ყალყზე მდგარი ბრტყელი კრამიტებით იყო შედგენილი (№№ 4, 28, 32, 33, 35). არცთუ იშვიათად, სამარხის გაგანიერების მიზნით, კუთხეებში განივი კედლების ხარჯზე ჩამატებული ჰქონდათ ღარიანი კრამიტი (№№ 4, 35) ან ქვიშაქვის მომცრო ფილა (№ 33). ხოლო გრძივ კედლებში ჩადგმული იყო ხუთ-ხუთი ბრტყელი კრამიტი (№№ 4, 32, 33, 35). იატაკზე უმეტესწილად დაფენილი იყო პირშექცევითა და სამარხის სიგანეზე დაწყობილი ხუთ-ხუთი ბრტყელი კრამიტი (№№ 4, 32, 35). თავისებურებას ავლენს ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო 33-ე სამარხიც, რომლის იატაკზეც სიგრძეზე ორ რიგად და თავშექცევით ეწყო გვერდებზაბრუნებული რვა ბრტყელი კრამიტი.

II ქვეტიპის კრამიტსამარხებში ერთიანდება ის სამარხები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ქვიშაქვის ფილებით დაფარული სახურავი (№№ 3, 7, 8, 10, 13, 21). ყალყზე მდგარი თითო ბრტყელი კრამიტია-ნი განივი კედელი (№№ 3, 7, 8, 10, 13, 20, 21, 34) გვერდზე დაწვენილი სამი (№№ 20, 21) ან ოთხი (№№ 7, 10) ბრტყელი კრამიტით შედგენილი გრძივი კედელი და ბრტყელი კრამიტით გაწყობილი იატაკი (№№ 7, 8, 10, 13, 20, 21, 26, 34). იატაკზე კრამიტები სიგრძივ აწყვია და გვერდების თანაფარდი რაოდენობითაა გამოყენებული. იშვიათად სამარხებს თიხატკეპნილი იატაკიც აქვს (№ 3). ამრიგად, II ქვეტიპის შემდეგ სამარხებს შივსკუთვნიან: №№ 3, 7, 8, 10, 13, 20, 21, 26, 29, 31, 34.

როგორც ჩანს, 33-ე სამარხი (სურ. 1047—1049) ბაიათხევის სამაროვანზე გათხრილ სამარხებს შორის ერთ-ერთი უძველესია. სამარხში დადასტურდა კიდურებმოხრილი დაკრძალვა.

დაკრძალვის არქაულმა წესმა განსაზღვრა ის, რომ 33-ე სამარხი ფართო და მოცულობითია, რითაც ის ემსგავსება ადრეულ კრამიტსამარხებს (კარსნისხევი, მოგვთაკარი, სვეტიცხოველი I და სხვა), რომლებიც ასევე ფართო და მოკლებია, და სწორედ კიდურებმოხრილი მიცვალებულის დასაკრძალავედაა გამიზნული. მათივე მსგავსად 33-ე სამარხს კრამიტის ორფერდა სახურავიც ჰქონდა.

დაკრძალვის ახალ წესს, რომელიც შედარებით ვიწრო, მაგრამ გრძელ სამარხ ნაგებობას საჭიროებს, მოჰყვა კრამიტსამარხის (ამ ტიპის სამარხის დარჩენა კვლავ ძველთან გენეტიკურ კავშირს მოწმობს) ფორმის შეცვლა: კერძოდ, სამარხმა მოიმატა სიგრძეში და დავიწროვდა ერთი კრამიტის სიგანეზე, თუმცა დროებით შეინარჩუნა კრამიტით დახურული, უკვე უაზროდ, ფართო ორფერდა სახურავი (№№ 4, 22, 32,

35). რომელსაც გვიანდელ კრამიტსამარხებზე ქვიშაქვის მომცრო ფილები ცვლის (№№ 3, 7, 8, 10, 13, 21). ეს ფაქტი ბაიათხევის სამაროვანზე სტრატოგრაფიულადაც დამოწმდა: № 3 სამარხი გამართულია მეოთხეზე, 21-ე სამარხი კი აზიანებს 22-ს და ორივე შემთხვევაში დამზიანებული ქვისფილებით გადახურული კრამიტსამარხია, დაზიანებული კი კრამიტით დაფარული ორფერდა სახურავიანი სამარხი.

აღსანიშნავია ბაიათხევის სამაროვნის კრამიტსამარხების ასაგებად გამოყენებული გვიანანტიკური ხანის, ე.წ. მცხეთური კრამიტის (კატალოგში იხ. სამარხები №№ 4, 22, 33, 35) შედარებით მომცრო და შესაბამისად მოგვიანო ნიმუშები, ბაიათხევის სამარხების არსებობის შედარებით ვიწრო ქრონოლოგიურ საზღვრებზე მიგვანიშნებს (სურ. 1314—1316). ამაზე მეტყველებს აგრეთვე, ძირითადად ერთგვაროვანი, მაგრამ მრავალფეროვანი და ძალზე საინტერესო ინვენტარი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაიათხევის სამარხებში მიცვალებული, 33-ე სამარხის გარდა, დაკრძალულია გულაღმა გაშოტილი თავის ნებისმიერი ორიენტაციით, თუმცა ძირითადად აღმოსავლეთისაკენ მისწრაფებით (იხ. ცხრილი № 2).

სამარხებში ჩონჩხის ცუდი დაცულობის გამო სქესი და ასაკი გაირკვა მხოლოდ მისი ერთი ნაწილისათვის, მათგან: ხუთი ბავშვის, შვიდი დედაკაცის, ხოლო თერთმეტი — მამაკაცის ჩონჩხი იყო (იხ. ცხრილი № 2).

ბაიათხევის სამაროვანზე აღმოჩენილი მასალები და სამარხი ნაგებობები ზოგადად დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ახ.წ. პირველი საუკუნეების ძეგლებთან. მაგრამ ჩვენ საშუალება გვქვია მიახლოებითი სიზუსტით განვსაზღვროთ სამაროვნის ზოგადი თარიღი და ის ახ.წ. II—IV სს-ით დავათარილოთ. სამაროვნის თარიღის ქვედა საზღვრის დადგენაში უპირველესად გვეხმარება თავად ძეგლის სტრატოგრაფია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამაროვანს წინ უსწრებდა ნასახლარი, რომელსაც ახ.წ. I—II სს-ში უნდა ეარსება. სამაროვნის დაძველებას გამორიცხავს აგრეთვე მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომელთა შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი, კერძოდ დაკრძალვის წესი, სამშენებლო მასალები და სამარხთა კონსტრუქციული თავისებურებანი, რომლებიც ჩვენ იმ რიგის გვიანდელ მოვლენებად გვესახება, რომელთა გამო სამაროვნის ქვედა თარიღი ძვ.წ. II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს. სამაროვნის თარიღის ზედა ზღვრის დადგენაში კი დაგვეხმარა № 12 ქვასამარხის ნაშთში აღმოჩენილი მალაყელიანი ყელწიბოიანი თიხის ხელადა (სურ. 922, 1167), რომელიც ახ.წ. IV—V სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე გავრცელებულ ნიმუშებთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. აგრეთვე მე-18 ქვესამარხი, რომელშიც ახ.წ. III—IV სს-ში გავრცელებულ ნივთებთან ერთად დადასტურდა კოლექტიური საოჯახო დაკრძალვის წესი, ქართლის ძეგლებზე კი, როგორც ცნობილია, ახ.წ. IV საუკუნიდან ჩნდება საოჯახო სამარხები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბაიათხევის სამაროვანზე აღმოჩენილი ინვენტარის დიდი ნაწილის მსგავსი მასალები ფართოდაა ცნობილი „დიდი მცხეთის“ ანტიკური ხა-

ნის არქეოლოგიურ ძეგლებზე და მის ფარგლებს გარეთ. ნაწილი ნივთებისა (მაგალითად, მე-18 სამარხში დადასტურებული მინის სანელსაცხებლები) სირიულ იმპორტს წარმოადგენს და სწორედ ახ.წ. III—IV სს-ში ჩანს გავრცელებული (2, 11, 40, 41, 42).

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, აგრეთვე სტრატეგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ბაიათხევის სამაროვანი ძირითადად III საუკუნისა და IV საუკუნის I ნახევრისათვის დამახასიათებელ კომპლექსებს შეიცავს.

ვაქვეყნებთ ბაიათხევის სამაროვნის სამარხთა აღნაგობისა და ინვენტარის სრულ აღწერილობას.

სამარხი 1.

1986.07.15; I, 10;

0,8—2,79;

1,30×0,50×0,25;

NO-SW, NO¹

(სურ. 854).

ორმოსამარხია ქვისფილებით გადახურული, რომელთა მხოლოდ ცალკეული ნატეხები შემოგვრჩა. გათხრამდის დაზიანებული წაგრძელებული ოვალის ფორმის ორმო მოყვითალო თიხნარში იყო გაჭრილი.

სამარხი ინდივიდუალურია, ინჰუმაციური. მოზარდის ჩონჩხი (6—8 წლის) დაუკრძალავთ გულალმა-გაშოტილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

ზედა კიდურები მენჯის არეში ჰქონდა დაკრეფილი.

სამარხში აღმოჩნდა:

1 (01—35—1; სურ. 855, 1121) სანელსაცხებლე მინისა, მომწვანო ფერის. პირი გადაშლილი აქვს — უსწორმასწორო, ბაკო — შესქელებული და დაბრტყელებულია, ყელი — ცილინდრული, ტანისაკენ თანაბრად გაფართოებული, ტანი — კონუსური, ძირი — ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი. ყელისა და ტანის შეერთების ადგილას ოდნავ ამოღარული სარტყელი ამჩნევია. ირიზებულია. სიმაღლე — 8,6; დმ პირის — 3,6, ძირის — 4,2 სმ. იღო მარცხენა სხივის ძვალზე.

2 (01—35—2; სურ. 856, 1122) სანელსაცხებლე მინისა, მომწვანო-მოლურჯო. პირი გადაშლილი აქვს — შესქელებული, ყელი — ცილინდრული; ტანთან შეერთების ადგილას საგრძნობლად გამობერილი, ტანი — დაბალი, კონუსური, ძირი — ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი. ტანისა და ყელის შეერთების ადგილას ამოღარული სარტყელი ამჩნევია, ირიზებულია. სიმაღლე — 8,6; დმ პირის — 3,4, ძირის — 4,2 სმ. იღო ხერხემლის მალეებთან, მარჯვენა ფერდზე.

3 (01—35—3; სურ. 857, 1123) სანელსაცხებლე მინისა, გამკვირვალე-წყლისფერი, მასიური, პირგადაშლილი, უსწორმასწორო. პირზე ამოღარული სარტყელი ამჩნევია. ყელი ცილინდრული აქვს, ტანი — კონუსური, ძირთან მომრგვალებული, ძირი — განიერი, ბრტყელი. ყელისა და ტანის შეერთების ადგილზე ამოღარული სარტყელი ემჩნევა. ირიზებულია. სიმაღლე — 8,9; დმ პირის — 5,1, ძირის — 6,5 სმ. იღო ბარძაყის ძვალზე.

¹ სამარხების აღწერისას დაცულია შემდეგი თანამიმდევრობა: სამარხის ნომერი, აღწერის დრო, ნაკვეთი, კვადრატის ნომერი და დამზრობა.

კომპიუტერული პროგრამის №№	I საბუჩავე		II განივი კვლევები		III პრბივი კვლევები		IV იაგვი				
	1. ორდერი და სახურ- ავი	2. ქვის- ფოლებით გადამსურ- ლო	3. ვერ და- ვადინეთ კადინეთ	1. თითო ბრტყელი კრბიტი	2. თითო ლარბანი კრბიტი ან ქვის მბტრო ფოლა	1. ბერი- ზე დაწე- ნილა (რ- ოდინობა)	2. კალსე მდარი	1. სოგბიე დაწყობი- ლი	2. სოგან- ზე პირზე- ცეთი	3. სოგბე- ზე ორ როგან და თავზე ცეთი	4. თიხ- ბტენილი
3		+		+		+(?)					+
4	+				+(ლარ.)		+(5)		+(5)		
7		+		+		+(4)		+(4)			
8		+		+		+(?)		+(?)			
10		+		+		+(4)		+(4)			
13		+		+		+(?)		+(?)			
17			+	+			+(5)	+(4)			
20			+	+		+(3)		+(3)			
21		+		+		+(3)		+(2/3)			
26			+	?		+(?)		+(?)			
28			+	+			+(2/3)	+(2)			
29			+	?		?					
31			+	?		?					
32		+		+			+(5)		+(5)		
33		+			+(ფოლ.)		+(5)			+(5)	
34			+	+		+(?)		+(?)			
35		+			+(ლარ.)		+(5)		+(5)		

სამარ- ხების №№№	სამარხის ტიპი	ინდიკ- დების რაოდენ- ობა	სამარხების დამხრობა	მიცალე- ბული დამხრო- ბილია თა კით	გულალ- მა გაშო ტოლი	კლდე- რებ მოხ- რილი	სქე- სი	ასაკი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ქ.ფილა.ვად.ორმოსამ.	1	NO-SW	NO	+		Inf	6-8წწ.
2	„---“	1	NWW-OO	NWW	+		♀	30-35წწ.
3	კრამიტსამარხი	1	NNO-SSW	NNO	+		♀	20-25წწ.
4	„---“	1	SSO-NWW	SSO	+		♂	30-35წწ.
5	ორმოსამარხი	1	NO-SW	NO	+		♂	55-60წწ.
6	ქვასამარხი	?	O-W	?	?		?	?
7	კრამიტსამარხი	1	O-W	O	+		♀	50-55წწ.
8	„---“	?	O-W	?	?		?	?
9	ორმოსამარხი	1	NOO-SWW	?	?		♀	18-20წწ.
10	კრამიტსამარხი	1	NO-SW	NO	?		♂	40-45წწ.
11	თიხისფილა სამარხი	1	NOO-SWW	NOO	+		♀	20-25წწ.
12	ქვასამარხი	1	NW-SO	?	?		♂	40-45წწ.
13	კრამიტსამარხი	1	O-W	O	+		?	?
14	თიხისფილა სამარხი	1	NO-SW	NO	+		?	?
15	ქვასამარხი	1	NWW-SOO	NWW	+		?	?
16	თიხისფილა სამარხი	1	NO-SW	NO	+		?	?
17	კრამიტსამარხი	1	SSO-NNW	?	?		♂	?
18	ქვასამარხი ნარიბანდიანი	2	NO-SW	NO	მიხვედ- NW		♂ ♂	40-45წწ. 20-25წწ.
19	თიხისფილა სამარხი	1	NO-SW	NO	+		?	?
20	კრამიტსამარხი	1	NOO-SWW	NOO	+		♀	18-20წწ.
21	კრამიტსამარხი	1	NO-	NO	+		Inf	5-7წწ.
22	კრამიტსახურავიანი ორმოსამარხი	1	SO-NW	SO	+		?	?
23	ქ.ფილა ვადახ. ორ- მოსამარხი	1	NW-SO	NW	+(?)		♂	50-55წწ.
24	ქვასამარხი	1	NOO-SWW	NOO	+		Inf	4-5წწ.
25	„---“	1	NOO-SWW	?	?		Inf	?
26	კრამიტსამარხი	?	NOO-SWW	?	?		?	?
27	ორმოსამარხი (?)	საქ. ტელ.	NOO-SWW	?	?		?	?
28	კრამიტსამარხი	1	SO-NW	?	?		Inf	?

1	2	3	4	5	6	7	8	9
29	„----“	?	NO-SW	?	?		?	?
30	ქეფილ-გადახ.ორმ.ს.	1	SWW-NOO	SWW	+		♂	45.50წწ.
31	კრამიტსამარხი	1	NO-SW	?	?		?	?
32	„----“	1	NOO-SWW	NOO	+		♂	40.45წწ.
33	„----“	1	SSO-NWW	SSO		+	♂(?)	40.45წწ.
34	„----“	?	NNO-SSW	?	?		?	?
35	„----“	1	NO-SW	NO	+		♀	20.25წწ.

4 (01-35-4; სურ. 858, 1124) სანელსაცხებლე მინისა, გამკვირვალე. წყლისფერი. პირი გადაშლილი აქვს, უსწორმასწორო; პირი — შესქელებული. ყელი — მაღალი, ცილინდრული. ტანი — კონუსური; ყელისა და ტანის შეერთების ადგილას ამოღარული სარტყელი შემოსდევს. ძირი შეზნეკილი აქვს. სიმაღლე — 13,8 სმ; დმ პირის — 3,2, ძირის — 5,5 სმ. იღო სამარხის N ნაწილში.

5 (01-35-5; სურ. 859, 1125) თიხის ორსართულიანი ჭურჭელი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს — მრგვალი. ყელი — გამოყვანილი. ზედა ნაწილი სფერულტანიან კოკობს წარმოადგენს, რომელსაც ტანი კოპებით აქვს შემკული. იგი უერთდება მსგავსი მოყვანილობის ჭურჭელს, ძირი ბრტყელი აქვს. განივკვეთში მომრგვალებული ყური ქვედა და ზედა ჭურჭლის მხრებზეა დაძერწილი. ზოგან ტანზე ემჩნევა წითელი საღებავის კვალი. სიმაღლე — 10,5; დმ პირის — 5,3, ძირის — 5,0 სმ. იღო უსახელო ძვალთან.

6 (01-35-6; სურ. 860, 861, 1126) თიხის ასკისებური ჭურჭელი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ფრინველის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს. აქვს სამტუჩა პირი, დაბრტყელებულ ზედაპირზე დაძერწილი ოვალისებური მოყვანილობის ყური და დაკეპნილი ორნამენტით შემკული კუდი. ყურისთავთან კოპი აქვს დაძერწილი. ტანს შემოუყვება შვეული ნაჭდევი ზაზებით შედგენილი სარტყელი. ემჩნევა საღებავის კვალი. სიგრძე — 11,2, სიგანე — 9,5, სიმაღლე — 8,5 სმ. იღო მარჯვენა ბარძაყის ძვალთან.

7 (01-35-7; სურ. 1127) ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაჟანგული და დაზიანებულია. მხართან გაფართოებულია და გადადის ოვალისებური მოყვანილობის სათვალბუდეში, რომელშიც პასტის თვალი მჭდარა. ამჟამად ნაშთებია შემორჩენილი.

იღო გულმეკერდის არეში.

8 (01-35-8; სურ. 862-867, 1128) ქოირის ფურცლები ოქროსი (6 ც). წარმოადგენს ოქროს თხელ ფურცელს, რომელსაც სამკუთხა მოყვანილობა აქვს. თავთან დაკბილულია (ოთხი სამკუთხა კბილი აქვს). სიგრძეზე რადიალურად გასდევს ზოლები. მცენარის ფოთლის იმიტაციას წარმოადგენს. საერთო წონა — 2,280 გრ. ეყარა თავის ქალასთან.

9 (01-35-9; სურ. 868, 1129) მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, ძლიერ დაქანგული და პატინიზირებულია. მშვილდი მორკალული, კვინტიანი და ქულიანი აქვს. ენა რკინის. სიგრძე — 2,5, სიმაღლე — 1,2 სმ. იღო გულმკერდის არეში (acissa-ს ტიპის).

10 (01-35-10; სურ. 1130) მძივი ტალკის, ცილინდრული ფორმის, ღიდი, მასიური, ფართონახვრეტიანი. სიგრძე — 1,1; ღმ — 1,5, ნახვრეტის — 0,7 სმ. იღო მარჯვენა ხელის მტევანთან.

11 (01-35-11; სურ. 869, 870) მონეტა ვერცხლის, ავგუსტუსის ღენარი. წონა — 3,640 გრ. იღო ყელის არეში.

12 (01-35-12; სურ. 1131) საყურე ან სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი. წარმოადგენს ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებულ ოვალისებური მოყვანილობის თავგახსნილ რგოლს. სიმაღლე — 1,4 სმ. იღო ყურის არეში.

13 (01-35-13; სურ. 1132) მძივები მწვანე მინისა, მილისებური, რვაწახნაგა, სხვადასხვა ზომის. სიმაღლე — 0,6-0,8 ღმ — 0,4 სმ. აღმოჩნდა ყელ-კისრის არეში.

14 (01-35-14; სურ. 871, 872, 1133) ბეჭედი რკინისა, გემიანი. ძლიერ დაქანგული და ნაკლულია. რკალი მხრებთან თანაბრად გაფართოებულია და გადადის ოვალისებური მოყვანილობის თვალბუდეში, რომელშიც ამავე მოყვანილობის მოწითალო სარდიონის გემა-ინტალიოზის (თვალზე ამოკვეთილია ათენა პრომაქოსის გამოსახულება). ბეჭდის რკალის ღმ — 2,9; ინტალიოს ზომები: 1,5x1,2 სმ. იღო გულ-მკერდის არეში.

15 (01-35-15; სურ. 1134) მძივი გიშრისა, მრგვალ-ბრტყელი. სიმაღლე — 0,35; ღმ — 0,8 სმ. იღო მარჯვენა ფერღზე.

სამარხო 2.
1986.07.17; I, 10;
1,10-2,71;
1,80x0,85x0,36;
1,65x0,60x0,36;
სამარხო 2. ორმოსამარხია ქვისფილებით გადახურული; სახურავის ოთხი ფილიდან აღმოსავლეთისა აკლდა. ორმო, რომელსაც დასავლეთის (NWW) განივ კედლად ქვიშაქვის მომცრო ფილა ჰქონდა ჩადგმული, მოყვითალო ფერის თიხნარში იყო გაკრული.

SOO-NWW, NWW
(სურ. 873, 874). ინდივიდუალურ სამარხში გულაღმა-გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით NWW-კენ დაკრძალული იყო 30-35 წლის დედაკაცი.

სამარხში აღმოჩნდა:

16 (01-35-16; სურ. 875, 1135) სამტუჩა ხელადა მოჩალისფრო-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა. ყელი ცილინდრული აქვს, მხრები — თანაბრად დაქანებული, მუცელი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი. განივკვეთში მრგვალ-ბრტყელი ყურის თავი უშუალოდ პირზეა დაძერწილი, ხოლო ყურის ძირი — მხარზე. ყელს ქვემოთ — მხარზე ორ რიგად გასდევს შვეული, დაკეპნილი ხაზებისაგან შედგენილი სარტყელი. მხარზე და მუცელზე შიგნიდან გამობერილი კოპებისაგან შედგენილი ოთხი

სარტყელი ამჩნევია. სიმაღლე — 14,9; მუცლის დმ — 13 სმ. იდო მარცხენა ფეხის წვივთან.

17 (01-35-17; სურ. 876, 1136) ხელადისებური სასმისი მოჩაღისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი. მხარზე და მუცელზე დაძერწილი აქვს მომრგვალებული ოთხკუთხა განიკვეთის ყური. მხარზე და მუცელზე ემჩნევა შიგნიდან გამობერილი კოპებისაგან შედგენილი ორი სარტყელი. სიმაღლე — 11; დმ მუცლის — 12, პირის — 6 სმ. იდო მარჯვენა ხელის მხრის ძვალთან.

18 (01-35-18; სურ. 1137) ბეჭედი (რგოლი) რკინისა, ძლიერ დაჯანგულია. წარმოადგენს განიკვეთში მრგვალ წესიერ რგოლს. დმ — 2,5 სმ. იდო გულ-მკერდის არეში.

19 (01-35-19; სურ. 1138) ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაჯანგული და ნაკლულია. მხრებთან თანაბრად გაფართოებულია და გადადის დაბრტყელებულ ფარაკში. იდო გულმკერდის არეში.

20 (01-35-20; სურ. 877, 1139) მძივი გიშრისა, თოთხმეტწახნაგა, დიდი — მასიური. აქვს ერთი გამკოლი და ოთხი ირიბი ნახვრეტი. აღმოჩნდა მარცხენა ხელის მაჯასთან, სამაჯურის ნაწილია. სიგრძე — 2; სიგანე — 1,5 სმ.

21 (01-35-21; სურ. 878, 1140) მძივები გიშრისა, თოთხმეტწახნაგა, სხვადასხვა ზომის (8 ც). აღმოჩნდა იქვე. სიგრძე — 0,9; სიგანე — 0,5 სმ.

22 (01-35-22; სურ. 879, 1141) მძივსაკიდი ჰემატიტისა (?) წაკვეთილი კონუსისებრი, ვიწრო ნაწილში გამოყვანილი ცალმხრივ ნახვრეტიანი, ცალ გვერდზე იკითხება ბერძნული წარწერა "ΦΥΛΑΤΕ". სიგრძე — 2,1; დმ — 0,8 სმ. აღმოჩნდა იქვე.

23 (01-35-23; სურ. 1142) მძივსაკიდი მარჯნისა, სფერული. ვერცხლის ყუნწი მოტეხილი აქვს. დმ — 1,5 სმ. მოტეხილი ყუნწის წონა — 0,180 გრ. აღმოჩნდა იქვე.

24 (01-35-24; სურ. 880, 1143) მძივსაკიდი სარდიონისა (?), სფერული, ცეცხლში მოხვედრისაგან (?) თეთრი ფერი აქვს მიღებული. დმ — 1,4 სმ. აღმოჩნდა იქვე.

25 (01-35-25; სურ. 881, 1144) მძივსაკიდი ვერცხლისა, პატინირებულია. წარმოადგენს ბურთულა ფუყე მძივს, რომელსაც თავზე ყუნწი აქვს დარჩილული, ხოლო ბოლოზე მტევნისებური კუნწულა. წონა — 2,170 გრ. აღმოჩნდა იქვე.

26 (01-35-26; სურ. 1145, 1146) მძივები მინისა: ა) მწვანე ფერის, რვაწახნაგა პრიზმისებური (4 ც), სხვადასხვა ზომის; ბ) ლურჯი მინის, თოთხმეტწახნაგა, მკირე ზომის (1 ც); გ) გვერდებდაღარული ვარდულისებრი, მოყვითალო მინისა (იშლება). აღმოჩნდა ყელ-კისრის არეში.

27 (01-35-27; სურ. 1147) მძივი მარგალიტის, თავწაკვეთილი, ბიკონუსური. დმ — 0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე.

28 (01-35-28; სურ. 882, 1148) საკიდები ოქროსი (3 ც). წარმოადგენს ოქროს ფურცლისგან დამზადებულ, გარდიგარდმო დაღარულ მილაკს. მილაკზე ყუნწების მეშვეობით დამაგრებულია ოქროსივე მრგვალი საკიდი, რომელსაც ცენტრში სათვალბუდე აქვს დარჩილული. თვალბუდეში ამობურცულზურგიანი პიროპის თვალია ჩასმული. წონა: 1,850 გრ — თვლებიანად. იქვე.

29 (01-35-29; სურ. 883, 884, 1149) ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაქანებული და ნაკლულია. მხრებთან გაფართოებულია და გადადის ოვალისებური მოყვანილობის თვალბუდეში. ბუდეში მუქი-წითელი სარდიონის გემა-ინტალიო ზის, რომელზედაც ქალღმერთი დემეტრეა გამოსახული. იქვე.

სამარხი 3.

1986.07.18; I, 6,
10; ? — 2,88;
1,05x0,45x0,45;
1,05x0,32x0,33;
NNO-SSW, NNO
(ხურ 885).

კრამიტსამარხია. მოყვითალო ფერის თიხნარში ჩაქრილ ორმოში გაუმართავი წაგრძელებული ოთხკუთხედი ფორმის სამარხი ნაგებობა-ყუთი, რომელსაც იატაკის მაგივრობას უწევდა მოტყეპნილი მიწა. შემორჩენილი იყო მხოლოდ სამარხის NNO ნაწილი. გვერდით გრძივ გვერდებზე შემორჩენილი იყო გვერდზე დაწოლილი ორ-ორი კრამიტი, რომლებსაც აკეცილი გვერდები გარე მხარეს ჰქონდა მიქცეული. NNO განივ გვერდად სი-

მალღეზე ჩადგმული იყო, ფართო ნაწილით ქვევით და აკეცილი გვერდებით, გრძივი გვერდებისაკენ მიქცეული ბრტყელი კრამიტი. სამარხი სავარაუდოა, რომ ქვისფილებით უნდა ყოფილიყო გადახურული.

ინდივიდუალურ სამარხში გულალმა-გაშოტილი და გულხელდაკრეფილი. თავით NNO-კენ დაკრძალული იყო 20—25 წლის დედაკაცი.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი 4

1986.07.28; I,
6-10; 1,50-2,22;
2,20x1,10x0,60
(სახურავის),
2,15x0,60x0,50
(კამერის),
2,0x0,50x0,40;
SSO-NWW, SSO
(ხურ. 886-888).

კომბინირებული კრამიტსამარხია. მოყვითალო თიხნარში ჩაქრილ ორმოში გაუმართავთ წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის სამარხი ნაგებობა-ყუთი, რომელსაც იატაკად ეფინა ხუთი განივად დაწყობილი ბრტყელი კრამიტი. სამარხის ორფერდა სახურავის სამხრეთსა და ცენტრალურ ნაწილში ბრტყელი კრამიტების შეერთების ადგილებს ფარავდა ღარიანი კრამიტები, რომლებსაც ვიწრო ქიმიანი მხარე სახურავის კეხისაკენ ჰქონდათ მიქცეული. სახურავის NO ნაწილს ფარავდა ქვიშაქვის ფილა, ხოლო NW ნაწილს კი — თიხის ფილა (0,60x0,60x0,04 მ). სულ სახურავი გამართული იყო შვიდი გვერდბაკეცილი ბრტყელი კრამიტითა და ცხრა ღარიანი კრამიტით.

სამარხის გვერდები შედგენილი იყო თორმეტი ბრტყელი გვერდბაკეცილი კრამიტითა და სამი ღარიანი კრამიტით. სამარხს გრძივი გვერ-

დები ჰქონდა ხუთ-ხუთი თავშექცევით განლაგებული ბრტყელი კრამიტით, განივი გვერდები კი — თითო ცალი ძირისკენ ფართო ნაწილით ჩადგმული ბრტყელი კრამიტით. SO, NO და NW კუთხეებში დარჩენილი ღრიჭოები შევსებული იყო საკრძალავი კამერისაკენ ზურგმიქცეული ღარიანი კრამიტებით. აგურისფერად ან ჩალისფერად გამომწვარი თითქმის ყველა კრამიტზე შემორჩენილი იყო წითელი საღებავის ნაშთი.

ბრტყელი კრამიტის ზომები: სიგრძე — 49; სიგანე — 35—43,5; კეცის სისქე — 2,0 სმ. ღარიანი კრამიტის ზომები: სიგრძე — 45—47; დმ — 17—23; კეცის სისქე — 1,3 სმ. აქვთ შებრტყელებული მაღალი ქიმი.

ინდივიდუალურ სამარხში გულალმა-გაშოტილი, თავით SSO-კენ, დაკრძალული იყო 30—35 წლის მამაკაცი.

სამარხში აღმოჩნდა:

30 (01—35—44; სურ. 889, 1150) ხელადა, მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალპირიანი. პირი გადაშლილი აქვს. ყელი — დაბალი, ცილინდრული, მუცელი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი. მხარზე და მუცელზე ოთხ რიგად კოპებიდან შედგენილი სარტყელი ემჩნევა. მხარზე და მუცელზე განივკვეთში მომრგვალელებული ყური აქვს დაძერწილი. სიმაღლე — 14; დმ პირის — 16, ძირის — 18 სმ. იღო სამარხის NW კუთხეში.

31 (01—35—45; სურ. 890, 1151) ხელადა, მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისა, მრგვალპირიანი. პირი გადაშლილი აქვს. ყელი — ცილინდრული, მუცელი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი. მუცელზე და მხარზე სამ რიგად კოპებიდან შედგენილი სარტყელი ემჩნევა. მხარზე და მუცელზე განივკვეთში მომრგვალელებული ოთხკუთხა ყური აქვს დაძერწილი. სიმაღლე — 12,5; დმ მუცლის — 12,6, პირის — 6,3, ძირის — 7,7 სმ. იღო სამარხის NO კუთხეში.

32 (01—35—46; სურ. 891, 892, 1152) ბეჭედი რკინისა, ძლიერ დაჟანგული და დაზიანებულია. რკალი მხრებთან თანაბრად გაფართოებულია და გადადის ოვალური მოყვანილობის თვალბუდეში, რომელშიც ამავე მოყვანილობის ამობურცულ ზურგია. მოწითალო სარდიონის გემა-ინტალიო ზის. თვალზე ამოკვეთილია ჰერაკლეს გამოსახულება. იღო წელის არეში.

33 (01—35—47; სურ. 893, 1153, 1154) მძივები ქვისა, მრგვალ-ბრტყელი. რვაწახნაგა. გახვრეტილია ბურლით (შესასვლელ ნახვრეტთან კლიანი, კონუსურნახვრეტიანი). დმ 1,1—1,2; სიგრძე — 0,9—1,0 სმ. იღო გულმკერდის არეში.

34 (01—35—48; სურ. 1155) მძივი მინისა, თეთრი-გამჭვირვალე, ბიკონუსური, თორმეტწახნაგა. სიმაღლე — 1,1; დმ — 1,2 სმ. იქვე.

35 (01—35—49) მძივი ქარვისა, ნაკლული და ადვილადშლადი. იქ-

33.
36 (01—35—50; სურ. 894, 1156—1158) მძივები სარდიონისა, თო-
თხმეტწახნაგა, წითელი ფერის, ორმხრივნახვრეტიანი. სხვადასხვა ზომის.

უდიდესი ზომები: სიგრძე — 1,2; სიგანე — 0,8; სიმაღლე — 0,5 სმ; უმცირესი ზომები: 0,7—0,7—0,4 სმ. იღო თავის ქალასფან.

სამარხი 5.
1986.08.18; I, 6;
1,30—3,49;
1,57×0,50;
1,90×0,60×0,35;
NO-SW, NO
(სურ. 895, 896).

ორმოსამარხი გაჭრილი იყო მოყვითალო ფერის თიხნარსა და ადრეული კედლის შუაგულში; სახურავის ქვის ფილებისაგან შემორჩენილი იყო რამდენიმე ნატეხი. იატაკს მოტკეპნილი თიხნარი წარმოადგენდა.

ინდივიდუალურ სამარხში გულალმა-გაშოტილი. გულხელდაკრეფილი, თავით NO-კენ დაკრძალული იყო 55—60 წლის მამაკაცი.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი 6.
1986.07.22; I, 6;
1,30—3,67;
1,30×0,60×0,35;
1,15×0,28×0,48×
0,32; O-W
(სურ. 897).

ქვასამარხია. მოყვითალო ფერის თიხნარში ჩაჭრილ ორმოშია გამართული, რომელსაც იატაკად ქვიშაქვის ორი თხელი ფილა ჰქონდა მოგებული. სამარხს წაგრძელებული ტრაპეციის ფორმა ჰქონდა, ზევითკენ შევიწროებული. სახურავის ფილები არ იყო შემორჩენილი. გვერდებად ქვიშაქვის თითო ფილა ჰქონდა გამოყენებული.

სამარხში მცირე და უსახო ფრაგმენტების გარდა, მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები არ აღმოჩნდა. გაძარცვული იყო.

სამარხში აღმოჩნდა:

37 (01—35—39; სურ. 898, 1159) მძივი სარდიონისა (?), აქატის მინარეგებიანი, მოთეთრო-მოვარდისფრო, ცილინდრული ფორმის, ცილინდრულ ნახვრეტიანი. სიგრძე — 2; დმ — 0,9 სმ.

38 (01—35—40; სურ. 899, 1160) მძივი შინისა, წყლისფერი, გვერდებულარული, დამტვრეული. სიგრძე — 2 სმ.

39 (01—35—41; სურ. 1161) ნიჟარას ფრაგმენტები, ფერუმარილის სასრესი უნდა იყოს.

სამარხი 7.
1986.07.24; I, 6;
1,5—3,87;
1,85×0,70×0,50;
1,76×0,35×0,35;
O-W, O
(სურ. 900).

კრამიტსამარხია, ქვისფილებით გადახურული. სახურავის სამი ფილიდან აღმოსავლეთისა აკლდა. თავკედლები ვერტიკალურად ჩადგმული თითო ბრტყელი კრამიტით იყო შედგენილი. გრძივი კედლები კი გვერდზე დაწვენილი ოთხ-ოთხი ბრტყელი კრამიტით გაწყობილი. იატაკად ეფინა ოთხი, სიგრძეზე და გვერდებზარუნებულად დაწყობილი, ბრტყელი კრამიტი. სამარხის დასავლეთით მცირე ნაწილი დაზიანებული იყო.

ინდივიდუალურ სამარხში, გულალმა-გაშოტილი, თავით აღმოსავლეთისაკენ დაუკრძალავთ 50—55 წლის დედაკაცი. საგარაუდოა გულხელდაკრეფილი, რომელსაც მარჯვენა ფეხის მუხლი მარცხენა ფეხის მუხლზე ედო. ჩონჩხი ძალზე ცუდად იყო დაცული.

სამარხში აღმოჩნდა:

40 (01-35-42) ქილისებური სასმისი მინისა, წყლისფერი, ფრაგმენტირებული, ძლიერ ირიზებული, თხელკედლიანი და ადვილადშლადი. იდო სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში.

სამარხი 8.

1986.08.14; I, 7;

1, 25-4, 30;

0,33x0,40x0,50;

0,33x0,32x0,45;

O-W

(სურ. 901).

კრამიტსამარხია, ქვისფილებით გადახურული. შემორჩენილი იყო სამარხის დასავლეთის მცირე ნაწილის ნაშთი: დასავლეთის განივი გვერდის ყალყზე მდგარი ბრტყელი კრამიტი, ჩრდილო და სამხრეთი გრძივი გვერდების გვერდზე დაწვენილი თითო ბრტყელი კრამიტის ნატეხები და სახურავად გამოყენებული ქვიშაქვის ნაშთი. სამარხს იატაკი სიგრძეზე დაწყობილი, გვერდებზარუნებული, ბრტყელი კრამიტისა ჰქონდა.

სამარხში ჩონჩხი შემორჩენილი არ იყო. უინვენტაროა.

ორმოსამარხია, ქვისფილებით გადახურული. მოყვითალო ფერის თიხნარში გაჭრილი იყო წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის ორმო, რომლის ნაკლული სახურავი შედგებოდა ქვიშაქვის რამდენიმე ფილით. სამარხი ნაწილობრივ დანგრეული იყო. იატაკს მოტკეპნილი თიხნარი წარმოადგენდა.

სამარხი 9.

1986.07.22; I, 7.

11; 1,0-3,57 მ;

1,20x0,50x0,30x

1,35x1,00 მ;

NOO-SWW

(სურ. 902, 903).

ინდივიდუალურ სამარხში 18-20 წლის ქალი იყო დაკრძალული. ჩონჩხი არეული იყო, რის

გამოც მიცვალბულის მდგომარეობა და დამხრობა ვერ დადგინდა.

სამარხი უინვენტაროა.

კრამიტსამარხია, ქვისფილებით გადახურული. წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის სამარხის სახურავი შედგენილი იყო სამი ქვიშაქვისა და ორი ნაკლული ბრტყელი კრამიტისაგან. განივ კედლებად თითო ცალი ყალყზე დაყენებული ბრტყელი კრამიტი იყო. ნახმარი; გრძივი კედლების ოთხ-ოთხი ბრტყელი კრამიტი კი გვერდზე იყო დაწვენილი. იატაკზე მოგებული იყო ოთხი სიგრძივ დაწყობილი ბრტყელი კრამიტი. სამარხის დასავლეთი ნაწილი ექსკავატორმა დააზიანა.

ინდივიდუალურ სამარხში გულხელდაკრეფილი, გულალმა-გაშოტილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაკრძალული იყო 40-45 წლის მამაკაცი.

სამარხში აღმოჩნდა:

41 (01-35-43; სურ. 906, 1162) სანელსაცხებლემ მოციხფრო-მომწვანო გამჭვირვალე მინისა, მაღალი, ვიწროყელიანი. პირი გადაშლილი

აქვს. შიგნით ჩაკეცილი. ყელი — ცილინდრული, ვიწრო, ტანი — კონუსური, ძირი — ბრტყელი, შეზნეკილი, წელზე ჩაღარული სარტყელი ემჩნევა. იღო სამარხის N კედელთან.

სამარხი 11.

1986.08.15; I, 6,
10; 1,30—3,53;
0,90x0,65x0,45;
0,80x0,58x0,42 მ;
NOO-SWW, NOO
(სურ. 907—909).

თიხისფილა სამარხია, ქვისფილებით გადახურული. სამარხს დასავლეთის ნაწილი ექსკავატორმა ჩამოჭრა. წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის სამარხში შემორჩენილი იყო სახურავის მხოლოდ ერთი ფილა, აღმოსავლეთის განივ კედლად ჩადგმული თიხის გრძივი კედლებისა და იატაკის ერთნახევარი ფილა. თიხის ფილების საშუალო ზომებია: 0,58x0,57x0,03 მ.

ინდივიდუალურ სამარხში გულალმა-გაშოტილი. თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაკრძალული იყო 20—25 წლის ქალი, რომელსაც ხელები სხეულის გასწვრივ ეწყო.

სამარხში აღმოჩნდა:

42 (01—35—96; სურ. 910—916, 1163—1165) ქიორის ფურცლები (7 ცალი), ოქროსი, წარმოადგენს ოქროს თხელ ფურცელს, რომელსაც სამკუთხა მოყვანილობა აქვს.თავთან დაკბილულია (ოთხკბილა). სიგრძეზე რადიალურად ღარები დაუყვება, რომლებიც სამკუთხედის წვერიდან ძირისაკენ გასდევს. სიგრძე — 5 სმ; საერთო წონა — 2,0 გრ. 6 ც. თავის ქალასთან, ერთი კი — მენჯის ძვალთან აღმოჩნდა.

43 (01—35—97; სურ. 917, 1166) ბეკედი—რგოლი ქალცედონისა, გამჭვირვალე-რძისფერი. ოვალისებური მოყვანილობის რგოლია, რომელიც ერთ მხარეს დაბრტყელებულია. დმ — 2,5 სმ. აღმოჩნდა მარცხენა ბეკის ძვალთან.

44 (01—35—98; სურ. 918) მძივები (იოტები) გამომწვარი თიხისა, მოწითალო ფერის. მანდარინისებური ფორმის. დმ — 0,25 სმ. აღმოჩნდა წინამხრის ძვალთან.

45 (01—35—99; სურ. 919) სანელსაცხებლე, მოცისფრო-გამჭვირვალე მინისა, კოჭისებური, მასიური. პირი ძლიერ გადაშლილი და დაბრტყელებული აქვს; ყელი — მაღალი, ცილინდრული. ტანი — დაბალი, დაბრტყელებული. ძირი — ბრტყელი, ცენტრში შეზნეკილი. სიმაღლე — 6, პირის დმ — 5,5, ძირის — 6 სმ. იღო იდაყვის ძვალთან.

სამარხი 12.

1986.07.18; I, 10;
0,60—3,51;
0,80x0,70x0,45;
0,75x0,55x0,45;
NW-SO, ?
(სურ. 920, 921).

ბანურსახურავიანი ქვასამარხია, რომელსაც წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. შემორჩენილი იყო სამარხის მესამედი, მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. იატაკი მოტყეპნილი თიხნარია.

ინდივიდუალურ სამარხში დაუკრძალავთ 45—50 წლის მამაკაცი.ძვლები სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იყო მოხვეტილი. ამიტომ პოზა და დამხრობა გაურკვეველია.

სამარხში აღმოჩნდა:

46 (01-35-33; სურ. 922, 1167) ხელადა ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, უსწორმასწორო; ყელი — მაღალი, ცილინდრული, ტანი — გრძელი, თანაბრად გაფართოებული; ძირი — ბრტყელი. ყელს ქვემოთ სარტყელი ემჩნევა. განივკვეთში მომრგვალებული ყურის თავი ყელზე აქვს დაძერწილი, ყურის ძირი — მხარს ქვემოთ. ტანზე ვარდისფერი ლაქები ემჩნევა. სიმაღლე — 18,5, პირის დმ — 6, ძირის — 9,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის NW ნაწილში.

47 (01-35-34; სურ. 1168) მძივი სარდიონისა, სფერული, ორმხრივნახვრეტიანი. დმ — 1,2 სმ. იქვე.

48 (01-35-35; სურ. 1169) მძივსაკიდი ცეცხლში მოხვედრილი (?) ლაქებიანი სარდიონისა, ბრინჯაოს ლეროს საკიდი მოტეხილი აქვს. დმ — 1,2 სმ. იქვე.

სამარხი 13.

1986.07.18; I, 10;

0,60—3,47;

0,95×0,55×0,60;

0,96×0,26×0,40;

O-W, O

(სურ. 923).

ქვისფილებით გადახურული კრამიტსამარხია, რომლის მხოლოდ დასავლეთი ნაწილია გადარჩენილი. წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა ჰქონია. სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში შემორჩენილი იყო სახურავის ფილის ნატეხი. დასავლეთის თავკედლად ყალყზე მდგარი ბრტყელი კრამიტია გამოყენებული, გრძივი გვერდების კრამიტები კი გვერდზეა დაწვენილი. იატაკი სიგრძეზე დაწყობილი გვერდებზაბრუნებული ბრტყელი

კრამიტებით ყოფილა მოგებული.

ინდივიდუალურ სამარხში შემორჩენილი ქვედა კიდურების ნაშთის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული იწვა გულაღმა-გაშოტილი, თავით აღმოსავლეთით.

სამარხი უინვენტარია.

სამარხი 14.

1986.07.21; I, 11;

1,0—3,83;

1,10×0,98×0,70 —

0,60×0,40×0,35;

NO-SW, NO

(სურ. 924).

ქვისფილებით გადახურული ბანურსახურავიანი თიხისფილა სამარხია, რომლის მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი მკირე ნაწილია შემორჩენილი. განივკედლად გამოყენებული იყო თიხის ერთი ფილა, გრძივი კედლების შემორჩენილი თითო ფილა კი ძლიერ იყო დაშლილი, იატაკის ფილებიდანაც მხოლოდ ერთი ფილა შემორჩა. თიხის ფილის ზომებია: 0,55×0,55×0,05 მ.

ინდივიდუალურ სამარხში შემორჩენილი წვივ-ტერფის ფრაგმენტებმა გვაფიქრებინა, რომ მიცვალებული იწვა გულაღმა-გაშოტილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხი უინვენტარია.

სამარხი 15.

1986.10.21; I, 7;

ბანურსახურავიანი ქვასამარხია, რომელსაც ორივე განივი კედელი აკლია, გრძივი კედლების შემორჩენილი ნაწილები კი სამარხში იყო გადაქცეული.

1,0—4,05;
1,85×1,15×1,10 —
1,80×0,65×0,50;
NWW-SOO, NWW
(სურ. 927, 928).

სახურავის NWW და შუა ქვის ფილა სამარხის ჩრდილო კედელზე იდო. სამარხს თიხის ფილებით მოგებული იატაკი ჰქონდა. შემორჩა თიხის ერთი ფილა, სხვების ნატეხები მძარცველებს სამარხის ირგვლივ მიმოუფანტავთ.

ინდივიდუალურ სამარხში დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი სამარხის SOO მხარეს იყო მიხვეტილი, მაგრამ ბარძაყის ძვლების ფრაგმენტების მდებარეობით გაირკვა, რომ მიცვალებული იწვა გულალმა-გაშოტილი, თავით NWW-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

49 (01—35—202; სურ. 925, 926, 1170) ქოირები ოქროსი (2 ც). წარმოადგენს ოქროს თხელ ფურცელს, რომელსაც სამკუთხა მოყვანილობა აქვს. თავთან დაკბილულია (ოთხკბილა). სიგრძეზე ლარები დაუყვება, რომლებიც სამკუთხედის წვეროდან ძირისაკენ გასდევს, საერთო წონა — 0,610 გრ. იდო მარჯვენა ფეხის ბარძაყის ძვალთან.

ქვისფილებით გადახურული ბანურსახურავიანი თიხისფილა სამარხია, წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისა, რომლის სახურავის ნაშთი მხოლოდ სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იყო შემორჩენილი. სამარხის განივ კედლებში თითო, გრძივში და იატაკის მოსაგებად კი სამ-სამი თიხის ფილა გამოუყენებიათ. თიხის ფილას ზომები: 60,5×60,5×4,5 სმ.

სამარხი გაძარცვულია.

ინდივიდუალურ სამარხში შემორჩენილი წვივის ძვლების მიხედვით გაირკვა, რომ მიცვალებული იწვა გულალმა-გაშოტილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი 16.
1986.07.23; I, 8;
1,0—3,58;
2,10×1,10×0,75
1,90×0,60×0,55;
NO-SW, NO
(სურ. 929).

კრამიტსამარხია, რომელსაც წაგრძელებული მართკუთხედის ფორმა ჰქონდა. სამარხი გაძარცვული და ნაკლულია ჩრდილოეთის (NNW) მხრიდან: არა აქვს სახურავი, განივ კედლებში თითო, გრძივებში კი ხუთ-ხუთი ყალყზე დაყენებული ბრტყელი კრამიტი ყოფილა ნახმარი, იატაკზე კი დაუფენიათ ოთხი სიგრძეზე დაწყობილი ბრტყელი კრამიტი.

ინდივიდუალურ სამარხში შერჩენილი იყო დეფორმირებული ძვლების რამდენიმე ფრაგმენტი, დაუკრძალავთ მამაკაცი; დაკრძალვის პოზა და დამხრობა გაურკვეველია.

სამარხი უინვენტაროა.

სამარხი 18.
1986.07.28; I, 5,
6; 1,0—2,90;
2,0x1,10x0,90 —
1,75x0,73x0,65;
NO-SW, NO
(სურ. 932, 933).

ნარიბანდიანი ბანურსახურავიანი ქვასამარხია. წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისა. სახურავი ქვიშაქვის სამი ფილისაგან შედგებოდა. განივ და გრძივ კედლებად კი ქვიშაქვის, სქელი და კარგად დამუშავებული, თითო ცალი მასიური ფილა გამოუყენებიათ. იატაკზე ქვიშაქვის ორი ფილა იყო დაფენილი.

სამარხისათვის სიმტკიცის მისაცემად, განივ კედლებში სიგრძეზე ნარიბანდები ამოუჭრიათ, რომელშიც მჭიდროდ იყო ჩადგმული გრძივი კედლების ბოლოები.

სამარხში აღმოჩნდა ორი მიცვალებულის ჩონჩხი: I. 45—50 წლის მამაკაცის ჩონჩხი მიხვეტილი იყო სამარხის დასავლეთ კუთხეში; II. 25—30 წლის მამაკაცის ჩონჩხი ჩაუსვენებიათ გულხელდაკრეფილი, გულაღმა-გაშოტილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

50 (01—35—55; სურ. 934, 1171) კილიტები ოქროსი (133 ც). წარმოადგენს ოქროს თხელი ფირფიტისაგან დამზადებული, ჯამისებური მოყვანილობის ნახევარსფეროს, რომელსაც ძირზე შემორჩენილი აქვს მავთულოვანი ყუნწი. დმ — 0,4 სმ. საერთო წონა — 6,500 გრ. აღმოჩნდა თავის ქალასთან ცალკეულ ჯგუფებად.

51 (01—35—56; სურ. 934, 1172) ვარდულები ოქროსი (7 ც). წარმოადგენს ოქროს თხელი ფირფიტისაგან დამზადებულ მრგვალ ფირფიტას, რომელზედაც ამოტიფურულია ცენტრიდან ნაპირებისაკენ გამავალი შეიდი რადიალური სხივი, ცენტრში და ბოლოებში სხივები ბურთულებით მთავრდება. დმ — 0,5 სმ. საერთო წონა — 0,960 გრ. იქვე.

52 (01—35—57; სურ. 934, 1173) კილიტი ოქროსი. წარმოადგენს ოქროს თხელი ფირფიტისაგან დამზადებულ ნახევარსფეროს, რომელსაც ზარხუფის მოყვანილობა აქვს. ნაპირებზე შიგნიდან სამი ამოღარული სარტყელი ამჩნევია. დმ — 0,8 სმ; წონა — 0,190 გრ. იქვე.

53 (01—35—58; სურ. 934, 1174) კილიტი ოქროსი, წარმოადგენს ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებულ ოვალისებურ სათვალბუდეს, რომელშიც ზის ამობურცულზურავიანი ალმანდინის თვალი. სიგრძეზე გახვრეტილია. დმ — 0,7 სმ; წონა თვლიანად — 0,290 გრ. იქვე.

54 (01—35—59; სურ. 934, 1175) საკიდი ოქროსი, წარმოადგენს ოქროს ფურცლისაგან დამზადებულ, გარდიგარდმო დაღარულ მილაკს, რომელზედაც ყუნწის მეშვეობით ჩამოკიდებულია მრგვალი ფირფიტა. ფირფიტის ცენტრალურ ნაწილში დარჩილულია სამკუთხა მოყვანილობის სათვალბუდე, რომელშიც ამობურცულზურავიანი ალმანდინის თვალი ზის. სიმაღლე — 1,5; დმ — 1,2 სმ. წონა თვლიანად — 0,580 გრ. იქვე.

55 (01—35—60; სურ. 934, 1176) საკიდები ოქროსი (2 ც). ზემოაღწერილის ანალოგიურია, მხოლოდ ფირფიტა სადაა. სიმაღლე — 1,5; დმ — 1,00 სმ; საერთო წონა — 0,380 გრ. იქვე.

56 (01-35-61; სურ. 935, 1177) საკიდი გიშრისა, ფალოსისებური (?), დიდი, მასიური, პარალელურნახვრეტიანი. სიგრძე — 2,7; უდ. სიგანე — 0,7 სმ. იღო მარცხენა ხელის მტევანთან.

57 (01-35-62; სურ. 936, 1178) ბეჭედი ვერცხლისა, პატინირებუ-ლია. რკალი ოვალისებური მოყვანილობის, მხრებთან თანაბრად გაფართოებულია და გადადის ამავე მოყვანილობის თვალბუდეში. ბუდეში პას-ტის დაზიანებული თვალი ზის. დმ — 2,2; 1,5x1 სმ. წონა თვალბუდეიანად — 6,360 გრ. აღმოჩნდა სამარხის W ნაწილში მიხვეტილ ძვლებთან.

58 (01-35-63; სურ. 937, 1179) ბეჭედი ვერცხლისა, პატინირებუ-ლია. ოვალისებური მოყვანილობის რკალი მხრებთან გაფართოებულია და გადადის ამავე მოყვანილობის თვალბუდეში. დმ — 2,2; წონა თვლი-ანად — 2,550 გრ. იქვე.

59 (01-35-64; სურ. 1180) სარკის წვრილად დაშლილი ფრაგმენ-ტები ბრინჯაოსი (?). ვერცხლის სახელურის ნაშთია შემორჩენილი, სახე-ლურის წონა — 15,480 გრ. იქვე.

60 (01-35-65; სურ. 938, 939, 1181) სანელსაცხებლე მინისა, ძლიერ ირიზებული და ნაკლულია, ძლიერ პატინირებულია, მოლურჯო-მომწვანო, ოქროსფერი. პირი გადაშლილი აქვს, დაბრტყელებული, ყელი — ცილინდრული, ტანი — მსხლისებური, ძირი — გამოყვანილი. მხარს ქვემოთ ტანზე რომბისაგან შედგენილი ორნამენტი ემჩნევა. ძირზე რომ-ბული მოყვანილობის დამლა. სიმაღლე — 10; პირის დმ — 3, ძირის — 3 სმ. იქვე.

61 (01-35-66; სურ. 940-942, 1182) სანელსაცხებლე მინისა, ძლიერ ირიზებული და პატინირებულია. მოლურჯო-მომწვანო, ნაკლუ-ლია. პირი — გადაშლილი ჰქონია, დაბრტყელებული. ყელი — ცილინ-დრული, ტანი — კონუსური, ძირისკენ მომრგვალებული. ძირი ბრტყე-ლი, ოდნავ შეზნექილი. ტანზე ფარფლისებური ორნამენტი ემჩნევა. ყე-ლისა და ტანის შეერთების ადგილზე ჩალარული სარტყელი აქვს. შემო-რჩენილი სიმაღლე — 7; ძირის დმ — 6 სმ. იქვე.

62 (01-35-67; სურ. 943, 1183) ნიჟარა, ფერუმარილის სასრესი, ოვალისებური მოყვანილობის. შიდაპირზე წერტილოვანი ორნამენტია გამოსახული; ცენტრში ტრიუმფალური თალია მოცემული — ნახევარ-წრისებური მოყვანილობის შესასვლელით, რომელსაც ორივე მხრიდან ზღუდე-გალავანი უერთდება. მარცხნივ — გალავნის თავზე ფრინველია გამოსახული, ცენტრში — მზის ემბლემა (?). დმ — 13 სმ. იქვე.

